# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 ივნისი, 2006 წელი.

№ 109 (5449)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

## პატიმარი მამარდაშვილი ალაპარაკდა



იხ. მე-2 გვ.

## რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს გულახდილი საუბარი ექნებათ

იხ. მე-10 გვ.

## ლევან ბერძენიშვილი: სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისგან შედეგს არ უნდა ველოდოთ

იხ. მე-2 გვ.

## თვითმმართველობის არჩევნები თუ მორიგი აბსურდის თეატრი ქართულ პოლიტიკაში?

იხ. მე-4-6 გვ.

## ამერიკელებმა 1945 წლის შემდეგ ყველაზე ცუდ პრეზიდენტად ჯორჯ ბუში-უმცროსი დაასახელეს

იხ. მე-11 გვ.



იხ. მე-4-6 გვ.

## უნივერსიტეტი პროკრუსტეს სარეცელზე

## შვიდი განგსტერიდან ორი უკვე დაპატიმრებულია

იხ. მე-11 გვ.

## „კოსოვოს პრეცედენტის“ ცივი სუნთქვა

იხ. მე-5 გვ.



## 8 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დავით გარეჯელს და ლუკიანეს

იხ. მე-14 გვ.

## სამხრეთ ოსეთისთვის დამოუკიდებლობა სიკვდილის ტოლფასი იქნება

იხ. მე-3 გვ.



**◎ სახალხო დამცველი**

# ძროხის ქურდი და სადისტი – ციხეში

## გუნცაძე ბაჩო ახალაიას დაპატიმრებას მოითხოვს

**სოზარ სუბარის ბოლოდროინდელ განცხადებებს უყურადღებოდ არავინ ტოვებს, ოღონდ ახლა ხელისუფლებამ და ოპოზიციამ როლები გაცვალეს. თუ ადრე ომბუდსმენის საქმიანობით ხელისუფლება კმაყოფილი იყო, დღეს, პირიქით, ოპოზიცია ვერ მალავს კმაყოფილებას.**

როგორც იცით, ამ დღეებში სახალხო დამცველმა ე. წ. კანონიერი ქურდის, პლატონ მამარდაშვილის აღიარებითი ჩვენების ჩანაწერი გამოაქვეყნა (ჩვენებას პირობითად ვამბობთ, რადგან იმ დროისთვის მან არა სამართალდამცავების, არამედ ომბუდსმენის წინაშე აღიარა მე-5 საპყრობილეში მომხდარ ბუნტში მონაწილეობის საინტერესო დეტალებიძ. პატიმრის ახსნა-განმარტების მიხედვით, ბუნტის ორგანიზება თავად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ითავა. მამარდაშვილმა განაცხადა, რომ იგი თებერვალში რამდენჯერმე მიიყვანეს ბაჩო ახალაიასთან და იმ ჩანაწერის ორგანიზება დაავალეს, რომელშიც ბუნტის დაგეგმვაზეა საუბარი და რომელიც მარტის ბოლოს ხშირად ტრიალებდა ტელეეკრანებზე.

ამ და სხვა ფაქტების გამო სუბარი ახალაიას დაუპირისპირდა და თუ გიგა ბოკერიას დავუჯერებთ, თავი არასერიოზულ მდგომარეობაში ჩაიყენა.

— სახალხო დამცველის ინსტიტუტი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი, დემოკრატიული ინსტიტუტია და სამწუხაროა, რომ ომბუდსმენმა კომიკურ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, — თქვა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა. რაც შეეხება ბუნტის ორგანიზების კავშირს სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან, გიგა ბოკერია გამორიცხავს. მისი თქმით, ბუნტი „კანონიერი ქურდების“ შევიწროების გამო მოხდა, მათ სწორედ სახელმწიფო ებრძვის, ამდენად, შეუძლებელია ბუნტის ორგანიზება ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს.

— რასაც მოინდომებ, იმას იტყვი, ეს „შეთქმულების თეორიის“ უპირატესობაა, — აღნიშნა ბოკერიამ.

სუბარის განცხადებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს ომბუდსმენის ყოფილი მოადგილე ბაჩო ახალაია და მას ჭორიკანას უწოდებს. ოპოზიციას კი სახალხო დამცველის სიტყვებში ეჭვი არ ეპარება. ამიტომ საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი კოკა გუნცაძე ხელისუფლებისგან ძმები ახალაიების დაპატიმრებას ითხოვს.

მანიაკური თვისებების მქონე ადამიანი, რომელსაც ბავშვობის დროინდელი ტრავმები აწუხებს, — ასე ახასიათებს გუნცაძე ბაჩო ახალაიას.

დეპუტატის თქმით, სასჯელაღსრულების დეპარამენტის თავმჯდომარემ უკვე იმდენჯერ დაარღვია კანონი და გათელა ადამიანის უფლებები, იგი თავის ძმასთან ერთად ციხეში უნდა იჯდეს. გუნცაძე დარწმუნებულია, რომ ეს ასეც მოხდება, ხელისუფლება კანონის შერჩევითობის პრინციპით რომ არ მოქმედებდეს.

— თუ ძროხის ქურდი ზის ციხეში, რატომ არ ზის საპყრობილეში სადისტი ახალაია, — ამ შეკითხვით მიმართავს კოკა გუნცაძე გენერალურ პროკურატურას და, ზოგადად, ხელისუფლებას.

გიგა ბოკერია სახალხო დამცველის შეცდომად მიიჩნევს იმას, რომ ის ერთი რიგითი კრიმინალის ჩვენებას დაეყრდნო. კოკა გუნცაძე ირწმუნება, რომ კიდევ ორი პატიმარი აპირებს, მამარდაშვილის მსგავსი ჩვენება მისცეს ახალაიას საწინააღმდეგოდ.

**რუსუდან გახარია**



# მუშტი-კრივი, რამაც ამბოხს მისცა ბიძგი

## პატიმარი მამარდაშვილი ალაპარაკდა

**27 მარტს სასჯელაღსრულების დაწესებულების მე-5 საპყრობილეში მომხდარ ამბოხს 8 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. იმავე დღეს გამოძიებამ საზოგადოებას წარუდგინა ამბოხთან დაკავშირებული ოპერატიული მასალა — პატიმრების ზურაბ ვიბლიანის, მალხაზ ზედელაშვილისა და პლატონ მამარდაშვილის საუბრის 25 მარტის ფარული ვიდეოჩანაწერი და სატელეფონო საუბრების ჩანაწერები უკრაინაში მყოფ ე.წ. კანონიერ ქურდთან ტარას ფოცხვერიასთან. ეს ჩანაწერები წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას, რომ 27 მარტის ამბოხი წინასწარ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული. ამ ფაქტზე ბრალდებულია 7 პიროვნება.**

27-28 მარტს სახალხო დამცველმა და მისი აპარატის თანამშრომლებმა ინახულეს პატიმრები ნიკოლოზ მახარაძე, ზურაბ ვიბლიანი, მალხაზ ზედელაშვილი, პლატონ მამარდაშვილი, ლევან ცინდელიანი და გიორგი ავალიანი, რომლებიც ამბოხების დაწყებისთანავე სამკურნალო დაწესებულებიდან მე-7 საპყრობილეში გადაიყვანეს. ისინი სასტიკად იყვნენ ნაცემნი.

ომბუდსმენსა და აპარატის წევრებში მაშინვე გაჩნდა ეჭვი ამბოხის ორგანიზებასთან დაკავშირებულ უმთავრეს მტკიცებულებასთან — 25 მარტის ფარულ ჩანაწერთან დაკავშირებით, რადგან პატიმრები ზედელაშვილი და მამარდაშვილი იმყოფებოდნენ აბსოლუტურად იზოლირებულ საკნებში, სადაც ადმინისტრაციის ნების გარეშე ვერანაირად ვერ მოხვდებოდა პატიმარი ვიბლიანი. ამჟამად ეს ფარული ჩანაწერი მთლიანად გაშიფრულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, საკმაოდ ძნელია ამ ჩანაწერიდან ამბოხის ორგანიზების რაიმე კვალი გამოიკვეთოს.

5 ივნისს პლატონ მამარდაშვილმა სახალხო დამცველს აღიარებითი ახსნა-განმარტება მისცა, რის შემდეგაც ომბუდსმენის აპარატმა 27 მარტს მე-5 საპყრობილეში მომხდარ ამბოხთან დაკავშირებით ახალი მასალები წარმოადგინა.

მამარდაშვილის ჩვენებაში ნათქვამია, რომ ის თებერვალში რამდენჯერმე იმყოფებოდა ბაჩო ახალაიას კაბინეტში. მისი თქმით, ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უშუალოდ ბაჩო ახალაია, მისი მოადგილე ნუკრი ხუხუა, მე-7 საპყრობილის მაშინდელი ხელმძღვანელი მეგის ქარდავა, მისთვის უცნობი ორი პიროვნება (რომელთა ამოცნობა მას შეუძლიაძ და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ორი თანამშრომელი. მამარდაშვილის თქმით, დავალება ასეთი იყო: ერთ-ერთ პატიმარს უნდა მიეყენებინა თვითდაზიანება, შემდეგ კი უნდა ეთქვა, თითქოს ეს დაზიანება მას თავად დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალიამ მიაყენა. საბოლოოდ, როცა საზოგადოება ამ ჩანაწერს მოისმენდა, დარწმუნდებოდა, რომ ხმები ციხეებში არსებული ძალადობის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ეს იყო ე.წ. კანონიერი ქურდების კამპანია ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ.

მამარდაშვილის თქმით, წინასწარ დაგეგმილი სცენარი მაშინ შეიცვალა, როდესაც პატიმარს გიორგი ავალიანს ბაჩო ახალაიამ ხელი გაარტყა, მან კი გარტყმითვე უპასუხა. ამის შემდეგ სამკურნალო დაწესებულების დირექტორის ოთახში მყოფი ოთხივე პატიმარი: ავალიანი, ვიბლიანი, ცინდელიანი და მამარდაშვილი სასტიკად სცემა სპეცრაზმმა, რასაც მოჰყვა ხმაური ჯერ სამკურნალო დაწესებულებაში, შემდეგ კი ამბოხი მე-5 საპყრობილეში.

თავად პლატონ მამარდაშვილი ჩვენებაში ამბობს, რომ მას თანამშრომლობის სანაცვლოდ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ (საოლქო სასამართლოს მიერ 8 წელი აქვს მისჯილი და ამჟამად საქმე საკასაციო სასამართლოშიაძ. თუმცა საბოლოოდ, როცა მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა, მას თავისუფლების ნაცვლად ახალი ბრალდება — ამბოხის ორგანიზება წაუყენეს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა მამარდაშვილმა ჩვენების მიცემა გამოძიებისთვის.

ომბუდსმენის განცხადებას მხარი დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტმა“. ისინი ძმები ახალაიების დასჯის თხოვნით პრეზიდენტს მიმართავენ.

ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფაქტობრივად, კიდევ უფრო ნათელი გახდა ის, რაც საზოგადოებამ იცოდა: ეს ბუნტი იყო არა პატიმრების მიერ დაგეგმილი, არამედ სპონტანური ამბოხი, რაც მოჰყვა ახალაიას მიერ პატიმართა ცემისა და წამების ფაქტებს. კაკაბაძის თქმით, აშკარაა ისიც, რომ ამ სცენარით ახალაია აპირებდა თავისი ბინძური საქმეების „გათეთრებას“, ხოლო ის ფაქტი, რომ ახალაია აწამებს და ხოცავს პატიმრებს, საერთაშორისო ორგანიზაციებმაც კარგად იციან, მას სჭირდებოდა ალიბი თავის გასამართლებლად და ეს სცენარი ამისთვის მოიფიქრა, — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები მამარდაშვილის ჩვენების ნამდვილობას არ ამტკიცებენ, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტები გამოძიებისთვის საყურადღებო უნდა იყოს. ამასთან, მიმართავენ გენერალურ პროკურატურას, რათა დაუყოვნებლივ ჩამოართვას ჩვენება მამარდაშვილს, სანამ მასზე განხორციელდება ზეგავლენა, ასევე უზრუნველყონ მისი პირადი უსაფრთხოება. თავად ომბუდსმენის წარმომადგენლები კი სისტემატურად გააკონტროლებენ პლატონ მამარდაშვილის მდგომარეობას შესაძლო ზეწოლისაგან მის დასაცავად.

**ლელა ხვადაგიანი**

**◎ ინფორმაცია**

## ლევან ბერძენიშვილი:

# სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისგან შედეგს არ უნდა ველოდოთ

**„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი და პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი 13 ივნისისთვის სანქტ-პეტერბურგში დაგეგმილი სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისგან „აბსოლუტურად არაფერს ელის“.**

**ლევან ბერძენიშვილი დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე, სააკაშვილი-პუტინის შეხვედრისგან „შედეგზე ორიენტირებულ მოლოდინს არარეალურად მიიჩნევს“.**

**მისივე აზრით, აშკარაა, რომ სააკაშვილი-პუტინის შეხვედრით აშშ საქართველოს ხელით ცდილობს „რუსეთისთვის პირის მოზანას და იმ უხერხულობის მოხსნას, რომელიც დიდი რვიანის წევრ ქვეყნებს პეტერბურგში ჩასვლასთან და რუსეთის მიერ რვიანის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით აქვთ.**



**ლევან ბერძენიშვილის მტკიცებით, სააკაშვილი-პუტინის შეხვედრაზე რაიმე შედეგის მიღწევა მაშინ იქნებოდა რეალური, თუ ეს შეხვედრა არა საქართველოს, არამედ რუსეთის ინიციატივით გაიმართებოდა.**

**— ჩვენ სხვა თამაშში ვართ ჩართული, — აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ სააკაშვილთან შეხვედრაზე პუტინის „სწრაფი თანხმობა“, რუსეთისავე ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთზე აშშ-ს გავლენის შედეგია.**

# ავტოავარია თბილისში

**თბილისში მომხდარი ავტოავარიის შედეგად არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ორი თანამშრომელი დაიღუპა**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „იურისტთა ასოციაციის“ პრესსამსახურში განუცხადეს, ავარიის შედეგად 54 წლის ნოდარ ქარიმანიშვილი და 24 წლის თამარ რურუა ადგილზე გარდაიცვალნენ, 26 წლის ცისანა ქადაშვილი კი უმძიმესი ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა.**

**ინტერპრესნიუსი**

**◎ მაჯისცემა**

# მტრობას არცროდის რამე უშენებია

**მოსკოვის იური ლევადას ცნობილმა ანალიტიკურმა ცენტრმა გამოკითხვების შედეგები შეაჯამა. შეკითხვაზე, რომელი ქვეყნები მიგაჩნიათ რუსების მეგობრებად და მტრებად, ათასმა ადამიანმა უპასუხა. მეგობრების სიას, ისევე როგორც შარშან, სათავეში ბელორუსი უდგას. მტრებს შორის კი პირველი ლატვიაა, მეორე საქართველო, მესამე ლიტვა. საქართველომ უარყოფითი ხმების 44 პროცენტი დააგროვა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 6 პროცენტით აღემატება. შეერთებული შტატები მეოთხე ადგილზე გავიდა, უკრაინა კი ერთდროულად მოხვდა მეგობრებისა და მტრების რიცხვში**

რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში შეეცადნენ. ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ამ დღეებში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის საქართველოში სტუმრობა. ვიზიტით სტუმრებიც და მასპინძლებიც კმაყოფილი დარჩნენ. თუმცა, დუმის წევრების ვიზიტი დაგეგმილზე ორი დღით ადრე დასრულდა. მათ მოუცლელობა მოიმიზეზეს და კახეთში ვერ გაემგზავრნენ, დაძაბული სასესიო კვირა და ასევე, სპიკერის მოუცლელობა დასახელდა მიზეზად, რის გამოც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და დუმის დეპუტატების ოფიციალური შეხვედრა ვერ მოხერხდა.

როგორც ამბობენ, შეთანხმებისამებრ დელეგაცია უფრო წარმომადგენლობითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მომენტში მისი შემადგენლობა რატომღაც შეიცვალა. კულტურული ვიზიტი, ნინო ბურჯანაძე რუს დეპუტატებს ოფიციალურად სწორედ ამის გამო არ შეხვდა. მომხსენებელთ, დიპლომატიის სტატუსს და „ჩინ-მედლის“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცაღა, ასეთი შეხვედრები რომ არ არსებობდეს, ალბათ, უკეთესი იქნებოდა. არც დიპლომატებს აწყენდათ მეტი უშუალობა. ამითის მიღმა ვიცით, რომ მათი შეიძლებით დაბალი სტატუსის მიუხედავად, არაფერი დაშავდებოდა, ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე დუმის დეპუტატებს მაინც რომ შეხვედროდა. გასაგებია, რომ თვითონ ბურჯანაძეს დუმაში ფეხები უბრახუნეს, მაგრამ წყენის დავიწყება ყველაზე დიდი დიპლომატიაა, მით უმეტეს, როცა მეზობელი, თუნდაც უსამართლო, მაგრამ უზარმაზარი ქვეყნის უბრალო მოსახლეობაც კი თურმე ქართველებს მტრებად მიგვიჩნევს.

იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის განმუხტვას ორი ქვეყნის დეპუტატების შეხვედრები ხელს შეუწყობს. პარლამენტში რუს კოლეგებთან შეხვედრაზე მეზობელი სახელმწიფოს კრიტიკა ნაკლებად ისმოდა. ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცხადებულ მორატორიუმს დეპუტატები, ცალკეული გამონაკლისის გარდა, ზედმიწევნით იცავენ — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პრეზიდენტებს შევუქმნათ კეთილი ფონი, რათა მათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელსაც როგორც რუსი, ისე ქართველი ხალხი ელოდება, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

პრეზიდენტების შეხვედრამდე — 13 ივნისამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ძნელი სათქმელია, როგორი შედეგით დამთავრდება ეს შეხვედრა, ერთი რამ კი ცხადია: ნამდვილად არ გვაძლევს ხელს მტრად მიგვიჩნევდეს ისეთი ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში ნავთობის ფასს აკონტროლებს, მონოპოლისტია გაზის ფასზე, აქვს უამრავი ფული და მთელ პერიმეტრზე დიდი გავლენა. გვინდა არ გვინდა, ასეთი საშიში მეზობელი სწორედ დიპლომატიით უნდა შემოვირიგოთ.

**მზია გელენავა**

◎ კომპეტენტური აზრი

# სამხრეთ ოსეთისთვის დამოუკიდებლობა სიკვდილის ტოლფასი იქნება

**გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე**

*— ბატონო მამუკა, მოდით გავაანალიზოთ, რამდენად პროგრესირებადია ვითარება მშვიდობიანობის თვალსაზრისით ცხინვალის რეგიონში და რამდენად არის შესაძლებლობა ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა უსისხლოდ და უიარაღოდ მოგვარდეს?*

— ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანობის თვალსაზრისით არანაირი პროგრესი არ შეინიშნება, პირიქით, რეგრესია. ასეთ სიტუაციაში კი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

თუმცა ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ამ სიტუაციის შეცვლის იმედი აქვს. ეს იმედი პუტინის განცხადებამ, უშიშროების საბჭოზე ჩვენი პრეზიდენტის გამოსვლამ, დუმის დეპუტატების საქართველოში ვიზიტმა და 13 ივნისისთვის დათქმულმა პუტინი-სააკაშვილის შეხვედრამ გააჩინა. გარდა ამისა, 15 ივნისს დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ექსპერტთა საბჭო იმართება, რომელზეც მეც ვარ მიწვეული და იქ „სამხრეთ ოსეთის" თემაზე აუცილებლად იქნება ლაპარაკი.

მაგრამ, მიუხედავად ბოლო დღეებში განვითარებული ამ პროცესებისა, სამშვიდობო პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით რადიკალურ ცვლილებებს მაინც არ ველოდები. ერთადერთი, შესაძლოა, სიტუაცია შემსუბუქდეს და სიმძაფრემ იკლოს.

*— რა შანსია, რომ კონფლიქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები იმ სამშვიდობო ინიციატივის ეგიდით წარიმართოს, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა კოკოითს შესთავაზა?*

— შანსი პრაქტიკულად მინიმალურია, იმიტომ, რომ კოკოითმა რაც ჩვენ შევთავაზეთ, იგივე აქეთ შემოგვთავაზა. ამ სამშვიდობო პროცესს განვითარება არ უწერია, თუ არ იქნება მსოფლიო საზოგადოებრიობის სერიოზული დაინტერესება, რუსეთის კეთილი ნება და ჩვენი საზოგადოებისა და ხელსიუფლების ერთიანობა.

*— ამ რამდენიმე ხნის წინათ ყველას ყური მოსჭრა კოკოითის ნათქვამმა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეზობლები მოგვეხმარებიანო. ვის გულისხმობდა იგი? ვინ შეიძლება მოვიაზროთ ჩრდილოეთ კავკასიაში კოკოითის რეჟიმის მხარდამჭერად და ვინ საქართველოს მოკავშირედ?*

— კოკოითის მხარდამჭერებად შეიძლება მოიაზრებოდნენ როგორც ეთნიკური, ისე პოლიტიკური ჯგუფები. ესენი არ არიან ადამიანები, რომლებსაც გარკვეული იდეა ამოძრავებთ, ეს არის ხალხი, ვინც სპეცსამსახურების ხელიდან იკვებება.

ბოლო ათწლეულის მანძილზე განვითარებული მოვლენების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში უამრავი ადამიანია თავმოყრილი, რომელმაც იარაღის გამოყენების გარდა არაფერი იცის. ამიტომ, ვინც დაუძახებს და ფულს გადაუხდის, იმასთან წავლენ საომრად, ჩვენ რომ დავუძახოთ და გადავუხადოთ, ჩვენც დაგვიდგებიან მხარში.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი წინასწარ გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯგუფი. ეს არის კადიროვის სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც, რასაკვირველია, კონფლიქტში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ.

არის ასევე ძალიან საინტერესო საბრძოლო ერთეული, მაიკოფში დისლოცირებული ბრიგადა, რომლის ძირითადი მასა ადგილობრივი მოსახლეობაა. ეს ის ხალხია, ვინც საჭირო მომენტში სამკლაურზე რუსეთის ფედერაციის წარწერას იცილებს და კონფედერაციის მეომრების წარწერას იკეთებს. ასე იყო აფხაზეთში და ახლაც თავისუფლად შეუძლიათ იგივეს გაკეთება. ისინი ეროვნებით ყაბარდოელები და ადიღელები არიან, მაგრამ სინამდვილეში რუსეთის ჯარში მსახურობენ.

არის ასევე კაზაკების, აფხაზების ჯგუფები და ა. შ. ანუ არის ორგანიზებული ჯარი და არის შარახვეტია ხალხი, ვისთვისაც იარაღია დარიგებული.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება ჩვენს მხარეს. არავინ! იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს პროცესი 1999 წელს ხელოვნურად გააჩერა. მაშინ ჩვენ საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეული ჯგუფების მეოხებით მოვახერხეთ ჩრდილოეთ კავკასიის ჩვენსკენ პირით შემობრუნება. ძალიან დიდი სამუშაოები გავწიეთ ამისათვის. ახლა ეს პროცესი გაყინულია და ის ჩეჩნებიც კი, რომლებიც სავარაუდოდ ჩვენს მხარეს შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ევროპაში არიან გაფანტულნი და არავითარ საბრძოლო ძალას არ წარმოადგენენ.

*— ჩეჩენთაგან სავარაუდო მხარდამჭერებში ვის გულისხმობთ, ბასაევსა და მის ჯგუფს?*

— არა. ასეთი გილაევის ჯგუფი შეიძლებოდა ყოფილიყო. ბასაევი და მისი ხალხი სულ სხვა საქმით არიან დაკავებულნი, კავკასიის ინტერესები მათთვის მეორეხარისხოვანია. მათთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტი დაფინანსება მიიღონ აღმოსავლეთიდან და ეს დაფინანსება რომ მიიღონ, ტერაქტები უნდა მოაწყონ, ეს არის მათი ძირითადი დატვირთვა.

ასე რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიაში მომხრეები არ ჰყავს.

*— ბასაევი კადიროვის დაუძინებელი მტერია. თუ კადიროვის ჯარები კოკოითს მისცემენ მხარს, იქნებ ბასაევი ჩვენსკენ დადგეს.*

— გამორიცხულია. ამ მტრობის გამო ბასაევმა შეიძლება ჩეჩნეთში მოაწყოს რაღაც ტერაქტები და დივერსიები, მაგრამ მისი ჩვენს მხარეზე დგომა ჩვენი სირცხვილია. სჯობს კადიროვს ვეომოთ, ვიდრე ბასაევი ჩვენსკენ იყოს.

თუ კადიროვის ჯარები კოკოითს წამოჰყვებიან, ერთადერთი რესპუბლიკა, ვინც ჩეჩნეთს არ გაამართლებს და შესაძლოა საყვედური უთხრას, არის ინგუშეთი, რადგან ისინი ოსეთთან დაპირისპირებული არიან.

მაგრამ ეს საყვედურიც გაზეთებში გამოქვეყნებულ ხმაურიან პუბლიკაციებს იქით ვერ წავა.

თუ ცხინვალის რეგიონში ომი დაიწყო და იქ კავკასიელებმა მონაწილეობა მიიღეს, ჩვენი საქმე წასულია.

*— ბატონო მამუკა, რახანია ლაპარაკი მიდის, რომ შესაძლოა ე. წ. სამხრეთ ოსეთი საბოლოოდ გავიდეს საქართველოს დე იურე სივრციდან და გადაიქცეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, სუვერენულ სახელმწიფოდ. ივლება პარალელები კოსოვოსთან და ჩერნოგორიასთან.*

— თქვენი გაზეთის საშუალებით ძალიან მინდა ვთხოვო ქართველ ჟურნალისტებს: ნუ მეკითხებით ჩერნოგორიაზე, იმიტომ, რომ არანაირი კონტაქტი, კავშირი და არანაირი საერთო, ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებთან ჩერნოგორიას არ აქვს.

*— არც კოსოვოს?*

— კოსოვოს საკითხი ძალიან მძიმედ დგას. აი, მე დავსვამ მარტივ შეკითხვას: ვის არ აძლევს ხელს ყველაზე მეტად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა? ვის და, რუსეთს! იმიტომ, რომ თვითონვე შეექმნება ანალოგიური პრობლემა დაღესტანთან და თათარსტანთან. ეს ორი რესპუბლიკა მეორე დღესვე დამოუკიდებლობას გამოაცხადებს.

როცა ევროპაში კოსოვოს დამოუკიდებლობაზე ალაპარაკდნენ, იმ წუთში თავი წამოყვეს ისეთმა ცნობილმა სეპარატისტულმა რეგიონებმა, როგორიც არის ბასკეთი და არა მარტო ის. ესპანელებს პრობლემა გაუჩნდათ კატალონიაშიც.

კორტესში (ესპანეთის პარლამენტი — **ჯ. ხ.**) კატალონიის დეპუტატმა ალბათ მეორე დღეს განცხადება გააკეთა, კატალონია დამოუკიდებელი უნდა იყოსო.

სხვათა შორის, ამ ალბასთან ცხინვალის გაზეთებს ინტერვიუ აქვთ ჩაწერილი და მას სხვადასხვა ფორმატში მუდმივად აქვეყნებენ.

კოსოვოს საკითხი ისე იოლად გადასაწყვეტი არ არის, როგორც ევროპაში ჰგონიათ, ამიტომ სამხრეთ ოსეთის ანალოგიად არც კოსოვო გამოდგება.

„სამხრეთ ოსეთისთვის" დამოუკიდებლობა სიკვდილის ტოლფასი იქნება, რადგან ეს არის რუსეთზე მიბმული ბრმანაწლავი, რომელიც ყველა მხრიდან საქართველოს ტერიტორიითაა ჩაკეტილი.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთი იქნება გაცილებით უფრო დუხჭირი ეკონომიკურად, დაქცეული, ულუკმაპურო რეგიონი, ვიდრე ახლა არის.

*— ჩრდილოეთ ოსეთს რომ მიუერთდეს?*

— მაინც იგივე მდგომარეობაში იქნება. ჯერ ერთი, მათ შორის ეთნიკური მიუღებლობაა. ჩრდილოეთ ოსეთი ეკონომიკურად ისედაც სულს ღაფავს. ის მთლიანად დამოკიდებულია ერთის მხრივ ნოვოროსისკი-ბაქოს ტრასაზე და მეორეს მხრივ — სტავროპოლის სამხედრო გზაზე. სხვა იქ არაფერი არ არის განვითარებული. ისედაც ღარიბი რეგიონია და მეორე ღარიბის, ანუ მწირი ლუკმის მოზიარის დამატება ხელს არანაირად არ აძლევს.

*— დაბოლოს, მოდით ოპტიმისტები ვიყოთ. როგორ შეიძლება გადაწყდეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა ჩვენთვის ყველაზე უფრო სასურველ და ხელსაყრელ ვარიანტში?*

— სამხრეთ ოსეთი შევიდეს საქართველოს ფედერაციაში გარკვეული პოლიტიკური სტატუსით.

*— მერედა, რუსეთი ამას დაყაბულდება?*

— რუსეთი სამხრეთ ოსეთის ასე კბილებით დაჭერით უფრო აგებს, ვიდრე იგებს. აგებს ეკონომიკურად და საერთაშორისო პრესტიჟის თვალსაზრისითაც, რადგან მან, როგორც გარანტმა კავკასიაში, ვერც ერთი პრობლემა ვერ მოაგვარა.

ამიტომ რუსეთისთვის დადებითი მოვლენა იქნება, აიძულოს სამხრეთ ოსეთს საქართველოსთან მოლაპარაკება.

თუ რუსეთი ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერს, პრობლემა მოგვარდება.

ესაუბრა
**ჯაბა ხუბუა**





◎ მკვახე შეძახილი

## მესხეთ-ჯავახეთში დედაუნივერსიტეტის ფილიალებს დახურვა ემუქრებათ?!

**საქართველოს განათლების სისტემაში მინისტრ ლომაიას ბრძნულ რეფორმებს ალბათ სულ მალე შეეწირება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთისა და ჯავახეთის ფილიალები.** საქმე ის არის, რომ სარწმუნო წყაროს ცნობით, ეს ფილიალები გამოეყოფიან დედაუნივერსიტეტს, გადავლენ თვითდაფინანსებაზე, რაც ძალაუნებურად გამოიწვევს სტუდენტთა კონტინგენტის და პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შემცირებას, უმოკლეს დროში კი, საერთოდ, ფილიალების დახურვას, რადგან ამ ფილიალებში ძირითადად თბილისიდან მიწვეული ლექტორები ასწავლიან.

მინისტრ ლომაიას უნდა მოეხსენებოდეს, თუ რას ნიშნავს ამ „გაუცხოებულ" კუთხეში ეროვნული ძარღვის ფეთქვა — ქართული უნივერსიტეტის ფილიალების არსებობა!..

**სწორედ ამას ჩივიან მესხეთ-ჯავახეთის საქმეში ჩახედული ადამიანები.**

**ვილენ მარდალეიშვილი**



◎ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილი არჩევნების თარიღს არ ასახელებს

„მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არჩევნების თარიღს არ აცხადებს, არადემოკრატიული ლიდერია.

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა საერთაშორისო საზოგადოების უდიდესი ზეწოლის შედეგად დაასახელა თვითმმართველობის არჩევნების მხოლოდ სეზონი.

ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ სწორედ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა გახდება საჭირო, რათა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების ზუსტი თარიღი დაასახელოს.

როგორც ჩიხრაძე აცხადებს, საპარლამენტო უმრავლესობამ ისეთი საარჩევნო კოდექსი მიიღო, რომ ოპოზიციას გაერთიანების გარეშე გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვა.

— სახელისუფლებო ძალამ არ იკმარა ერთპარტიული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება, არ იკმარა არადემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობის შექმნა და ისინი დღეს დამატებით გარანტიებს იქმნიან — არ ასახელებენ არჩევნების თარიღს, რათა ოპოზიცია ჯეროვნად ვერ მოემზადოს, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

მისი განცხადებით, გარდა იმისა, რომ საქართველოს ერთპარტიული საარჩევნო კომისია ჰყავს, თვითმმართველობის არჩევნებისთვის უზარმაზარი სახელისუფლებო სახსრები იქნება მობილიზებული.

— თუ გიგი უგულავა არჩევნების თარიღის დასახელების კონტექსტში მეორედ მოსვლაზე საუბრობს, მაშინ მათ თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციისგან ნამდვილი წარღვნა ელით", — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

— არჩევნების დანიშვნას კიდევ დიდხანს არ ვაპირებთ, ამიტომ ვისაც უნდა არჩევნების ჩატარება, მოცდა მოუწევთ, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ქალაქის მერის გიგი უგულავას განცხადებით, არჩევნები მეორედ მოსვლასავითაა, „არავინ იცის, როდის იქნება". „მანამდე კი ყოველი დღე ჩვენთვის არჩევნებია და თითოეული ადამიანისთვის ყველაფერს ვაკეთებთ", — განაცხადა უგულავამ.

## „პრეზიდენტი კვლავ იტყუება", — ამბობენ ვეტერანები

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი მოძრაობა „ვეტერანთა დარბაზის" წარმომადგენლების საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის ლოზუნგია „პრეზიდენტი კვლავ იტყუება". მომიტინგეები ვეტერანთა დასაქმების სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნას მოითხოვენ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს თბილისთან დადებულ ხელშეკრულებას შეახსენებენ.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ჩიორა წიკლაურის განცხადებით, შესაბამისი დოკუმენტი ვეტერანებთან 2002 წელს, მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს გაფორმდა, თუმცა დოკუმენტით გათვალისწინებული დაპირებები ამ დრომდე არ შესრულებულა.

დაპირებების შეუსრულებლობის გამო აქციის მონაწილეები პასუხს არა მხოლოდ პრეზიდენტისგან, არამედ ოპოზიციის იმ წარმომადგენლებისგანაც ითხოვენ, რომლებმაც თავის დროზე ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს. ვეტერანები სასამართლოში სარჩელის შეტანასაც გეგმავენ.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

*წინამდებარე წერილის მიზანი ერთგვარი ანალიზის მცდელობაა შემოდგომაზე მოსალოდნელ არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა შანსების შესახებ, არჩევნებისა, რომლის ჩატარების თარიღის გამოცხადებას პრეზიდენტი არ ჩქარობს. მიუხედავად ამისა, გასულ კვირას, შეიძლება ითქვას, საარჩევნო კამპანია დაიწყო — სალომე ზურაბიშვილმა ნებისმიერ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობისთვის მზაობა განაცხადა. დანარჩენი ოპოზიცია ჯერ ვერ ჩამოყალიბებულა, რას იზამს. ერთი რამ ცხადია — ოპოზიციის ასე ნანატრი გაერთიანება, როგორც ჩანს, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს. ვნახოთ, რა იქნება. ქვემოთ ოპოზიცია-ხელისუფლების შანსებზე ვისაუბროთ, არსებული რეალობიდან თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.*

# თვითმმართველობის არჩევნები თუ მორიგი აბსურდის თეატრი ქართულ პოლიტიკაში?

## ბეიკერიდან ბოკერიას აბრაკადაბრამდე

**თავის დროზე, როცა 2003 წელს შევარდნაძესა და მაშინდელ ოპოზიციას შორის სწორედ საარჩევნო კანონის გამო უკიდურესად იყო დაძაბული ურთიერთობა, ოკეანის გაღმიდან ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი მოავლინეს.** თეთრი სახლის ყოფილი მაღალჩინოსანის შეხვედრას თავის „მეგობარ“ შევარდნაძესთან ის შედეგი მოჰყვა, რომ გაჩნდა მაშინდელი საარჩევნო კანონისგან განსხვავებული, ე.წ. ბეიკერის ვარიანტი, რაც, თუმცა იდეალისგან შორს იყო დემოკრატიულობის თვალსაზრისით, მაგრამ, ასე თუ ისე, მისაღები აღმოჩნდა 2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილე ოპოზიციისთვის. მაშინდელმა ხელისუფლებამ ამ კომპრომისულ ვარიანტზეც უარი თქვა და მივიღეთ ის, რაც მოხდა — ე.წ. „ვარდების რევოლუცია“. მახსოვს მაშინ, როცა ბატონი ბეიკერი საქართველოდან წავიდა, წერილიც გამოვაქვეყნე სათაურით — „ბეიკერმა დაგვიბარა“, სადაც ვხუმრობდი ერთი ქართული სიმღერიდან გამომდინარე: ქართველებმა ის ვერ გავიგეთ, წერეთელმა რა დაგვიბარა და ბეიკერს რას გავუგებთ-მეთქი.

**არ ვიცი, გიგა ბოკერიას ვინ რა დაუბარა, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო კანონის აბსურდულობა აშკარაა.** თავი დავანებოთ აშკარა შეუსაბამობას — ერთი მხრივ, დასავლურ ღირებულებებზე დეკლარირებული ორიენტაცია და იქვე საარჩევნო სისტემა, რომელიც აფრიკის სამიოდე ქვეყანაში მოქმედებს თურმე. ამას პლუს ერთპარტიული, ნაციონალური მოძრაობის ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიები და რა გამოდის? **ნებისმიერი სახით ამ არჩევნებში ოპოზიციის მონაწილეობა უაზრობაა.** ამიტომ მაშინვე დაიწყო საუბარი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებაზე თუ არა, რაღაც შეთანხმებაზე მაინც. აქედან გამომდინარე დაიწყო საუბარი ბოიკოტზეც, რის განხორციელების შემთხვევაში ხელისუფლება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ოკეანისგაღმელ ჭკუის დამრიგებელთა წინაშე — საპარლამენტო სხდომების ბოიკოტი პლუს არჩევნების ბოიკოტი, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ...

## იქნება? რა იქნება?

**ანუ რა შანსები აქვს ოპოზიციას მოცემულ რეალობაში.** აქამდე ორი ვარიანტი განიხილებოდა: 1ძ ოპოზიციის შეთანხმება თბილისის მეროზის ერთ საერთო კანდიდატზე და მიუხედავად ყველაფრისა, არჩევნებზე გასვლა, 2ძ ოპოზიციის გაერთიანება აბსურდული საარჩევნო სისტემის შეცვლის თუ არა, საარჩევნო კომისიების პარტიულ პარიტეტზე დაკომპლექტების მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში — არჩევნების ბოიკოტი. სალომე ზურაბიშვილის განცხადების: არჩევნებში უპირობოდ მონაწილეობის, თბილისის მეროზის სურვილის გახმაურების შემდეგ, ოპოზიცია მოქმედების კიდევ ერთ, მესამე ვარიანტზე ალაპარაკდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

**პირველ ვარიანტს რაც შეეხება,** დავიწყოთ იმით, რომ ლეიბორისტები და კონსტანტინე გამსახურდიას „თავისუფლება“ არსებული საარჩევნო კანონის პირობებში არ აპირებენ არჩევნებში მონაწილეობას. თუმცა დანარჩენი ოპოზიციის შეთანხმების შემთხვევაში თბილისის მერის პოსტზე საერთო კანდიდატს სავარაუდოდ მხარს დაუჭერენ. ამ შემთხვევაშიც კი ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვების შანსები მიზერულია, რადგან ცნობილი ჭეშმარიტებაა — არჩევნებს იგებს ის, ვინც ხმებს ითვლის. ეს რომ ასეა, ვინ, ვინ და არა ერთი არჩევნების გამყალბებლებმა, რომლებიც მრავლად არიან დღევანდელ ხელისუფლებაში, კარგად უწყიან.

აქედან გამომდინარე, ოპოზიციის შესაძლო გაერთიანება **მეორე ვარიანტის** ირგვლივ უფრო იყო მოსალოდნელი, სასურველიც და შესაძლებელიც. მართლაც, თუ ახლები, რესპუბლიკელები, კონსერვატორები, „თავისუფლება“, ლეიბორისტები, „საქართველოს გზა“ ერთიანი ფრონტით გამოვიდოდნენ საარჩევნო კანონის შეცვლის მოთხოვნით და წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნების ბოიკოტირებას გამოაცხადებდნენ, მტკივნეული დარტყმა იქნებოდა ხელისუფლებაზე. ისინი ალბათ ამ შემთხვევაშიც ჩაატარებენ არჩევნებს, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი ოპოზიციურ პარტიათა ადგილს ვინმე სხვა, ან არსებული კარიკატურული ფიგურები თუ პარტიები დაიკავებდნენ, ან სპეციალურად ამისთვის ახალი „ოპოზიციური“ პარტია შეიქმნებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად აშკარად თეთრი ძაფით იქნებოდა შეკერილი, რომ „ზევით“ — ამერიკაევროპაში ყურებს შეიბერტყავდნენ, მორჩებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლების დემოკრატიულობაზე ლაპარაკს, ისევე, როგორც დიდი ხანია არავინ ახსენებს საქართველოს მსოფლიო დემოკრატიის მანათობელ შუქურად. და ვარდოსანი ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებისთვის მაინც გამხდარიყო იძულებული მიელო მეტნაკლებად დემოკრატიული საარჩევნო კანონები თუ სისტემა.

„იქნება? რა იქნება!“ — ეს სათაური ერთი ძველი სახუმარო სუფრული სიმღერიდან ავიღე, რომელიც ასე გრძელდება — „ძირს ნიკოლოზ მაღლა მუშა, უსათუოდ იქნება“. თუმცა რა დროს პროლეტარიატი და ნიკოლოზია? მით უმეტეს, რა გვემღერება, არა? სწორედ ეს არის საქმე, რომ ამ სიმღერის თანამედროვე შესაძლო პერიფრაზიც — „ძირს მთავრობა, მაღლა ხალხი“ არარეალურად ჟღერს მომავალ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველთათვის დამახასიათებელი სენის — „უჩემოდ ვინ იმღერითა“-დან გამომდინარე პრობლემურია ოპოზიციური პარტიების შეთანხმება, არამედ იმიტომაც, რომ ზემოთ განხილულ მოვლენათა განვითარების **შესაძლო ორ ვარიანტს,** „მოულოდნელად“ დაემატა მესამე, რომელმაც შესაძლოა ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. ეს **მესამე** ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ფაქტორმა განაპირობა.

## „რამდენადაც მშვენიერი ხარ“

**იმას, ვინც ბოლო 15 წლის ქართულ პრესას თვალს ადევნებდა, უსათუოდ ემახსოვრება ამ სათაურით (აღარ მახსოვს რომელ გაზეთშიძ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც მაშინ ოდიოზური და დღეს საწყალი გურამ პეტრიაშვილის „გენიას“ ეკუთვნოდა.** ვისაც ასაკის გამო არ ახსოვს, ვიტყვი, რომ ეროვნული ხელისუფლების მეზღაპრე გამორჩენილ ქართველ მევიოლინეს ლიანა ისაკაძეს ეუბნებოდა: რამდენადაც მშვენიერი ხარ, იმდენად არ გეკადრება რუსული სიტყვების ხმარება ქართულად მეტყველების დროსო. ამის გამო განაწყენებულმა ლიანა ისაკაძემ კაი ხნით დატოვა საქართველო, ხოლო მისმა მაწყინარმა ოდნავ მოგვიანებით, როცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, მგონი — სამუდამოდ. თან დაგვიბარა, — მოგელანდებითო. რა შუაშია გურამ პეტრიაშვილი? ან, რამე ხომ არ მელანდება, არა?

არა, ბატონებო! უბრალოდ რასაც ქვემოთ ვიტყვი ქალბატონ სალომეს შესახებ — მხოლოდ კეთილგანწყობით. მით უმეტეს ქართულად მშვენივრად მეტყველებს. მისი ოდნავ შესამჩნევი ფრანგული აქცენტი კი მხოლოდ უხდება ისედაც მომხიბვლელ ქალბატონს. იმედია ამ წერილის შემდეგ არც მე გამიხდება სამშობლოდან გასაქცევად საქმე...

ქალბატონ ზურაბიშვილის გაოპოზიციონერება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მის სპონტანურ მოწოდებას იმ ქარ-ყინვაში იპოდრომზე იმდენი ხალხი გამოეხმაურა, ალბათ თავადაც არ ელოდა. ხელისუფლებისთვის ხომ შოკის მომგვრელი აღმოჩნდა ზღვა ხალხის ხილვა! იპოდრომზევე გაჟღერდა ამ ხელისუფლების მოკლე ახალი სახელი „ქაჯები“, რომელიც იმ დღის მერე რეფრენად მოსდევს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ ემოციური შთაბეჭდილების ქვეშ გამოვაქვეყნე წერილი ლიტერატურულ საქართველოში — „გრიგალი სალომეა“.

იხ. მე-6 გვ.

ინფორმაცია

## საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში შესვლა მნიშვნელოვან ძვრებს გამოიწვევს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში შესვლა მნიშვნელოვან რეგიონულ ძვრებს გამოიწვევს.**

**— ნატოსთან უკრაინისა და საქართველოს მიერთება კოლოსალურ რეგიონულ ძვრებს ნიშნავს, — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლისას.**

**მისი თქმით, რუსული მხარე ამგვარი ნაბიჯის ყველა მოსალოდნელ შედეგს გათვლის.**

**— ჩვენ გავთვლით ამ შედეგებს, პირველ რიგში, რუსეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. უსაფრთხოების სფეროში, ეკონომიკური ინტერესებისა და ამ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობების ინტერესების თვალსაზრისით, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.**

## ნავთობსადენი დროებით შეჩერდება

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ივნისის ბოლოს დროებით შეჩერდება.**

**როგორც BP-აზერბაიჯანის პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა განაცხადა, ნავთობსადენი 10 დღით, საექსპლუატაციო სამუშაოს დასრულების მიზნით, გაჩერდება.**

**საექსპლუატაციო სამუშაოები ნავთობსადენზე და ჯეიჰანის ნავთობტერმინალში ჩატარდება.**

**ვუდვორდის თქმით, ამ სამუშაოებზე დამოკიდებულია ობიექტის შემდგომი უწყვეტი მუშაობა და ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობის ზრდა.**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ამჟამად დღე-ღამეში დაახლოებით 200 ათას ბარელ ნავთობს ატარებს. ორ თვეში ვარაუდობენ მისი გამტარუნარიანობის გაზრდას 300-400 ათას ბარელამდე, ხოლო წლის ბოლოსთვის 500 ათას ბარელამდე დღე-ღამეში.**

**ინტერპრესნიუსი**

მრწამსი

# უნივერსიტეტი პროკრუსტეს სარეცელზე

**ეროვნულმა ხელისუფლებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯვარცმა გადაუწყვიტა, დგას მისი ყოფნა-არყოფნის სამწუხარო ჟამი. რეფორმატორებს უნდა ესმოდეთ, რომ ეროვნული სიწმინდეების ხელყოფა დაუსჯელი არ დარჩება და ადრე იქნება თუ გვიან, სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვის. ჯერჯერობით მშველელი არსაიდან ჩანს.**

პონტიუს პილატეს ტოგამოსხმული განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ხელაპყრობილი ამტკიცებს, რომ ბრალი არ მიუძღვის. ვინ არის დამნაშავე?

**უნივერსიტეტის გადარჩენის მისია თავის თავზე აიღო დიდმა სამეცნიერო საბჭომ, რომლის წევრთა უმრავლესობა ერთსულოვნად აღიარებს ხელისუფლების გადაწყვეტილების უკანონობას** (საბჭო შეეცდება გამოასწოროს 2004 წლის დეკემბერში დაშვებული შეცდომა, როცა ხმა მისცა უნივერსიტეტისთვის უცხო პირის რექტორად არჩევასძ.

დიდი სამეცნიერო საბჭო რეფორმისტთა პირველმა ტალღამ, გაურკვეველი რევოლუციური დამსახურების რექტორის ერთპიროვნული ბრძანებით, ისე გააუქმა, რომ მისმა წევრებმა მომხდარის შესახებ მოგვიანებით გაიგეს.

რეფორმატორთა მეორე ზანაკმა გაითვალისწინა ადრინდელი ხელმძღვანელობის „შეცდომები“ და სასწრაფოდ შეადგინა უნივერსიტეტის გაუქმების გეგმა. სხვა სახელს ვერ დაარქმევ იმ ფაქტს, როდესაც იკვეცება დარგები და 2 ათასზე მეტი პროფესორ-მასწავლებლებიდან მხოლოდ რვაასი უნდა დარჩეს. თანამშრომელთა რაოდენობის განახევრება შეიძლებოდა საკონკურსო შერჩევის გზით, მაგრამ სამჯერ შემცირება ნიშნავს უნივერსიტეტის გადაქცევას დაბალი კატეგორიის სასწავლო დაწესებულებად. **უნივერსიტეტში ფეხი შემოდგა კატასტროფის აჩრდილმა.**

რა ბედი ელით უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილებს? **მოწყალე მინისტრისა და მისი თანამზრახველების კეთილი ნებით ისინი მიიღებენ ყოველთვიურ დახმარებას, რაც პარლამენტარის ერთი დღის ხელფასის ტოლია. შემოთავაზებულის წყალობით საშუალო ფორმატის წიგნის ყიდვა თუ შეიძლება (თუმცა ჩვენს „განათლებულ“ განათლების მესვეურებს წიგნი არ აინტერესებთძ. აგვიხსენით, ბრძენთა-ბრძენო მინისტრო და კიდევ უფრო ბრძენო პარლამენტო, ვის იგდებთ მასხრად?**

საბჭო მტკიცედ აღგას უნივერსიტეტის გადარჩენის გზას.

საგანგაშო ბრძანებები გვიზღუდავს უფლებებს და გვილახავს ღირსებას. რატომ სურთ განათლება გაუნათლებლობით შეცვალონ? აგვიხსნან, რომელი კატეგორიის მოქალაქეებად მიგვიჩნევენ უნივერსიტეტელებს. რატომ ჰგონიათ, რომ თეთრისა და შავის გარჩევა არ შეგვიძლია.

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით რომის სენატი მიმართავდა კონსულებს: „დეე იზრუნონ კონსულებმა, რომ რესპუბლიკას ზიანი არ მიადგეს“. გამოვიყენებ ხატოვან გამოთქმად ქცეული ამ სიტყვების პერიფრაზს და მივმართავ: იზრუნოს სამეცნიერო საბჭომ, რომ უნივერსიტეტს ზიანი არ მიადგეს.

**უნივერსიტეტზე აღმართულია მახვილი. ჩვენი ვალია გადავარჩინოთ ქართული სულიერების ტაძარი. შემოტევა არის დაუნდობელი, თუ ნგრევა არ შეჩერდა, რამდენიმე წელიწადში დღეს არსებულის აჩრდილი დაგვრჩება.**

მცირე გადახვევა: **ძვ. წ. 390 წელს რომაელები რომიდან 10 კმ. დაშორებით, მდ. ალიას ნაპირას დაამარცხეს. გამარჯვებულებმა ქალაქი დაიკავეს და გაძარცვეს (ალიას დღე, სამუდამოდ დარჩა რომაელთა მეხსიერებაში, როგორც უდიდესი უბედურების მოსაგონარიძ. გალებმა რომის დატოვების სანაცვლოდ გამოსასყიდი — ათასი გირვანქა ოქრო მოითხოვეს, დამარცხებული რომაელები იძულებული გახდნენ, მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. შეაგროვეს ოქრო და მორჩილად მიართვეს. დაიწყო ოქროს აწონვის პროცედურა, რომლის დროსაც პრეტორმა შენიშნა, რომ გალები ყალბ გირებს იყენებდნენ და პროტესტი განაცხადა. გალების ბელადმა ბრენუსმა, წესრიგის დამყარების ნაცვლად, გირებს თავისი ხმალი დაამატა და შესძახა: Vae Victis (ვაი დამარცხებულებსძ.**

ანალოგიურ შთაბეჭდილებას ტოვებს განათლებისა და მეცნიერების ქართველ რეფორმატორთა მსჯელობა. მათთვის მეორე მხარე არ არსებობს. თავიანთ სიტყვას კანონის ძალას ანიჭებენ.

**განათლებისა და მეცნიერების რეფორმის „მამა“ უნივერსიტეტის პროტესტს გამარჯვებული ბრენუსის რიხით უპასუხებს: ვაი დამარცხებულებს.**



**ბატონებო! აგვიხსენით როდის დავმარცხდით. თუ არ დავმარცხდით, რატომ გვექცევიან, როგორც დამარცხებულებს. რა განსხვავებაა ბარბაროს გალებსა და ქართველ რეფორმატორებს შორის?**

ჩვენი ოლიმპიური სიმშვიდე შესანიშნავად გამოიყენეს ანტიეროვნულმა ძალებმა და განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მეხოტბეთა იდეური ბელადის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ა. ლომაიას სარდლობით, ჯვაროსნული ომი წამოიწყეს უნივერსიტეტის წინააღმდეგ.

ბატონებო! ნუ ფიქრობთ, რომ სიმშვიდეს შიში განაპირობებს. უნდა შეგახსენოთ, თქვენი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია. სამეცნიერო საბჭო უშიშრად დგას სამართლიანი პრინციპების დასაცავად.

მცირე გადახვევა: **ოთხმოც წელს მილწეული ათენელი რეფორმატორი სოლონი ტირანიის შეურიგებელი მტერი იყო. იგი ხედავდა, რომ წარჩინებული მოქალაქე პისისტრატე დემაგოგიური დაპირებებით მოსახლეობას გზას უბნევდა. ღარიბი ათენელები პისისტრატეს მხარეს დადგნენ, მდიდრები შიშით ხმას არ იღებდნენ. ძვ. წ. 561 წელს პისისტრატე ტირანი გახდა. სოლონი შეუპოვრად გამოვიდა დემოკრატიის დასაცავად, მთავარი დატვირთვა სიტყვებზე გადაიტანა. პლუტარქეს გადმოცემით, სოლონმა სახლიდან იარაღი გამოიტანა, ქუჩაში დააწყო და განაცხადა, რამდენადაც შემეძლო, ვიცავდი სამშობლოსო. შექმნილ რეალობას ბრძოლის განსხვავებული ფორმები დაუპირისპირა. თანამედროვეთა გაორებას იგი ასე ხსნიდა: ჭკუით ვჯობივარ იმათ, ვისაც არ ესმის, რა ხდება, სიმამაცით კი იმათ, ვისაც ესმის, მაგრამ შიშის გამო ხმას არ იღებსო. მახლობლები შეშფოთებულები იყვნენ სოლონის აქტიური მოწოდებებით და ურჩევდნენ ათენიდან გაქცეულიყო. მაგრამ იგი მტკიცედ იდგა კანონიერების დასაცავად და უკან არ იხევდა. როცა ჰკითხეს, რისი იმედი ჰქონდა ასე თავისუფლად და შეუპოვრად რომ იქცეოდა, უპასუხა: „სიბერისო“.**

იხ. მე-6 გვ.

განსჯა

# „კოსოვოს პრეცედენტის“ ცივი სუნთქვა



**ამ ბოლო კვირების განმავლობაში ცხინვალის რეგიონში სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა. კაცმა რომ თქვას, პრაქტიკულად — არაფრისგან. „ამძრავ ღვედად“ რუსული ბატალიონის როკის გვირაბით როტაცია იქცა, რასაც საქართველოს მხრიდან საშინელი ხმაური მოჰყვა. რუსული მხარე ვერ ეგუება საქართველოს სურვილს, ამ რეგიონთან ნებისმიერი კონტაქტი მხოლოდ მისი ტერიტორიიდან ხორციელდებოდეს. ეს სოჭის მორიგებათა უხეში დარღვევაო, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბლოკადის შეფარული ფორმააო, საქართველო ჯერჯერობით არ გამოსულა სოჭის შეთანხმებათა რეჟიმიდან, მაგრამ განაგრძობს ამ შეთანხმებათა თანამიმდევრულად და უხეშად დარღვევასო.**

თბილისი არ ელოდა იმ რეაქციას, რომელიც მის მკვახე გამოხმაურებას მოჰყვა მოსკოვიდან. მოსკოვის რეაქცია ძალზე მკაცრი იყო, მისი მოქმედება კი უაღრესად საშიში. **პრინციპში, თბილისის ხმაურიანი განცხადებები მოსკოვმა გამოიყენა თავისი პოზიციის შეცვლისთვის, როგორც ცხინვალის რეგიონის, ისე აფხაზეთის მიმართ. საბოლოო ანგარიშით, მოსკოვმა მაღალ დონეზე პირველად გამოთქვა ეჭვი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, აღიარა, რომ მის ყოფილ ავტონომიებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება,** შესთავაზა თბილისს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის გამოიყენოს რეფერენდუმები.

რეფერენდუმების გამართვის იდეა აშკარად ჩერნოგორიისა და კოსოვოს მოდელების გავლენაა. ანუ, **„კოსოვოს პრეცედენტმა“ უკვე დაიწყო მოქმედება. მოსკოვის ასეთი მოქმედების მიზანია სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.** ალბათ, კრემლმა გადაწყვიტა აღარ გაითვალისწინოს ამ საკითხში ბრიუსელისა და ვაშინგტონის აზრი, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს თავიანთ ერთგულ, თუმცა ჭირვეულ პროტეჟეს — საქართველოს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილ ვითარებაში სამხედრო ჩარევის ნებისმიერი მცდელობა თბილისისათვის მხოლოდ დააჩქარებს მოვლენათა ნეგატიურ განვითარებას და მოსკოვს აიძულებს კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯები გადადგას.

რუსეთის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის ახლო საზღვარგარეთის პრობლემათა განყოფილების ხელმძღვანელის ალექსანდრ სკოკოვის აზრით, **ჯერ კიდევ არსებობს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხების თაობაზე რუსეთ-საქართველოს დიალოგის გამართვის შესაძლებლობები, თუმცა ისინიც მალე ამოიწურება.** იგი ფიქრობს, რომ ყოველივე ამაში „დამსახურება“ მიუძღვით პრეზიდენტ სააკაშვილს და თავდაცვის მინისტრს ოქრუაშვილს. **არსებითად, საქართველოს ხელმძღვანელობა ანტიქართულ პოლიტიკას ახორციელებს, როცა სულ უფრო მეტად კარგავს ამ კონფლიქტების კომპრომისული გზით მოგვარების ბოლო შესაძლებლობებს.** ვშიშობ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ასეთ ხელმძღვანელობასთან სრულფასოვანი მოლაპარაკების გამართვა, რადგან მოლაპარაკების პროცესის ინტენსიფიკაციის ის შანსი, რომელიც არსებობდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მისვლამდე, ახლა უკვე დაკარგულიაო.

აქვე, საინტერესოა რუსი ექსპერტების მიერ სუამის, როგორც რეგიონული ორგანიზაციის პერსპექტივების შეფასება კიევში გამოცხადებული პრიორიტეტების, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების გამწვავების ფონზე.

დასკვნა ასეთია: სუამის პერსპექტივები, როგორც ყოველთვის, დამოკიდებულია მისი სპონსორის, ანუ შეერთებული შტატების სურვილზე. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს უკრაინის გაძლიერებისა და მის რეგიონალურ ლიდერად გარდაქმნის მცდელობას. მაგრამ ამ შემთხვევაში მოლდავეთი უკრაინის სატელიტი გახდება, რამაც უკვე გარკვეული შეშფოთება გამოიწვია რუმინეთში, რომელმაც სწორედ ამის გამო მოისურვა სუამში გაწევრიანება. გარდა ამისა, ეს არის რუსეთისგან აზერბაიჯანის ჩამოშორების მცდელობა, პერსპექტივაში კი — მოისურვებენ რუსეთისგან ყაზახეთის ჩამოშორებასაც. დაბოლოს, **მთავარი მიზანია რუსეთის ირგვლივ ისეთი „უშიშროების სარტყელის“ შექმნა, რომელიც შეზღუდავს სუამის წევრ ქვეყნებზე მოსკოვის სულ უფრო მზარდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას.** კიევისთვის სუამი არის დამატებითი არგუმენტი მოსკოვთან ურთიერთობაში, რომელიც სიტუაციის ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში უკრაინისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მისი კონტაქტები სუამის სხვა წევრებთან ერთად აღებული. შესაბამისად, მოვლენათა გარკვეული სახით განვითარების პირობებში, გამორიცხული არ არის, რომ კიევმა ადვილად თქვას უარი სუამზე. მოლდავეთისთვის სუამი არის უკრაინასა და რუმინეთს შორის ბალანსის დაცვის შესაძლებლობა, რომლებიც იბრძვიან კიშინიოვზე გავლენის მოსაპოვებლად. აზერბაიჯანისთვის ეს გაერთიანება არის მისი „კომპლიმენტური პოლიტიკის“ ნაწილი და, გარდა ამისა, მოსკოვზე ზემოქმედების შესაძლებლობა, რათა იგი უფრო დამთმობი გახადოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. და როგორც ვხედავთ, ბაქოს ასეთ პოლიტიკას უკვე მოაქვს შედეგი. რაც შეეხება იმას, თუ რისთვის სჭირდება საქართველოს სუამი, აქ ყველაფერი ნათელია: საქართველოს ეროვნული ინტერესები ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული, ოქრუაშვილ-სააკაშვილ-მერაბიშვილისა კი — მეორეზე. ამრიგად, სადღეისოდ სუამი სჭირდებათ მის მონაწილეებს და სპონსორებს, ამიტომაც ამ ორგანიზაციის მალე დაშლაზე ლაპარაკი ნაადრევიაო.

ასეთია რუსული მხარის მოსაზრებები კონფლიქტის ზონაში სადღეისოდ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ძირეულად განსხვავდება რეალობის ქართული მხარის მიერ აღქმისგან. ჩვენი ჭაბუკი ხელისუფალნი რატომღაც ძალზე იმედიანად უყურებენ მომავალს, სადაც თანდათან იყრის თავს საავდრო ღრუბლები და გამორიცხული სულაც არ არის, ჭექა-ქუხილიც ატყდეს.

**გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სათანადოდ სწვდება ვითარების სერიოზულობას და 13 ივნისს თავის რუს კოლეგასთან შეხვედრისას შეეცდება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ცოტათი მაინც გამოსწორებას.** რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ვერავითარი ოპტიმიზმი ამ შეხვედრის შედეგად ვითარების სრული ნორმალიზების იმედს ვერ ჩაგვისახავს.

**სანდრო ალექსიძე**

ინფორმაცია

## სახალხო დამცველს დაპატიმრებით ემუქრებიან

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის“ ლიდერი სახალხო დამცველის დაპატიმრებას მოითხოვს.**

**გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის“ ოფისში ორგანიზაციის ხელმძღვანელის ლალი აფციაურისა და სახალხო პარტიის თავმჯდომარის მამუკა გიორგაძის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.**

**როგორც აფციაურმა აღნიშნა, სახალხო დამცველის სოზარ სუბარის გუშინწინდელი განცხადება, როგორც მინიმუმ, ბოდიშის მოხდით უნდა დაწყებულიყო, რადგან ომბუდსმენს თავის დროზე ხალხის დაცვისთვის რომ ეზრუნა, თავიდან იქნებოდა აცილებული სპეცოპერაციების დროს ხალხის დახოცვა და ციხეებში მომხდარი ბუნტი.**

**იგი სოზარ სუბარის წინააღმდეგ, პატივისა და ღირსების შელახვის ბრალდებით, სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. გარდა ამისა, ლალი აფციაურის ინფორმაციით, ვინაიდან სოზარ სუბარმა რამდენიმე თვის წინათ დაკისრებული მოვალეობა არ შეასრულა, ომბუდსმენი ამისთვის უნდა დააპატიმრონ.**

**როგორც სახალხო პარტიის ლიდერმა მამუკა გიორგაძემ განაცხადა, სუბარმა მისდაუნებურად, პრაქტიკულად, აღიარა ის, რომ საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად წავიდა ადამიანების დახოცვაზე. გიორგაძის თქმით, სუბარი თავისი პოსტის გადარჩენის მიზნით ცდილობს მისთვის დანაშაულებრივი ქმედებების ჩამორეცხვას.**

**ინტერპრესნიუსი**

მადლიერება

## მართლაც, რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს!

**ექსკურსიაზე ქალაქგარეთ გასვლა დილაადრიან გადავწყვიტეთ. ფირის შესაძენად ფოტომაღაზია „ფუჯიფილმს“ (კოსტავას ქ. № 24ძ მეგობრის მანქანით მივაკითხე. გამყიდველი ნათია გაბრიელაშვილი თავაზიანად მომემსახურა, ფირიც შემირჩია და ჩამიდო აპარატში, ელემენტებიც გამომიცვალა და ისიც დასძინა, თუ ჩვენთან მოიტანთ, ფირს უფასოდ გაგიმჟღავნებთო.**

მადლობა მოვახსენე, ოცლარიანი მივაწოდე. 3,5 ლარი ავიღე და სასწრაფოდ ჩავჯექი მანქანაში, რომელიც სამგზავრო ავტობუსს უშლიდა ხელს ჩამოდგომაში.

საღამოსღა აღმოვაჩინე, რომ თურმე კუთვნილი თანხა სრულად არ მიმიღია.

ჰქონდა კი აზრი მაღაზიაში მიბრუნებას? ვაითუ, შარიც მოედოთ, რა ცილს გვწამებ, კუთვნილი თანხა მთლიანად დაგიბრუნეთო!

მაინც გადავწყვიტე მეორე დილით მისვლა. ყოველი შემთხვევისთვის, კვლავ ადრინდელი სამოსი ჩავიცვი, რათა უკეთ ვეცნე გამყიდველს.

შესვლისთანავე მიცნო ნათიამ, — ისე უცებ გახვედით მაღაზიიდან, ვერც დაგეწიეთ, რათა კუთვნილი თანხა მთლიანად მომეცაო, და ჩემი ათი ლარი დამიბრუნა.

მარტო ფული არ არის მთავარი. ამ შემთხვევაში ჩემთვის მთავარზე უმთავრესი ის კეთილსინდისიერება და პატიოსნებაა, რომელიც ჩემთან ხანმოკლე ურთიერთობისას ამ პირმშვენიერმა ქალიშვილმა გამოავლინა და, რაც დღეს, სამწუხაროდ, ასე იშვიათია.

დიდი მადლობა მას ამისთვის.

**პეტრე დავითაია,**
**პენსიონერი.**

სამართალს ჩვენთან ეძებენ

## „ინკოგნიტოში“ რა მინდოდა, ნეტაი ფეხი მომტეხოდა...

### როცა მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

**იმ ერთი გურული სიმღერისა არ იყოს, გურიაში რა გინდოდა, სიკვდილი თუ არ გინდოდაო, სწორედ ისე დამემართა. თბილისში ფეხსაცმლის მაღაზიების მეტი რა არის, მაგრამ მე დარეტიანებული ცხვარივით მაინცდამაინც მაღაზია „ინკოგნიტოს“ მივადექი, რომელიც თბილისში პეკინისა და ბულაჩაურის ქუჩების კუთხეშია და ჩინური საქონლით ვაჭრობს, თანაც ძალიან ხშირად აიაფებენ, და რა გასაკვირია, თუ ჩემისთანა ხელმოკლე კაცი გრძელი ნაბიჯით სწორედ მუდამ იაფი საქონლის ძებნაშია.**

ერთი სიტყვით, ამ რამდენიმე ხნის წინათ ხსენებულ „ინკოგნიტოში“ ფეხსაცმელი შევიძინე, მაგრამ რაც მე ინკოგნიტოელებმა წინ და უკან მატარეს და ჯოჯოხეთი გამომატარეს, ნეტაი ფეხი მომტეხოდა და საერთოდ არ გავკარებოდი იქაურობას. საქმე ის არის, რომ ფეხსაცმელმა ჩაცმისთანავე საცოდავად დააღო პირი და თითქოს ხმაც გამაგონა, მიდი, გამომცვალე, თორემ შუა გზაში ფეხიდან გაგძვრებიო. მეც მივბრუნდი „ინკოგნიტოში“, ჩემი ახლადშეძენილი ფეხსაცმელივით მეც დავაღე პირი, მაგრამ საქმეში ხარ! ხვალ მოდი, ხვალ მოდის ძახილით რამდენიმე თვე გაიყვანეს და ბოლოს მითხრეს, რატომ თავს არ დაგვანებებ, ვერ მიხვდი, რომ ჩვენ მკვდარს ცოცხალში არ ვცვლითო.

გამიგია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება არსებობსო. იქნებ ხმა მიმაწვდენინოთ ამ საზოგადოებისათვის, რომელიც, ვფიქრობ, დამეხმარება, ინკოგნიტოელებთან საერთო ენის გამონახვაში. აქაოდა მაღაზიას „ინკოგნიტო“ ჰქვიაო, იქ მომუშავე ადამიანები მართლა თავიანთი ვინაობის გაუმჟღავნებლად, ფარულად ხომ არ მოქმედებენ?!

**დავით აროშიძე**
**ქ. თბილისი**

ვაჰ, სოფელო!..

## კარგი ვაჟკაცის სადღეგრძელო

**ამ აღდგომას დედაქალაქიდან რაიონში წავედი. მოვინახულე ახლობელთა საფლავებიც. აღდგომის დღესასწაულზე დღის მეორე ნახევარში ჩემი ბავშვობის მეგობარი ჯონდო ნებიერიძე მეწვია, მოვიკითხეთ ერთმანეთი და ვიდრე დიასახლისი მაგიდას გაშლიდა საუბარი უამინდობას შეეხო, ითქვა ისიც, რომ ხალხში გავრცელებული აზრი აღდგომას ამინდის შესახებ, ამჯერად ნაწილობრივ არ გამართლდა. ამბობენ რომ თუ ბზობას, (რომელსაც ებრაული აღდგომის — პასექის დღესასწაული ემთხვევაძ კარგი ამინდი იქნება, მართლმადიდებლურ აღდგომის დღეს იწვიმებს, ან კიდევ — პირიქით.**

საუბარში, აგრეთვე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებსაც შევეხეთ. ამასობაში დიასახლისმა მაგიდა გააწყო და მიგვიწვია, მაგიდასთან ხუთი მამაკაცი აღმოვჩნდით, წარმოითქვა მართლმადიდებლური, ჩვენი მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომასთან დაკავშირებული სადღეგრძელოები, მესამე სადღეგრძელო მიეძღვნა ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს, რომელთაც ვახარეთ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა. რიგით მეოთხე სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ჭიქები რომ შევავსეთ, მოულოდნელად ჩემმა მეგობარმა ჯონდომ ითხოვა განსხვავებული სასმისით მორიგი, მეოთხე სადღეგრძელოს წარმოთქმა. მაგიდის წევრებს ყველას გაგვიკვირდა, მაგრამ მან ეს უფლება მიიღო. ჯონდო ფეხზე წამოდგა და განსხვავებული სასმისით სადღეგრძელო უძღვნა თავის თანაკლასელ მეგობარს, აწ გარდაცვლილ სიმონ ხუნდიაშვილს, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა ქ. ზესტაფონის № 1 საშუალო სკოლაში. მათ 1964 წელს დაამთავრეს ხსენებული სკოლა და დაიწყეს შრომითი საქმიანობა, ჯონდომ ფეროშენადნობთა ქარხანაში, ხოლო სიმონმა ვაჭრობის სისტემაში. თავიანთ მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდნენ ჩვეულებრივად, როგორც სკოლაში სწავლის დროს, ოჯახებში მისვლა-მოსვლით. 1966 წელს კი ბატონი სიმონი თავის ოჯახთან ისტორიულ სამშობლოში, წმინდა მიწაზე — ისრაელში გაემგზავრა. გამგზავრებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ჯონდომ წერილი მიიღო, სადაც სიმონი სიამაყით წერდა, რომ ის ჩასვლისთანავე ისრაელის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. მომდევნო წერილებში, რომლებიც ხშირად მოდიოდა, იტყობინებოდა, რომ უშუალო მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციებში, იწერებოდა, თუ როგორ ფეთქდებოდა მათ სანგრებში ყუმბარები და რომ ისინი იბრძოლებდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ისტორიული მიწების დასაბრუნებლად!

დაახლოებით 1967 წლის ივნისიდან წერილები აღარ მოსულა და როგორც ბატონმა ჯონდომ არაოფიციალური წყაროებიდან შეიტყო, სიმონი თავისი ისტორიული სამშობლოს — ისრაელის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში გმირულად დაიღუპა. მაგრამ სიმონი არ მომკვდარა, მისი სახელი ცოცხალია და 2006 წლის სააღდგომო სუფრასთან მის მშობლიურ ქალაქ ზესტაფონში, მისი სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით როგორც ცოცხალისა, ისე შეისვა, რასაც მაგიდის წევრები დიდი ოვაციებით შევხვდით. ჯონდოს თვალებზე ცრემლები წამოუვიდა, ცრემლები დიდი სიხარულისა და აგრეთვე, დიდი სინანულისა. ჩვენ ჯონდოს დიდი მადლობა გადავუხადეთ და ჩვენის მხრიდან დავსძინეთ, რომ მაგიდასთან წარმოთქმული რიგით მეოთხე სადღეგრძელო არა მარტო კარგი ებრაელი ყრმის, თავისი სამშობლოს — საქართველოს მოყვარული და ისტორიული სამშობლოსთვის თავდადებული სიმონ ხუნდიაშვილის, არამედ მთელ ებრაელ ხალხს ეკუთვნის და ნათელი მაგალითია ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი, მარადიული მეგობრობისა.

## მოჭირნახულე

**ოთხმოცდაათი წელი ისტორიისათვის ერთი გაელვებაა, ხოლო ადამიანისთვის კი — მთელი ეპოქა. ამ დროის მანძილზე ბატონი ალექსანდრე იზრაილევი იბრძვის და შრომობს მუხლჩაუდრეკლად. მან თავისი საქმიანობითა და მოღვაწეობით ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს კიდევ ჩვენი სამშობლოს, საქართველოს საკეთილდღეოდ, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის განსამტკიცებლად.**

იგი ახალგაზრდობაში უყოყმანოდ ჩადგა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში, არის საბრძოლო ოპერაციების უშუალო მონაწილე, მძიმედ დაიჭრა, რამაც მის ჯანმრთელობას დიდი დაღი დაასვა. გამოჯანმრთელებისა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდგომ პერიოდში აქტიურად იყო ჩაბმული ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმშენებლობისთვის.

როგორც პროფესიონალი მშენებელი-ინჟინერი, ალექსანდრე იზრაილოვი მუშაობდა სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სამოქალაქო და სახელმწიფო, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე. მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო ჯილდო. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ, მიუხედავად დიდი ოჯახური ტრაგედიისა, იგი გულუხვად უზიარებს თავის დიდ გამოცდილებას ახალგაზრდა თაობას, დღენიადაგ ზრუნავს, ებრაული კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაზე.

მისი მებრძოლი სულისკვეთება და ვაჟკაცური შემართება ჩვენი ასოციაციის დამფუძნებლებისა და აქტივისტებისთვის ჭეშმარიტად მისაბაძი მაგალითია, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

**გურამ კუპატაძე,**
**ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის საერთაშორისო ასოციაცია „მადლის“ პრეზიდენტი.**

◉ განსჯა

# თვითმმართველობის არჩევნები თუ მორიგი აბსურდის თეატრი ქართულ პოლიტიკაში?

(მეოთხე გვერდიდან)

მართლაც გრიგალივით შემოიჭრა ქალბატონი სალომე ოპოზიციურ სპექტრში, სადაც ოზივატელის და არა მარტო მათ თვალში, ოპოზიციის გამაერთიანებლად, უალტერნატივო ლიდერად მოიაზრებოდა. ბევრი იყო ისეთიც, ვინც ახალ რევოლუციას ელოდა, იმდენად მაღალი ტემპერატურა იგრძნობოდა იმ დღეს იპოდრომზე, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად, ამ ტემპერატურას დუღილისთვის არ მიუღწევია. პირიქით, მას მერე სულ ქვევით და ქვევით მოდის, რადგან იმთავითვე გაცხადდა — ქუჩის აქციები, მიტინგები კი არ იქნებოდა ახლად შექმნილი ოპოზიციური მოძრაობის ტაქტიკა, არამედ მიზანმიმართული, აკადემიური მზადება არჩევნებისთვის. ქალბატონ სალომეს მოქმედების ამ აშკარად უჩვეულო სტილს, ზედმეტად ევროპულობის გამო, „პოლიტიკური პანტომიმა“ უწოდეს დანარჩენ ოპოზიციაში. ასეთი შეფასება მაშინ ალბათ უსაფუძვლო იყო...

**2 ივნისის „რეაქციაში“ ერთი შეხედვით ბევრ კითხვას გაეცა პასუხი. თუმცა ახალი კითხვის ნიშნებიც გაჩნდა. ფოთიდან პირდაპირი ჩართვისას სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ქალაქის მერის პოსტზე აპირებს კენჭი იყაროს. მიუხედავად მახინჯი საარჩევნო სისტემა-კანონებისა, მარტო აპირებს ხელისუფლების დამარცხებას და რომ არ აინტერესებს დანარჩენი ოპოზიცია თუ ხელისუფლება.**

მიუხედავად ამ კონფრონტაციული ტონისა, იმავე საღამოს და იმავე „რეაქციაში“ კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ **ის მზად არის, მხარი დაუჭიროს სალომე ზურაბიშვილს ერთი პირობით — თუ ქალბატონი სალომე დათანხმდება, იყოს გაერთიანებული ოპოზიციის საერთო კანდიდატი.** როგორც შემდეგ გაირკვა, ამავე აზრისაა დანარჩენი ოპოზიციაც. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს ქალბატონი სალომე აკეთებს, რბილად რომ ვთქვათ, გამაღიზიანებელ განცხადებას, **არავისთან არანაირ გარიგება-მორიგებას არ ვაპირებო.**

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს და რას უნდა მოველოდეთ? ოპოზიციამ აქამდე განუხილავ ვარიანტზე დაიწყო საუბარი. ოპოზიცია ან სალომეს გარდა სხვა საერთო კანდიდატზე შეთანხმდება და ამდენად არჩევნებზე დაუპირისპირდება როგორც ხელისუფლებას გიგი უგულავას სახით, ასევე ქალბატონ სალომეს, ან ისევ საყოველთაო ბოიკოტი.

**ორივე შემთხვევაში ხელისუფლება რჩება მოგებული. იდეალურ შემთხვევაშიც კი, თუ სალომე დათანხმდება გაერთიანებულ ოპოზიციის კანდიდატობას, გიგა ბოკერიას პირმშო საარჩევნო აბრაკადაბრას პირობებში ოპოზიციის შანსები მიზერულია, ოპოზიციის ორ სუბიექტად გასვლისას ხომ პრაქტიკულად ნულის ტოლია! არც ბოიკოტი გამოვა, თუ სალომე ზურაბიშვილი მაინც იყრის კენჭს. ასე რომ, ყველაფერი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს.**

რამდენადაც მშვენიერი ქალბატონია სალომე, არანაკლებ გონიერიც არის და ამიტომ, რაც ზემოთ ითქვა, დიდებულად ესმის. ცოტა უფრო ადრე მან ისიც განაცხადა, არჩევნებზე მარტო გასვლას იმიტომ ვაპირებ, მსურს შევამოწმო საკუთარი თავის და პარტიის შესაძლებლობებიო. ამის გამო ერთს ვიტყვი: სალომე კი არა, ზვიად გამსახურდია რომ ადგეს საფლავიდან, ამ პირობებში მასაც გაუჭირდებოდა. ზემოთ ვამბობდი, ბოიკოტის შემთხვევაში ხელისუფლებამ შეიძლება სპეციალურად შექმნას ოპოზიციამეთქი, მაგრამ, ეტყობა, არ იქნება ეს საჭირო. თუ ქალბატონმა სალომემ თავის მოსაზრებას არ გადახედა, ხელისუფლება უკეთესს ვერ ინატრებს — გიგი უგულავას არჩევით მერს გახდის და დასალევითის წინაშეც სათქმელი ექნება — სალომე ზურაბიშვილი, საფრანგეთის დემოკრატიის შვილი, კენჭს არ იყრიდა, ჩვენ რომ კარგი ბიჭები არ ვიყოთო.

უკვე მქონდა ამ ყველაფრის გამო საუბარი სხვადასხვა ოპოზიციურ ლიდერთან, რომლებიც ხელისუფლებასთან სალომეს გარიგებაზე ლაპარაკობენ. ზოგი უფრო შორსაც მიდის და აცხადებს, რა გარიგება, სალომე იგივე ხელისუფლებააო. აქ გვარებს არ დავასახელებ, რადგანაც მშვენიერი ქალბატონის გონიერების მცირე იმედი კიდევ მაქვს. თუ არადა, მოვა დრო, თავად განაცხადებენ ამის შესახებ ოფიციალურად და არა მარტო ამას. უკვე მიდის საუბარი იმის შესახებაც, რომ ქალბატონი სალომე ვერ იქნება კარგი მერი, რომ რასაც ის აპირებს, იმით „ქაჯები“ კი არ წავლენ, კაი ხანს დარჩებიან და არა მარტო თბილისში, რომ...

### თბილისის მერი თბილისელი უნდა იყოს და არა თუნდაც პარიზელი

**ეს მოსაზრება შეიძლება ყველაზე მეტად ლეგიტიმური იყოს. არსებობის უფლება რომ ნამდვილად აქვს, უეჭველია. დიახაც, თბილისის მერი თბილისელი უნდა იყოს. ისევე როგორც ქუთაისისა ქუთაისელი და ლონდონისა — ლონდონელი.**

სხვათა შორის, ამ თეზის საკანონმდებლო უზრუნველყოფა დედაქალაქის ოპოზიციამ ჯერ კიდევ მაშინ სცადა, როცა სალომე ზურაბიშვილი არანაირად არ შეიძლებოდა ამ პოსტზე მოაზრებულიყო. მახსოვს მაშინ, ხელისუფლებამ უკბილო ქილიკი დაიწყო გორგასლის ხოხობზე. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ სალომე ზურაბიშვილი სადმე „მეტროსტროიში“ ან „აფრიკაში“ ჩამოსვან მანქანიდან. ვეჭვობ, პერსონალური მძღოლის გარეშე საკუთარ სახლს მიაგნოს. ქალბატონი სალომე დიახაც მეტის ღირსია — ნორმალური ხელისუფლების დროს, უკეთესი საგარეო მინისტრი ვის ეყოლება? არც პრეზიდენტობას დავინანებდი მისთვის.

**P. S. „თბილისელი ვერ გახდები, თბილისელად უნდა დაიბადოო“, ნათქვამია. თუმცა ეს „ბუკვალურად“ მხოლოდ გორგასალის ხოხობზე მოქილიკე „გორსალებს“ ესმით, რომელთაც არც თბილისის ქუჩა იციან რა ხილია და არც თბილისის უბანი. ტერმინი „ნაღდი ქალაქელიც“ ალიზიანებთ. აბა ვინმემ იქნებ მითხრას: გალაკტიონი, ლადო ასათიანი, ნიკალა ფიროსმანი, თუნდაც ნიაზ დიასამიძე ვისზე ნაკლები თბილისელები იყვნენ!..**

**დიახაც, თბილისის მერი ნაღდი თბილისელი, ნაღდი ქალაქელი უნდა იყოს.**

**დავით მხეიძე**

◉ ინფორმაცია

## ხანძარმა 6 ოჯახი დააზარალა

**ერეკლე მეორის №7-ში მდებარე იტალიური ტიპის ეზოში გუშინ ხანძრის შედეგად 6 ოჯახი დაზარალდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ცეცხლი გაჩნდა, სავარაუდოდ, მეორე სართულიდან, შემდეგ კი მოედო სახლების სახურავს. დაზარალდა რამდენიმე ოჯახი.**

**ხანძრის ლოკალიზაციას 25 წუთი დასჭირდა. შესაძლებელია, ის გამოწვეული იყო ელექტროსადენების გაუმართაობით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყებები გამოიკვლევენ.**

## მდინარემ გვამი გამორიყა

**ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონასთან მდინარე ენგურის ადიდების გამო ზუგდიდის რაიონის სოფლებს საფრთხე შეექმნა. რთული მდგომარეობაა სოფელ შამგონაში.**

**მოსახლეობის განცხადებით, მდინარემ რამდენიმე ჰექტარი მიწა მიიტაცა, მათ შორის არის როგორც საავტომობილო გზა, ასევე მოსახლეობის კუთვნილი საყანე მიწები.**

**მოსახლეობა აცხადებს, რომ თავის დროზე ჯებირსამაგრი სამუშაოები არ ჩატარებულა და პრობლემა სწორედ ამიტომ წარმოიქმნა.**

**ადიდებულმა მდინარემ სოფელ შამგონაში გამორიყა 20 წლის მამაკაცის გვამი, რომელიც 15 დღის წინათ გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში დაკარგული გიორგი ცანავა აღმოჩნდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ მრწამსი

# უნივერსიტეტი პროკრუსტეს სარეცელზე

(მეოთხე გვერდიდან)

**ტირან პისისტრატეს არ უცდია სოლონის თავისუფალი აზრის ჩახშობა. იგი ითვალისწინებდა ბრძენი რეფორმატორის დამსახურებას ათენის წინაშე და ცდილობდა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ესარგებლა მისი რჩევით.**

ციცერონის სენტენცია — **ისტორია არის ცხოვრების მასწავლებელი — გონიერ ადამიანებს სერიოზულ საზრდოს აწვდის.** ქართული რეალობა ამ სიბრძნეს უცხოურმა მიმბაძველობამ კატასტროფულად დააშორა. ნებისმიერი კულტურული ერი დიდი გულისხმიერებით ეკიდება საკუთარ ტრადიციებს და ცდილობს მის შეთავსებას თანამედროვე მიღწევებთან. **დღევანდელმა ქართულმა რეფორმატორებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს ყოველივე ეროვნულს და „ეროვნულის“ ნიღბით დაიწყეს სულიერ ფასეულობათა ანტიეროვნულ ნერგზე დამყნობა. მათი წყალობით, ქართული სულიერება რამდენიმე წელია გილიოტინაზე აყვანილ სიკვდილმისჯილს ჰგავს.**

უნაარ-ჩევევბზეორიენტირებულმა მინისტრმა ა. ლომაიამ, ქართველები ხმამაღლა გამოაცხადა გაუნათლებელ ერად. პარტიული ამბიციებით ზურგგამაგრებული მეცნიერებს ასწავლის, როგორ წარმართონ კვლევა-ძიება. თავს ისე გვაჭვლის, თითქოს ღმერთს უნდა ვწირავდეთ მადლობას, რომ ასეთი ღვთისნიერი მოგვივლინა სიბნელიდან გამოსაყვანად. **სინამდვილეში მსგავსი ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართულ სიწმინდეებს არც ერთი დამპყრობლისგან არ განუცდია. „წარმატებული რეფორმა“ საქართველოს უახლოეს მომავალში სრულ უწიგნურობამდე მიიყვანს.**

„წარმატებული რეფორმის“ ინიციატორებმა, ფარნავაზისა და ქუჯის, ფარსმანებისა და ვახტანგ გორგასალის, გრიგოლ ხანძთელისა და მთაწმინდელების, იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის, დავითისა და თამარის, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას და სხვა მრავალ დიდებულ ხატთა მემკვიდრე ერი, მიიჩნიეს უნიო, ბნელ მასად და უცხოელ „კეთილისმსურველთა“ საამებლად გაუთანაბრეს აფრიკის ჯუნგლებში კალიებისა და მატლების შემგროვებელ ტომებს. ყოველივე ეს კეთდება დაბალი მონაცემების, ენაგატლეკილი ჩინოვნიკების ცინიკური და ღირსების შემლახავი უტიფრობით, თითქოს სურვილი ამოძრავებდეთ გადაარჩინონ ქართული განათლება და მეცნიერება.

**რატომ ეპყრობა ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს როგორც დამპყრობელი?**

ანტიკურ სამყაროში იყო შემთხვევები, როცა გამონაკლისის სახით მონებსაც ჰყავდათ მონები. **მონის მფლობელი მონა დაუნდობელ მჩაგვრელს წარმოადგენდა. იგი საკუთარი არასრულფასოვნების ჯავრს მისსავე ბედში მყოფ გაუბედურებულ ადამიანებზე იყრიდა. ანალოგიურად გვექცევიან ჩვენც. თავიანთი ბატონების ნება-სურვილი რომ შეასრულონ და ერთგულება დაუმტკიცონ, ცდილობენ ჯოჯოხეთური პირობები შეუქმნან თვისტომებს.**

მძლავნელობის თვალში საიმედო დასაყრდენის სახელი განიმტკიცა.

**რესპუბლიკის პერიოდის რომის სრულუფლებიანი მოქალაქის კარიერა შესაფერისი განათლების გარეშე შეუძლებელი იყო. ყველაზე დაბალი მაგისტრატურის (კვესტორისძ კანდიდატს 10 წელი არმიაში უნდა ჰქონოდა გატარებული. ძვ. წ. 180 წელს მიღებული კანონი აწესრიგებდა მაგისტრატების ასაკს და არჩევის პრინციპებს. აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა თანამიმდევრობის დაცვა.**

— გვმოძღვრავენ ვილაცის დაქირავებული მსახურები, რომლებსაც ქართველები ბრმებად ჰყავთ წარმოდგენილი.

აუქმებენ უნივერსიტეტს, განათლების მინისტრი გვპირდება, რომ შეიქმნება ალტერნატიული სასწავლებელი, რომელსაც დაეკისრება შემცვლელის ფუნქცია. დაიწყეს იმით, რომ შეკვეცეს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგები. ხელისუფლება მესაფლავეებად იყენებს უნივერსიტეტიდან და საერთოდ მეცნიერებიდან საკმაოდ შორს მდგომ პირებს. უნივერსიტეტში



ყველა ეპოქაში ქვეყნის ბედს ანდობდნენ ცხოვრებისეული ცოდნით მეტნაკლებად გამორჩეულ პირებს. ჩვენს სინამდვილეში ასპარეზი დაეთმო გამოუცდელ და მცირე ცოდნის ჭაბუკებს, რომლებიც პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩევიან.

**დემოკრატიულ ათენში არსებობდა კატეგორიული მოთხოვნა: „ბიჭს არ უნდა ვაბარებდეთ სახელმწიფო საქმეებს“.** ქართულ სინამდვილეში უბედურების სათავე „ბედნიერი ახალგაზრდების“ სილაღეშია. უნივერსიტეტის ერთმა ახალგაზრდა რეფორმატორმა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა მითითებით, ლექცია მეორე კორპუსიდან პირველში გადმოიტანა და ამაყად შეაღო სხდომათა დარბაზის კარი, იმ მიზნით, რომ სამეცნიერო საბჭოს შეკრებისათვის ხელი შეეშალა. სასწავლო წლის დასასრულს აუდიტორიების შეცვლა არ ხდება და რაც მთავარია, სხდომათა დარბაზში ლექციები საერთოდ არ ტარდება. ახალგაზრდა ლექტორმა (გვარს არ დავასახელებძ თავისი გმირული საქმის მონაწილედ სტუდენტებიც გაიხადა. ხოლო იმ ადამიანებს, რომლების მხარეზეც იდგა „რეფორმატორების“ გამოჩენამდე უნივერსიტეტის სახელი, კარები მრისხანედ მიუჯახუნა და ჭაღაროსნებთან ლაპარაკი საკუთარი ღირსების შელახვად ჩათვალა. ზრდილობაში მოიკოჭლა, სამაგიეროდ ხელ-

**პრეტორი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ყოფილი კვესტორი, კონსული — ყოფილი პრეტორი. თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი იყო ორწლიანი ინტერვალი. მკაცრად იყო განსაზღვრული ასაკი. კვესტორად ირჩევდნენ 28 წლის მოქალაქეს, ედილად — 37 წლის, პრეტორად — 40 წლის, კონსულად შეუძლებელი იყო 43 წელზე ახალგაზრდის არჩევა.**

ასეთი მოთხოვნები არსებობდა რომში ქრისტეს შობამდე.

**ქართულ დემოკრატიაში ყველაფერი შებრუნებითაა. მინისტრებად და უმაღლესი რანგის მოხელეებად ინიშნებიან საეჭვო განათლების პარტიული აქტივისტები, რომლებსაც კონკრეტული საგნის ცოდნა არ მოეთხოვებათ.**

**წარსული რეჟიმებიდან ავიღეთ ყველაზე ცუდი: რევოლუციისადმი თავდადებულთა უპირატესობა.** დროის მოკლე მონაკვეთში ჩატარებულმა ამგვარმა ექსპერიმენტმა თავის უძლურებაში რამდენჯერმე დაგვარწუნა, მაგრამ სანაცვლოდ სავარძლის გარდა ვერაფერი მოვიგონეთ. კვლავ დიდების შარავანდედით ვმოსავთ ხალხის ინტერესებისათვის გულანთებულ „რაინდებს“.

ისმის მრისხანე მოწოდების ხმა, ძირს უნივერსიტეტი და აკადემიაო. ძირს კორუმპირებული ქართული მეცნიერება,

დგას XX საუკუნის 30-იანი წლების ატმოსფერო, როდესაც ბოლშევიკებმა იგი გააუქმეს. თუმცა დღევანდელ და მაშინდელ გაუქმებას შორის განსხვავება შეუდარებლად დიდია. „ეროვნული“ ხელისუფლება რამდენიმე ათას პროფესორსა და მეცნიერ-თანამშრომელს ქუჩაში უშვებს. **ყოჩაღ ვარდ-ყვავილებით მკერდდამშვენებულო რეფორმატორებო! თქვენი სახელი თავისუფლად დაჩრდილავს ჰეროსტრატეს დიდებას.** ბოლშევიკებს თუ აჯობებდით, ქართველებს აზრად არ მოუვიდოდათ.

ძველი სიბრძნე ქადაგებს: **ისწავლე მოსმენა, თუ ლაპარაკი არ შეგიძლია.** ბევრი ლაპარაკი არ ნიშნავს განათლებას. უნდა გვახსოვდეს, მცოდნე ყოველთვის ცოტას ლაპარაკობს. დრო დადგა **„მომგებიანი“: ქვეყანას ვამართვინებთ იმათ, რომლებიც უნდა იჯდნენ და ცოდნას ეუფლებოდნენ.**

ყველა ერში არიან გმირები და ნაცარქექიები. აქტიურია ნაცარქექია. მედროვეთა გუნდრუკის კმევა ამრავლებს ნაცარქექიებს. ნორმალურ საზოგადოებაში ჭკვიან ადამიანებს უსმენენ, საქართველო არის გამონაკლისი.

როდემდე უნდა ვითმინოთ ეროვნული სიწმინდეების შეურაცხყოფა და ღირსების აყრა. რატომ მიაჩნიათ ევროპულად „განათლებულ“ რეფორმატორებს სამშობლოს სიყვარული ჩამორჩენილობად და რაღაც „იზმების“ გადმონაშთად. მურვან ყრუს, ჯალალ ადდინის, მონღოლების, თემურ ლენგის, შაჰ-აბასის ურდოებში თითო-ოროლა გადაგვარებული და უზნეო ქართველებიც ერივნენ, მაგრამ ერი იდგა ერთსულოვნად. დღეს პირიქითაა. **მტერი თავს დაგვესხა ქართველის სახით. მტერმა ქართველთა გასანადგურებლად ყველაზე საიმედო იარაღს, ქართველს მიაგნო. გვიტევენ ვარდ-ყვავილებით მოსული ქართველები, რომლებმაც საფუძველი გამოაცალეს ყოველივე ეროვნულს, თანაც დაგვცინიან, თავიანთ ბოროტ ზრახვებს „ეროვნულს“ უწოდებენ.** სკოლის განადგურებას განათლების რეფორმა უწოდეს. აკადემია დაშალეს მეცნიერების რეფორმირების მოტივით. უნივერსიტეტს აუქმებენ და გვეუბნებიან, კეთილი მიზნები გვამოძრავებსო.

**ნუ ვიქცევით ეროვნული უბედურების გულგრილ მაყურებლებად. ეს ეხება როგორც პროფესორს, ისე სტუდენტს.**

ოცნებაახდენილიმზეჭაბუკებილაღად მიაქანებენ ისტორიის ეტლს მეცნიერების უფსკრულში გადასაჩეხად. უნივერსიტეტს უმზადებენ პროკრუსტეს სარეცელს, რომლისგანაც ვინ გადარჩება უვნებელი, მხოლოდ ეშმაკმა იცის.

**კოლეგებო! ჩვენი დუმილი თანხმობად მიაჩნიათ, შეკითხვის ღირსად მაინც ჩაგვთვალონ. ფხიზელმა მეხსიერებამ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება და უმოქმედობით საკუთარ თავს განაჩენი არ უნდა გამოუტანოს.**

გადამთიელთა მსახურებს, ნაადრევად „დაბრძენებულ“ რეფორმატორებსაც დაუდგებათ დანაშაულის მონანიების დრო, ამიტომ უკან დასახევ გზასაც თუ დაიტოვებენ, ურიგო არ იქნება. განუკითხაობა დასრულდება. მომავალი არავის არ აპატიებს პარტიული ნიშნით ნასაზრდოებ „რეფორმას“, მიმართულს მეცნიერების საწინააღმდეგოდ.

**ჩემი საქმიანობის სფერო და სტილი არ არის მსგავსი წერილების წერა. აქამდე სულ სხვა ინტერესებით ვცხოვრობდი. უნივერსიტეტში შექმნილმა სიტუაციამ, რეფორმისტთა თითის ქნევამ და მუქარამ მაიძულა, გამომხმაურებოდი დღევანდელობის სამწუხარო ფაქტებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არაფერს ვაჭარბებ. სრულ სიმართლეს უახლოესი მომავალი დაგვანახებს.**

**გრანი ქავთარია**

ახლა საქმესთან უფრო ახლოს მივალ... რომანი იგივე სახელმწიფოა. თავისი მოსახლეობა ჰყავს, თავისი კანონები აქვს, თავის ფულს ატრიალებს, რომელსაც ქვეყნის გარეთაც აქვს ან არა აქვს გასავალი. რომანს თავისი ნაპირები, თავისი საზღვრები, თავისი ომი, თავისი მშვიდობა და თავისი დრო აქვს, რომელი დროც გრინვიჩით გაზომვის სისტემას არ ექვემდებარება. რომანს თავისი ჰავა აქვს, ზღვის დონიდან თავისი სიმაღლე აქვს, თავისი დაბლობები აქვს (ზღვის დონის დაბლა მდებარე ნაწილები) და თავისი მეზობლები ჰყავანან. აქვს აგრეთვე თავისი ეკონომიკა, კარგი ან ცუდი, და ძალუძს ან არ ძალუძს თავის მოქალაქეთა გამოკვება. რომანს, როგორც ყველა სახელმწიფოს მსოფლიოში, აქვს თავისი ენა, რომელიც ესმით ან არ ესმით იმის საზღვრებს გარეთ მყოფ ადამიანებს. რომანს ჰყავს თავისი უცნობი ჯარისკაცი, აქვს თავისი მშიერი და მაძღარი წლები, თავისი ღარიბი მხარეები და თავისი ჭირნახულიანი ხოდაბუჭურ-ხოდაბუნები. არ შეიძლება, რომ სახელმწიფო არ დაქვეითდეს და არ დაკნინდეს, უკეთუ იქ კარგად ისინი ცხოვრობენ, ვინც ანგრევს იმ თავის სახელმწიფოს, ხოლო ცუდად ისინი არიან, ვინც ძირს უმაგრებს იმავე ქვეყანა-სახელმწიფოს. იგივე ამბავია რომანის თავსაც. რომანს აქვს თავისი დიპლომატიური სამსახური, აქვს ექსპორტი და იმპორტი. უკეთუ რომანს თავისი ქვეყნიდან გაპარვა უნდა, საზღვრების გადასაკვეთად მრავალი საზღვარგარეთული ვიზა თუ არ გაიჩალიჩა, მაინცდამაინც შორს ვერ წავა.

სახლს, კარგად მოგეხსენებათ, საძირკვლიდან აშენებენ, რომანს – სახურავიდან. ეს უკუპერსპექტივა იმის მაჩვენებელია, რომ რომანი კირჩხიბის ნიშნით იბადება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი თავისი მეტასტაზების ხარჯზე ცხოვრობს და იმათით იკვებება. გულისყურიანი მკითხველი უთუოდ შეამჩნევს ზოგიერთ რასმე განმეორებას აქაც და სხვა წიგნებშიც. ეს განმეორებანი იმით უნდა ავხსნათ, რომ ყოველი რამ ორჯერ უნდა ითქვას, რათა ერთხელ მაინც გაიგონონ...

სახელმწიფოს აქვს თავისი ენა, ენას კი – თავისი გრამატიკა. თავისი ენა და გრამატიკა აქვს რომანსაც. რომანს, როგორც რომ სახელმწიფოს, აქვს აგრეთვე თავისი გეოგრაფიული რუკა. ეს არის რომანის ენათა რუკა. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს წარმოშობა. არიან „ჯიშიანი" სახელმწიფოები, წარმოშობით დიდებულნი და უძველესნი, და არიან ღვინის ქინქლისა, ანუ ბურნისა არ იყოს, ერთი სეზონისთვის გაჩენილი სახელმწიფოები... სხვა სიტყვებით თუ გამოვთქვამთ ჩვენს აზრს, ჰეგელის კვალდაკვალ შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ ადამიანთა საზოგადოებაში არის ორი „ობიექტური ძალა" – სახელმწიფო და ოჯახი. რომანიც მუდამ რომელსამე ოჯახს ეკუთვნის. რომანს თავისი მამაცა ჰყავს და თავისი დედაც. მაგრამ უდედმამო, ობოლი რომანიც არის, სხვისად მიგდებული. Enfant terrible. სახელმწიფოს მსგავსად ისიც შეიძლება რომ თავის გვარტომს მიეთვლებოდეს ანდა სულაც ნაგერალი იყოს, დაუთესლად მოსული. ან იქნებ ჩალისფასიანი მეძავი იყოს, ანდა დიდფასიანი დიაცი. კარგადაც შეიძლება რომ ეცვას და ცუდადაც. იქნებ არც თავისი მოდგმისა და საგვარეულოს ღალატი გაუჭირდეს. რამეთუ თავისი ცხოვრების სხვადასხვა ჟამს (სახელმწიფოსი არ იყოს) ადამიანი თავის წინაპართ ემსგავსება, როგორც რომ მამაკაცთ, ისე დედაკაცთ, მაგრამ რომელიღაც დროს ის ანაზდად ჯერეთ კიდევ დაუბადებელი თავისი შვილთაშვილის ალი-კვალი ხდება, რომელ შვილთაშვილსაც ვერცროდის მოიხილავს. ჩვენ არც ჩვენს შორეულ წინაპართ ვიც-



# მილორად პავიჩი

# რომანი როგორც სახელმწიფო

## „ხაზარული სიტყვისკონის" ბოლოთქმის მაგიერ

ნობთ და არც შთამომავალთ, და ზუსტად ასევე არ ვიცნობთ არც რომანის წინაპართ და შთამომავალთ. რომანთ კი არა მარტო თავიანთი წინამორბედნი, არამედ თავიანთი შთამომავლობაც, თავიანთი ძე-ასულნი, თავიანთი შვილთაშვილის შვილნი ჰყავანან.

წიგნთათვის სასიცოცხლო კავშირის გამბმელი ენაა, რომელიც სახელმწიფოში არსებული კანონის მსგავსია, მაგრამ ამავე დროს კანონიცა და ენაც ძალზე პირობითად უნდა გავიგოთ და როგორც ერთში, ისე მეორეში უწინარესად ის აზრი უნდა ვიგულისხმოთ, თავისი რიტმისა და ხმის ცვლა რომ შეუძლია და ამ რიტმთან და ხმასთან ერთად თვითონაც რომ იცვლება.

და დროსა და სივრცეში რიტმის, აზრისა და ხმის ეს ცვლა, ყველა ის გარდაქმნა, რაც თაობიდან თაობაში ერთსა და იმავე ენაში ანდა ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას ხდება, სუყოველი ლიტერატურული ნაწარმოების, სუყოველი სიტყვაკაზმული ქმნილების ბედსა და სიღრმისეულ ბუნებას წარმოსახავს. თუკი დერეკ ვოლკოტს უარვყოფთ, მაშინ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნაწერი, გინდ ტექსტი თქვი, ფონეტიკური სხეულის მარტოოდენ ჩრდილია. მხატვრული ნაწარმოები რიტმია, რომელიც ჟამთა ცვლაში და ახალ-ახალ თარგმანთა კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო შორდება ავტორს. ამ დაშორებას იწვევს თარგმანის არასიზუსტე და ტექსტის არასწორი გაგება, აგრეთვე ის გარემოება, რომ თითოეულ მკითხველს ტექსტში რაღაც თავისი შეაქვს, და ეს მკითხველის პირადი წვლილი მსოფლიო მწერლობის უზარმაზარ ვირტუალურ დარგს წარმოადგენს.

ბარემ აქვე დავძენ იმასაც, რომ მხოლოდ ცუდი ნაწარმოებები ვერ უძლებენ სუსტი თარგმანებით გამოცდას, ვერ იტანენ რიტმის ცვლას, როგორც ერთი ენიდან მეორე ენაში, ისე ერთი საუკუნიდან მეორე საუკუნეში გადატანას. გარკვეული აზრით, უკეთუ რომანმა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით დაიწყო სიცოცხლე, უკეთუ „ყველას ყურზე აკერია", მან აუცილებლად უნდა უღალატოს თავის ავტორსაც და იმ ენასაც, რომელზედაც დაწერილია. „ხაზარული სიტყვისკონა" არა მარტო სივრცეში მემანძილება, რამეთუ სულ უფრო ცხრამთასიქითურ ენებზე თარგმნიან, როგორიც, მაგალითად, ჩინური, იაპონური ანდა კორეულია, არამედ დროშიც მშორდება – თანდათან სულ უფრო ნაკლებად მეკუთვნის მე და სულ უფრო მეტად ახალ თაობათა კუთვნილება ხდება, იმათ ენასა და მოლოდინს ენაქვსება, სულ მეტად და მეტად იქცევა იმ მხატვრულ ნაწარმოებებად, რომლებიც „ხაზარული სიტყვისკონის" შვილები და შვილთაშვილები გახდებიან. სწორედ ამიტომაც ვთქვი, რომ დღეს თავს რამდენადმე ნაკლებად ვგრძნობ „ხაზარული სიტყვისკონისა" და „ჩაით დახატული პეიზაჟის" ავტორად, ვიდრე გუშინ ვგრძნობდი, და კიდევ უფრო ბევრად ნაკლებად ვგრძნობ, ვიდრე მაშინ, როცა ამ რომანებს ვწერდი. გარდა ამისა, უკეთუ ახალი წიგნის დაწერას აპირებ, წინა უნდა დაივიწყო. აი, რატომ არის, რომ სულ უფრო ნაკლებად ვარ ჩემი წიგნების მწერალი, და ის დღეც მოვა, როცა საერთოდ აღარც ვიგრძნობ თავს ამ ჩემი წიგნების დამწერად, რამეთუ ბევრად უფრო შორს ვიქნები ჩემეულ ნაწარმოებთაგან, ვიდრე რომელიც გნებავთ ჩემი მკითხველი. ვგონებ, ეს ძალიან კარგი ამბავია, და აკი მახარებს კიდეც.

სახელმწიფოს ჰყავს თავისი დამფუძნებელი, დამსაძირკვლებელი. ის რომანსაც ჰყავს. მწერალზე მოგახსენებთ. მწერალი იქნებ ბრძენიც იყოს, მაგრამ ნიჭს მოკლებული. ან იქნებ სულელიც იყოს, მაგრამ ნიჭიერი. ეს ერთ-ერთი ყველაზე უარესი ვარიანტია. მწერალს თავისი სახელიც შეიძლება რომ ერქვას და სხვისიც, ანუ თიკუნს იყოს ამოფარებული.

რომანის წერისას სუყველა მწერალი ორ კრიზისს განიცდის. სამუშაოს თავსა და ბოლოში. პირველი კრიზისი მაშინ დგება, როცა ეს-ეს არის ხელი მიჰყეთ რომანს, როცა სიუჟეტი ფრთების გაშლას იწყებს. როცა ის თავთან უფრო ახლოა, ვიდრე ბოლოსთან. რომანი ჯერეთ არ მომწიფებულა, არ იცის, როგორ გაგრძელდება, საით წავა ხვალ. ეგ არც თქვენ იცით. რომანი ფეხდაფეხ ვერ მოგდევთ, ერთი სული გაქვთ, სანამ სუყველა თქვენს აზრს რომანში გადაიტანდეთ, ის კი ჯერეთ ამორფულია, სიჩქარე არ განუვითარებია, ძალა არ მოუკრებია, ის მხოლოდ ამუხრუჭებს თქვენს მოძრაობას. სიზიფესი არ იყოს, თავის ლოდ-საგორავს ისიც მთის წვერისკენ მიაგორებს. იმჟამად ის თავის შემქმნელზე გონიერია. აგრეა, ხან ჩვენი შვილებიც აკი ჩვენზე ბევრად ჭკვიანები არიან. ნამდვილად აჯობებს, თუ ავტორი თავს აიძულებს და ყურს მიუგდებს რომანს, მაგრამ ეს ფრიად ძნელი საქმეა...

მეორე კრიზისი „აპოგეის" შემდეგ დგება, როცა მთის წვერზე მოქცეული რომანი მოწყდება და მთის საპირისპირო ფერდობზე დაქანდება. აწ უკვე თქვენ ვეღარ მისდევთ ფეხდაფეხ, დაღლილ-დაქანცული ხართ, გასავათებული, მაგრამ არ შეგიძლიათ შეჩერება და შესვენება, რამეთუ თქვენი რომანი ერთ ადგილზე არა დგას. თავისით მიიწევს წინ და ღმერთმა უწყის, სად გადაიჩეხება. ამჯერად ის ჟამი დგას, როცა რომანი თავის შემქმნელზე ძლიერი გახდა, და მწერალმა მთელი ძალღონე უნდა მოიკრიბოს, რათა გაუძლოს და ზედ არ გადაიტაროს თავისი ქმნილება. უკეთუ ამას მოახერხებთ, რომანს გადაარჩენთ, ოღონდ ბოლოსა და ბოლოს ლოგინად ჩავარდებით და თითქმის მთელი ერთი წელიწადი იავადებთ. მსგავს მდგომარეობაშია ადამიანი სასიყვარულო პაემნის შემდეგ, და პუშკინმა ეს მდგომარეობა იმ ლექსში აღწერა, „ევგენი ონეგინზე" მუშაობის დამთავრების ღამეს რომ შეთხზა.

უკეთუ ბედმა გაგიღიმათ, რომანი თქვენზე მეტ ხანს იცოცხლებს, ხოლო იმისი სახელწოდება თქვენი სახელის სიკვდილს მოესწრება. ამ ამბავმა არ უნდა შეგაშფოთოთ. ყოვლის უფრო სახელგანსმენელი ფერმწერალნი, ფრესკებს რომ წერდნენ, და ყოვლის უფრო განთქმული მესაროთენი, ანუ მოზაიკის ოსტატნი, თავიანთ ქმნილებებს ხელს არ აწერდნენ. ბორხესი მონატრული იყო, რომ იმისი მოთხრობები დაეხსომებინათ და არა იმ მოთხრობების ავტორი.

ჩემი სამწერლო გამოცდილება ორი ასწლეულისა და ორი ათასწლეულის მიჯნაზე მოწმობს, რომ სულ სხვადასხვაგვარად მომიხსენიებდნენ ჯერეთ კიდევ სიცოცხლეში. ჩემს წიგნებს ხან რა სახელი შეარქვეს, ხან რა როგორც ინგლისურენოვან დასავლეთში, ისე გერმანიაში: „ელექტრონული მწერალი, ინტერაქტიული ლიტერატურა, არასწორხაზოვანი თხრობა, პოსტმოდერნიზმი" (R. Coover, L. Olsen lf c[dt,b). საფრანგეთსა და ესპანეთში „XXI საუკუნის პირველი მწერალი" მიწოდეს, ხოლო ამ ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურის თეორეტიკოსებმა მიმაკუთვნეს la literature a contrainte-ს, ანუ წარსულისა და აწმყოს იმ ავტორებს რომლებიც საკუთარ სავალს ქმნიან და ახალ ლიტერატურულ მომავალს უკაფავენ გზას (B.Schiavetta და ჟურნალი "Formule"). რუსეთში ჩემი წიგნები „პოსტგუტენბერგულ სამყაროს" მიათვალეს (ა. გენისი) და დაახასიათეს როგორც „მაგიური კონცეპტუალიზმი" (მ. ეპსტეინი).

რა ვქნა, გინდა ქოთანიც დამარქვან, ოღონდ ქურაში ნუ შემსვამენ.

თუ არ მეშლება, 1979 წლის გაზაფხულის დილა იყო. მზე ეღვრებოდა საძინებელს, სადაც იასამნისფერხავერდგადაფარებული საწოლი იდგა. ზედ 47 ქაღალდის ფურცელი გავშალე. თითოეულზე იმ წიგნის 47 სიტყვა-სტატიისა თუ თავის ერთ-ერთი სახელწოდება ეწერა, რომელსაც მაშინ ვწერდი. წიგნს უკვე ჰქონდა სახელი. „ხაზარული სიტყვისკონა" ერქვა. ოთახში ერთ-ერთი ჩემი ვაჟიშვილი შემოვიდა და მკითხა:

– რას აკეთებ, მამა?

მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა უნდა მეპასუხა. იმხანად კომპიუტერი საყოველთაოდ არ იყო შემოსული, არც ჩვენ გვქონდა ოჯახში. მე კი ისეთი რამ დავწერე, რის წაკითხვაც მოსახერხებელი იქნებოდა კომპიუტერული კლავიატურის წყალობით. დღეს ვინც ასეთ არახაზობრივ ტექსტებს წერს, ელექტრონულ მწერლებს უწოდებენ. ზოგიერთი ჩემი ნაწარმოებისა გამო იმათ რიცხვს ვეკუთვნი მეც.

საქმის არსი ის არის, რომ კითხვის ჩვენი ხერხი, რომელსაც ათასწლეულთა მანძილზე იყენებდნენ, უკვე რამდენადმე მოძველებულია და შეიძლება რომ შეიცვალოს კიდეც. ამისათვის მწერალმა თავისი სამუშაოს ნაწილი მკითხველს უნდა დაუთმოს და ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის პროცესის უფრო სრულუფლებიანი მონაწილე გახადოს.

**დასასრული იქნება**



**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ" № 108.**

◎ ინფორმაცია

## რუსეთის მტერთა შორის საქართველოსაც ასახელებენ

რუსეთის მთავარ მტრებად საქართველო, ლატვია და ლიტვა დასახელდა.

იური ლევადას ანალიტიკური ცენტრი აქვეყნებს კვლევის შედეგებს, რომელიც რუსეთის მოქალაქეთა მიერ სხვა ქვეყნების აღქმასა და მათთან დამოკიდებულებას ეხება. ამგვარ კვლევებს ცენტრი ყოველწლიურად ატარებს.

წლევანდელი კვლევის შედეგების თანახმად, რუსეთის მეგობარ-ქვეყანათა „ხუთეულში“ მოხვდნენ ბელორუსია - 47 პროცენტი, ყაზახეთი – 33 პროცენტი, ჩინეთი – 24 პროცენტი, გერმანია – 22 პროცენტი და ინდოეთი – 15 პროცენტი.

რაც შეეხება რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილი ქვეყნების ხუთეულს, იქ ლატვია 46 პროცენტით ლიდერობს. მეორე ადგილზეა საქართველო – 44 პროცენტით, რომლის შარშანდელი მაჩვენებელი 28 პროცენტს შეადგენდა. მესამე ადგილი დაიკავა ლიტვამ (42 პროცენტი), შემდეგ კი მოდიან აშშ (37 პროცენტი) და ესტონეთი (28 პროცენტი).

არაკეთილგანწყობილ ქვეყანათა სიაში აღმოჩნდნენ ასევე უკრაინა 27 პროცენტით და მოლდავეთი 9 პროცენტით.

## ღვინის გამოფენაზე მოლდავეთი და საქართველო გამოტოვეს

საქართველო და მოლდავეთი სანკტ-პეტერბურგში ღვინის გამოფენაზე წარმოდგენილნი არ არიან. საერთაშორისო გამოფენა „ღვინისა და არყის პეტერბურგის გამოფენა – 2006“ გუშინ გაიხსნა.

„მასზე წარმოდგენილია ხარისხიანი პროდუქცია, ხარისხის მოთხოვნებს კი წელს ქართული და მოლდავური ღვინოები ვერ აკმაყოფილებენ,“ – აცხადებს სს „ლენექსპოს“ წარმომადგენელი კირილ ივანოვი.

მისი განცხადებით, ეს ქვეყნები გამოფენაზე სწორედ ამ მიზეზით არ არიან წარმოდგენილნი.

პეტერბურგში გამოფენაზე წარმოდგენილია 130 ფირმა, სავაჭრო სახლი და კომპანია. მათ შორისაა უნგრეთის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიისა და აშშ-ის წარმომადგენელი კომპანიები. თავად რუსეთს კი 30-ზე მეტი რეგიონი წარმოადგენს.

## უკანონო თევზჭერა

გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს.

პალიასტომის ტბაზე მათ ასოზით ბადე, კუსტარული ელექტრომოწყობილობა და ნავები აღმოაჩინეს.

ამ დროისთვის დაკავებულია რამდენიმე პირი. სისხლის სამართლის საქმე კი 14 პირის წინააღმდეგ არის აღძრული. მათ ნაწილს ჯარიმა დაეკისრება, ხოლო რამდენიმე შეიძლება დააპატიმრონ.

როგორც გარემოს დაცვის ინსპექციაში აცხადებენ, აღნიშნული ტერიტორია ნაკრძალია და ელექტრომოწყობილობების გამოყენება აკრძალულია.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-96-32; 899 328576



# ყურადღება,

## აბიტურიენტთათვის, ვინც საუმაღლესოდ ემზადება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა რეგისტრირებულ აბიტურიენტთა მონაცემების ბაზის ფორმირება. საინფორმაციო ბაზის დახურვის შემდგომ ცენტრმა პროგრამულად დაითვალა თითოეულ ფაკულტეტზე აბიტურიენტების მიერ გაკეთებული განაცხადები როგორც არჩევნის რიგითობის მიხედვით (რამდენმა მიუთითა პირველ ნომრად, მეორედ და ა.შ.), ისე განაცხადების ჯამური რაოდენობა.

ვაქვეყნებთ ცხრილს, სადაც მითითებულია თითოეულ ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტის რაოდენობა, ამ ფაკულტეტზე განაცხადების ჯამური რაოდენობა და განაცხადების რაოდენობა არჩევნის რიგითობის მიხედვით.



(გაგრძელება იქნება)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს გულახდილი საუბარი ექნებათ



**გასულ შაბათს საქართველოსთან გაჩაღებულმა „სავაჭრო ომმა“ რუსეთს პირველი ტაქტიკური გამარჯვება მოუტანა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თვითონ დაურეკა ვლადიმერ პუტინს. კრემლის პრესსამსახურში ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთეს:** საუბრის დროს რუსეთის პრეზიდენტი დათანხმდა საქართველოს ლიდერის წინადადებას უმაღლესი დონის შეხვედრის გამართვის შესახებ, რომელზეც განიხილავენ ორმხრივ ურთიერთობაში არსებული პრობლემატიკის მთელ კომპლექსს. მხარეებმა ძალზე სწრაფად შეძლეს შეეთანხმებინათ ორი პრეზიდენტის შეხვედრის გამართვის დრო და ადგილი: პეტერბურგი, 13 ივნისი. მიხეილ სააკაშვილის აზრით, სახელმწიფოთა მეთაურების პირადმა საუბარმა „შეიძლება შეანელოს დაძაბულობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და მისცეს დასაბამი მის ნორმალიზაციას“. თუ რას გულისხმობს სააკაშვილი ამ ბუნდოვანი ფრაზების მიღმა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. საქართველოს სურს დარჩეს კავკასიაში ფორპოსტად და შეერთებული შტატების ინტერესების გამტარებლად. მაგრამ ამავე დროს, როგორც ეს წინათ ხდებოდა, კვლავ გაყიდოს რუსეთში ღვინო და მინერალური წყლები, „ჭირვეული მეზობლის“ ხარჯზე შეავსოს თავისი ბიუჯეტი. ჩვენ, რუსებს, ასეთი სიტუაცია, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს ხელს, და სწორედ ამიტომაც გაჩაღდა მთელი ეს სანიტარიულ-სავაჭრო ომი. იმედი ვიქონიოთ, უმაღლესი დონის შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინი განუმარტავს სააკაშვილს, რომ ერთდროულად ორ სკამზე ჯდომა მეტად მოუხერხებელია. არ შეიძლება, რომ საქართველო რუსეთისგან დამოუკიდებელი იყოს, მაგრამ კვლავ რუსეთის ხარჯზე იცხოვროს. ჯერჯერობით არ არის ცნობილი გაიზიარებს თუ არა ამ მოსაზრებას საქართველოს პრეზიდენტი. მაგრამ ერთი რამ სასიამოვნოა — პროცესი დაიწყო! ამის შემდეგ კი, ალბათ, უნდა ველოდოთ რუსეთ-საქართველოს ძველი მეგობრობის რეანიმაციას.

მით უმეტეს, რომ ვლადიმერ პუტინმა შაბათს, ე.წ. „რვა დიდი ქვეყნის“ საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა საგულისხმო განცხადება, რომელმაც უნდა დაამშვიდოს საქართველო. პუტინის თქმით, რუსეთი არ აპირებს დამატებითი ტერიტორიების შემოერთებას.

**დიმიტრი სტეშინი**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

გიორგი ხაინდრავა:

# „ეს ეთნიკური კი არა, პოლიტიკური კონფლიქტია“

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ უპასუხა გაზეთ Le Figaro-ს კითხვებს სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების შესახებ.**

**— თქვენ გამუდმებით აკრიტიკებთ რუსეთის პოზიციას ამ კონფლიქტში.**

— ეს პარადოქსული სიტუაციაა: 1 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა იქვე დასძინა, რომ ხალხებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება. თუ რუსეთი ლაპარაკობს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე, ცხინვალი — რუსეთთან კავშირზე, მიმართავს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს და თავის მცხოვრებლებს ანიჭებს რუსეთის მოქალაქეობას. სად არის აქ ლოგიკა? რუსეთი ამბობს ერთს, ფიქრობს მეორეს და აკეთებს მესამეს. გასულ კვირას კი მან სამშვიდობო კონტინგენტის როტაციის საბაბით ჯარები შემოიყვანა როკის გვირაბიდან, რომლის გამოყენებაც აკრძალულია ეუთოს ეგიდით დადებული შეთანხმების მიხედვით. ამას ეწოდება რუსეთის სამხედრო ინტერვენცია. მე რუსოფობი არ გეგონოთ. დედა რუსი მყავს.

**— რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საქართველოს აგრესიულობის გამო აკრიტიკებენ...**

— ჩვენთვის წარმოუდგენელია რუსეთთან ცუდი ურთიერთობების ქონა. საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელიც 200 წელია იბრძვის დამოუკიდებლობისთვის. რუსეთმა აკრძალა თავის ტერიტორიაზე ჯერ ქართული ღვინის, შემდეგ კი მინერალური წყლების შეტანა. ჩვენ განვიცდით უძლიერეს ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ ზემოქმედებას. უგუნურება იქნება, თუ ვინმე ისურვებს ოსეთის კონფლიქტის ძალის გამოყენებით მოგვარებას. სამხრეთ ოსეთის უკანონო არმია 6 ათას კაცს აერთიანებს. იქვე იმყოფება 500 რუსი სამხედრო მოსამსახურე, აფხაზეთში 1500 რუსი სამხედროა და 7 ათასზე მეტი კბილებამდე შეიარაღებული აფხაზი. მთელი ქართული არმია კი 12 ათასი კაცისგან შედგება, საიდანაც 1000 სამხედრო მოსამსახურე ახლა ერაყში იმყოფება, 150 — ავღანეთში და 100 — კოსოვოში.

**— როგორ შეიძლება მოვუღოთ ბოლო ოსეთის კონფლიქტს?**

— იარაღი, ფული და ნარკოტიკები იქ შედის როკის გვირაბიდან. ეს ზონა ვერ კონტროლდება. ჩვენ გვსურს, რომ საზღვარზე იმყოფებოდნენ ეუთოს ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. გარწმუნებთ, კონფლიქტი სულ რაღაც ნახევარ წელიწადში მოწესრიგდებოდა, ეს საზღვარი გაკონტროლებული რომ იყოს. ეს ეთნიკური კი არა პოლიტიკური კონფლიქტია, რომლის გაღვივებისთვისაც იყენებენ ადგილობრივ სეპარატისტულ ელიტას და გამსახურდიას დროს ჩადენილ შეცდომებს.

LE FIGARO

# საქართველო შემხვედრ ნაბიჯებს დგამს

**ვლადიმერ პუტინის და მიხეილ სააკაშვილის მომავალმა შეხვედრამ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ერთნი ელიან გარკვეულ წინსვლას რუსეთ-საქართველოს გამწვავებულ ურთიერთობაში, მეორენი ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკება ვერ მოიტანს პოზიტიურ შედეგს, თუ გავითვალისწინებთ „მიშას ფენომენს“. ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ სააკაშვილი პუტინთან შესახვედრად ჩადის მხოლოდ იმიტომ, რომ გაიხანგრძლივოს პრეზიდენტობის ვადა. ამ უმნიშვნელოვანესი მომენტის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ერთკვირიანი მორატორიუმიც კი დააწესა რუსეთის მიმართ რაიმე მკვახე გამონათქვამებსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასებაზე. დეპუტატებმა გაიზიარეს სპიკერის აზრი და, ალბათ, პირში წყალს ჩაიგუბებენ. უმაღლესი დონის შეხვედრამდე, რომელიც გაიმართება 13 ივნისს, ე.წ. „რვა დიდი ქვეყნის“ სამიტის წინ.**

მოლაპარაკების გამართვას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ოპოზიციური საზოგადოებრივი მოძრაობის „ანტი-სოროსის“ ლიდერმა მაია ნიკოლეიშვილმა. როგორც მან აღნიშნა, რუსეთის პრეზიდენტი ქართველ კოლეგასთან შეხვედრას დათანხმდა იმ მიზნით, რომ სასიკეთო ფონის შექმნას სამიტისთვის და არ მოუწიოს დასავლეთის წინაშე თავის მართლება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავების, კერძოდ კი ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების გამო.

თუმცა, ნიკოლეიშვილი, მრავალი პოლიტიკოსის და ექსპერტისგან განსხვავებით ფიქრობს, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრის დროს მხარეები ვერ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ როგორც თვითაღიარებული რესპუბლიკების, ისე რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი არ ემთხვევა საქართველოსას და ამ განსხვავებაში ყველაზე მთავარია ის, რომ საქართველო ესწრაფვის ნატოში გაწევრიანებას მაშინ, როცა რუსეთს სულაც არ აძლევს ხელს ალიანსის სამხედრო ბაზების განლაგება თავის საზღვრებთან. ნიკოლეიშვილი არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილს შეიძლება ურჩიონ „დაამუხრუჭოს“ ნატოსკენ მიმავალ გზაზე. „პრინციპში, სავსებით დასაშვებია, რომ სააკაშვილი დათანხმდეს ამ წინადადებას, მაგრამ თბილისში დაბრუნებისას, რა თქმა უნდა, იგი დაარღვევს პირობას“, — დარწმუნებულია ნიკოლეიშვილი.

როგორც ნიკოლეიშვილს მიაჩნია, პუტინთან შეხვედრაზე სააკაშვილი დათანხმდა უბრალოდ იმიტომ, რომ „შეეშინდა ძალაუფლების დაკარგვის და ახლა ყოველმხრივ ცდილობს შეინარჩუნოს იგი“. ამ კონტექსტით, ნიკოლეიშვილი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტების შეხვედრის დროს საუბარი შეიძლება იგორ გიორგაძეს შეეხოს, რომელიც შეიკედლეს მოსკოვში, და რომელშიც მრავალი რუსი პოლიტიკოსი საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ხედავს. ამ გარემოებით, დარწმუნებულია ნიკოლეიშვილი, „საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ძალზე დაშინებულია. მას სურს ხელისუფლების სათავეში დარჩენა და ახლა ამის გაკეთებას უკვე მოსკოვის დახმარებით შეეცდება“.

ამ ვერსიას არ იზიარებს ცნობილი ქართველი ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი. მისი აზრით, გიორგაძეზე პრეზიდენტები საერთოდ არ ილაპარაკებენ, რადგან საქართველოში მისი რეიტინგი პრაქტიკულად ნულის ტოლფასია. და საერთოდ, „სააკაშვილს სჭირდება მითი საფრთხოებელა გიორგაძის შესახებ, რათა ამით დააშინოს დასავლეთი“. ზაქარეიშვილის აზრით, პრეზიდენტები შეხვედრის გამართვას დათანხმდნენ დასავლეთის ზემოქმედებით, რომელსაც ახლა სულაც არ აძლევს ხელს არასტაბილური საქართველო, უმაღლესი დონის შეხვედრამ კი გარკვეულწილად შეიძლება შეუწყოს ხელი დაძაბულობის შენელებას.

გარდა ამისა, პუტინი ალბათ მიაღწევს მორიგებას სააკაშვილთან კონფლიქტურ ზონებში რუსი სამშვიდობოების ყოფნასთან დაკავშირებით თბილისის პოზიციის შერბილების, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში მეტი კორექტულობისა და მოსკოვის ზოგიერთი ინტერესის გათვალისწინების შესახებ. რუსეთი, ალბათ, ისარგებლებს იმით, რომ არ არის გარკვეული ნატოში საქართველოს გაწევრიანების ვადები და ეცდება, რომ დროებით ასე 2-3 წლით მაინც დაამუხრუჭოს ეს პროცესი. საერთოდ კი, ფიქრობს ზაქარეიშვილი, ზოგიერთი საკითხის თაობაზე პრეზიდენტებს შეუძლიათ მორიგების მიღწევა და საქართველო ამით მოგებულიც კი დარჩება — იგულისხმება რუსეთში ქართული პროდუქციის იმპორტზე დაწესებული ემბარგოს შესუსტება.

**„როსბალტის“**
**საინფორმაციო სააგენტო**



◎ შტრიხკოდი

# მარადიული ღირებულებანი




**რუს კანონმდებლებს აქვთ რამდენიმე საქმე, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც საყვარელ საქმეთა, ისე უიმედოთა რიცხვს, და ამიტომაც ეს საქმეები მარადიულია. დროდადრო რომელიმე პარლამენტარი წამოჭრის მავზოლეუმიდან ლენინის ცხედრის გამოსვენების, მოქალაქეთათვის ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობის საკითხებს, როგორც ეს მოხდა გასულ კვირას, როცა გამოაცხადეს, რომ ყირიმი მხოლოდ რუსეთის უნდა იყოს. სახელმწიფოს სათათბიროს რამდენიმე ფრაქციის დეპუტატებმა გაუგზავნეს წერილობითი შეკითხვა მთავრობას — როგორ აპირებს ყირიმის ნახევარკუნძულის დაბრუნებას რუსეთის შემადგენლობაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვრის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2007 წელს იწურება. მთავრობამ დუმილი არჩია, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ალაპარაკდა „პროვოკაციაზე“, სახელმწიფო სათათბირომ კი უკან გამოიხმო მის მიერვე დასმული კითხვა და განაცხადა: კარგად წავიკითხეთ დოკუმენტი და შევიგნეთ, რომ ხელშეკრულების ვადა 2009 წელს იწურებაო. გამოდის, რომ პარლამენტს შეცდომა დაუშვია. რას გააწყობ, ეს არც პირველი შეცდომაა და, ალბათ — არც უკანასკნელი.**

ქართველთა საქმენი საგმირონი

# შვიდი განგსტერიდან ორი უკვე დაპატიმრებულია

**„მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ შეიტყო ჩერტანოვოში მოსკოველი მილიციელების გახმაურებული მკვლელობის სენსაციური დეტალები. სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა დაადგინეს იმ დამნაშავეთა ვინაობა, რომლებიც დაესხნენ თავს სომეხი კომერსანტის ოჯახს. როგორც ვვარაუდობდით, ბანდის წევრები ქართველი დამნაშავეები იყვნენ. შვიდი ბანდიტიდან ორი უკვე დაპატიმრებულია. მართალია, ხუთი ბანდიტი ჯერ არ შეუპყრიათ, მაგრამ მათი ვინაობა უკვე ცნობილია.**

— დაკავებისას ფრთხილად იყავით — დამნაშავეები შეიარაღებულები არიან, — ამ სიტყვებით დაულოცა გზა ხელქვეითებს მილიციის ხელმძღვანელობამ, როცა მათ ოპერაციაზე უშვებდა.

28 აპრილს კიროვოგრადის ქუჩაზე საშინელი მკვლელობის ორგანიზატორები იყვნენ ქართველ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები, რომლებმაც მეტ-ნაკლებად უკვე მოასწრეს „სახელის მოხვეჭა“ კრიმინალურ სარბიელზე. წესრიგის დამცველებმა დააკავეს 43 წლის თეიმურაზ გონგაძე და 25 წლის დავით ზვიადაძე. გონგაძე ამ ბოლო ხანებში ცხოვრობდა მოსკოვში, ვენევსკის ქუჩაზე. მეზობლებმა იგი ორი კვირის წინ ნახეს. „კარგი, მზრუნველი ადამიანია, ერთთავად ბავშვს ასეირნებდა ეტლით“, — თქვეს მათ. ჩერტანოვოში ჩადენილი დანაშაულის შემდეგ იგი საქართველოში გაიქცა, სადაც დააკავეს კიდეც. ახლა გონგაძე იმყოფება თბილისის საგამოძიებო იზოლატორში და რუსეთში ექსტრადიციას ელის.



ამბობენ, რომ დავით ზვიადაძე, რომელიც ასევე დაპატიმრებულია, ცნობილი „კანონიერი ქურდის“ მეტსახელად გიას ვაჟია. მისი მამა თავის დროზე ბინებს ქურდავდა, თუმცა ამ ბოლო ხანებში ჩამოშორდა საქმეს. ახლა იგი „კანონიერი ქურდია“, აკონტროლებს ბინის ქურდების „მუშაობას“ და თავისი ბიზნესიც აქვს.

პალიკო ხუხია 1993 წელს დააკავეს ბელოკამენაიაში ნარკოტიკების შენახვისათვის. ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის წევრებმა იატაკქვეშა ლაბორატორია აღმოაჩინეს სასტუმრო „მოსკოვის“ ერთ-ერთ ნომერში, რომელშიც იგი ცხოვრობდა. მილიციელებმა ამოიღეს 10 გრამი ოპიუმი, შპრიცები და ნარკოტიკების დასამზადებლად განკუთვნილი ლაბორატორიული მოწყობილობა.

თბილისის მკვიდრი ვახტანგ ჯავახაძე სტაჟიანი მძარცველია. 1997 წელს იგი დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც დაესხა თავს „კამაზის“ მძღოლს. სამარყანდის ბულვარში ამ განგსტერმა თანამზრახველებთან ერთად ორ მძღოლს იარაღის მუქარით წაართვა 700 ათასი რუბლი. დამნაშავეები იმავე დღეს დააკავეს. მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ ჯავახაძემ კვლავ „ძველ საქმეს“ მოჰკიდა ხელი.

ნიკოლოზ მელაძე საქართველოში თითქმის „კანონიერ ქურდად“ იყო შერაცხული. მაგრამ თანამოსაქმეებმა „დაამუხრუჭეს“ მისი კარიერის ზრდა — თქვეს: ჯერჯერობით ამის ღირსი არ არის. ეს ადამიანიც ასევე არაერთგზისაა ნასამართლევი ქურდობისა და იარაღის შენახვისათვის. იყო დაჯგუფების ლიდერი მშობლიურ წყალტუბოში. ბოლო მონაცემებით, იგი არც თუ დიდი ხნის წინათ უნახავთ ვორონეჟში, სადაც ესტუმრა თავის ერთ-ერთ ამხანაგს მილიციელთა მკვლელობაში მონაწილე მეორე პირთან — დავით ასათიანთან ერთად.

არ არის გასაკვირი, რომ ბედმა ეს ადამიანები ერთმანეთს შეახვედრა. ოპერატიული მონაცემებით, ისინი ყველა მოსკოვში ძარცვა-ყაჩაღობას ეწეოდნენ. იმ დღეს, 28 აპრილს, დამნაშავეებმა მოინახულეს „ძველი ნაცნობები“ — ქიარამ ალიიანის ოჯახის წევრები. მას ფული ერთხელ უკვე „შეაწერეს“ და ახლა გადაწყვიტეს კიდევ ერთხელ გაეძარცვათ. ბინაში ბევრი ხალხი იყო — თვით ქიარამი, მისი ვაჟი, რძალი, ძმა ცოლთან ერთად, ძმისწული და ძმისწულის შვილი. მაგრამ დამნაშავეებს მაინც ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა (შვიდი — ექვსის წინააღმდეგ). ბანდიტებმა ყველა გაკოჭეს „სკოტჩით“, აიღეს 150 ათასი რუბლი და უკვე მიმალვასაც აპირებდნენ, როცა თავს დაადგნენ გამოძახებით მოსული „ჩერტონოვო-ცენტრალურის“ შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები ანდრეი აშურკოვი და სერგეი რებრიკოვი. განგსტერებმა მილიციელები დახოცეს და მიიმალნენ.

ჯერჯერობით თავისუფლად დაპარპაშებს ხუთი დამნაშავე: ნოე გვენეტაძე (დაბადებულია 1964 წ.), პალიკო ხუხია (1965 წ.), ნიკოლოზ მელაძე (1972 წ.), დავით ასათიანი (1967 წ.) და ვახტანგ ჯავახაძე (1972 წ.). მაგრამ ამ არამზადათა დაკავება მხოლოდ დროის საკითხია.

**ევგენია ბოროდინა,**
**დიმიტრი უსოვი**

# მსოფლიოში დაახლოებით 200 მილიონი მიგრანტია

**გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ წარმოდგენილი ახალი მოხსენება მიგრაციის საკითხთა შესახებ ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სამშობლოს ტოვებენ სამუშაოს შოვნის მიზნით.**

მოხსენების თანახმად, მთელ მსოფლიოში დაახლოებით 200 მილიონი კაცი ცხოვრობს თავთავიანთი ქვეყნების ფარგლებს გარეთ.

1990 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში შრომითი მიგრანტების რაოდენობა მეოთხედით გაიზარდა და 2005 წელს უკვე 191 მილიონს მიაღწია.

შრომით მიგრანტთა ნახევარზე მეტი ცდილობს მოხვდეს განვითარებულ ქვეყნებში მაშინ, როცა დაახლოებით 75 მილიონი კაცი მიგრირებს განვითარებად ქვეყნებს შორის.

ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად ფილიპინებში, ან სერბეთსა და ჩერნოგორიაში შრომითი მიგრანტების მიერ შინ გამოგზავნილი ფული ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.



კოფი ანანის თქმით, მიგრაცია საერთაშორისო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. „საერთაშორისო მიგრაციამ, გონივრული პოლიტიკის მხარდაჭერით, შეიძლება შეიტანოს საკმაოდ დიდი წვლილი როგორც იმ ქვეყნების განვითარებაში, რომლებსაც ეს ადამიანები ტოვებენ, ისე შეასრულოს დადებითი იმ სახელმწიფოებისთვისაც, რომლებშიც ისინი ჩადიან“, — განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

ხალხის აზრი



**საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, 1945 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ცუდ პრეზიდენტად დაასახელეს ჯორჯ ბუში-უმცროსი.**

**თეთრი სახლის ამჟამინდელი პატრონის საქმიანობას ასეთი შეფასება მისცა კუინიპიაკის უნივერსიტეტის მიერ გამოკითხულ ამერიკელთა 34 პროცენტმა. მეორე და მესამე ადგილებზე აღმოჩნდნენ ყოფილი პრეზიდენტები რიჩარდ ნიქსონი და ბილ კლინტონი — შესაბამისად 17 და 16 პროცენტი. 1945 წლის შემდეგ შეერთებული შტატების ყველაზე კარგ პრეზიდენტად გამოკითხულებმა რონალ რეიგანი გამოაცხადეს.**

# ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან 14 ქვეყანა თანამშრომლობდა

**ევროპის საჰაერო სივრცეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თვითმფრინავების საიდუმლო ფრენის შესახებ ინფორმაციის გამოძიებისას გამოიტანეს დასკვნა, რომ ევროპის 14 ქვეყანა მონაწილეობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან შეთქმულებაში.**

შვიდი თვის განმავლობაში მიმდინარე გამოძიების შედეგები ევროპის საბჭოს წარუდგინა შვეიცარიის პარლამენტის დეპუტატმა დიკ მარტიმ.



მოხსენებაში ასევე ხაზგასმულია: არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ობიექტები მოქმედებდნენ ან ახლაც მოქმედებენ პოლონეთის და რუმინეთის ტერიტორიებზე. ვარშავა და ბუქარესტი წინათ კატეგორიულად უარყოფდნენ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ამ საკითხებში თანამშრომლობას.

დოკუმენტში, კერძოდ, ხაზგასმულია: „მართალია, ჭეშმარიტების დადგენამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ უკვე ახლა გასაგები ხდება, რომ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ერთად“.

მოხსენების ავტორების მტკიცებით, ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და კვიპროსი თავიანთ ტერიტორიებზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თვითმფრინავებს სატრანზიტო დაჯდომის ნებას რთავდნენ. სავარაუდოდ, ამ რეისებით გადაჰყავდათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში დაკავებული ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები.


## განცხადება

### სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**2006 წლის 10 ივლისს 17 საათზე ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. № 84-ში შედგება სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

სს „ელმავალმშენებლის“ წესდებაში ცვლილებების შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საალრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2006 წლის 7 ივნისი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2006 წლის 7 ივნისის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე თავისი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — „ეროვნული რეესტრი“ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 74, მე-9 სართული. ტელ: 29-20-03, 29-91-30.

დღის წესრიგის საკითხის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ელმავალმშენებლის“ დირექციაში ან სამეთვალყურეო საბჭოში.

**სს „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი,**

**სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

## განცხადება

**შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ აცხადებს აუქციონს 2200 (ორი ათას ორასი) ტონა შავი ლითონის ჯართზე. საწყისი ფასი ერთ ტონაზე შეადგენს 108 (ას რვა) აშშ დოლარის ექვივალენტით ლარებში. ბიჯი 2 (ორი) აშშ დოლარი.**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ „ბეს“ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება მთლიანი ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტით (23760 აშშ დოლარი). თანხა შეტანილ უნდა იქნას შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ანგარიშზე სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბათუმის ფილიალი კოდი 220101794 ან ანგ. № 500003406000213.

აუქციონი გაიმართება შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში. მისამართი: ბათუმი, თამარის დასახლება, 23 ივნისს 11 საათზე. განცხადებები მიიღება 12 ივნისიდან 22 ივნისამდე. **დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 7-63-21; 7-63-23.**

**შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ დირექცია.**

ზარდამცემი სტატისტიკა

# რატომ ვხოცავთ ერთმანეთს

**— ადამიანები ერთადერთი არსებანი არიან, რომლებიც გამუდმებით ჩადიან მასობრივ მკვლელობებს, — ამბობს პროფესორი ვიქტორ იაგოდინსკი. — კაცობრიობის მიერ ასე მკაფიოდ და დაუნდობლად, დემონსტრირებულ უკიდეგანო სისასტიკეს არა აქვს ანალოგიები უმაღლეს ცხოველთა სამყაროში. „გონიერი კაცი“ სულაც არ იქცევა ქილაში მყოფ ობობებზე ჭკვიანად.**

თავის დროზე კიდევ ერთმა პროფესორმა ბორის პორშნევმა წამოაყენა ჰომო საპიენსის განვითარების საგულისყურო კონცეფცია. კაცობრიობამ თავის ისტორიაში ალელფოფაგიის — „თანამოძმეთა შეხრამუნების“ — საშინელი სტადია გაიარა. ესე იგი, ჩვენი ისტორია დაიწყო კაციჭამიობიდან, მტაცებლობიდან...

— დღეს კაცობრიობა შედგება რამდენიმე ძალიან განსხვავებული სახისგან: ორი მტაცებელი და ორი არამტაცებელიც, — განაგრძობს ვიქტორ იაგოდინსკი. — პირველთ განეკუთვნებიან სუპერანიმალები (ზეცხოველები) და სუგგესტორები (ფსევდოადამიანები). ერთნი — „პირველმკვლელთა“ ანუ „ადელფოფაგთა“ პირდაპირი შთამომავლები არიან. მეორენი — აგრესიული და ვერაგი მომბაძველნი და სუპერანიმალთა დამქაშები.

მტაცებლური სახეები ბუნებისგან უკვე „დატკეპნილი“ გზით წავიდნენ: მხეცური, სისასტიკესა და ეშმაკობაზე დაყრდნობილი გზით. მათი ქცევის გამოვლენები ერთობ მრავალგვარია — მორალური მასხარადაგდებიდან ურჯულო წამებებსა და მკვლელობებამდე. ამ „სახეობაში“ უფრო ხშირად ბელადები, პოლიტიკოსები, თაღლითები, რევოლუციონერები, ბანდიტები, მანიაკები გვხვდებიან. კიდევ კარგი, რომ ასეთი, მართლაც „მტაცებელი ჰომინიდები“ პლანეტის მთელი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ — ჯერჯერობით...

უფრო გავრცელებულია ორი არამტაცებლური სახე, რომელმაც ძალადობის მიუკარებლობის თანდაყოლილი ინსტინქტი ახასიათებთ. ეს გახლავთ დიფუზიური — ადამიანები, რომლებიც იოლად დაჰყვებიან ჩაგონებას და ნეოანთროპული — ნაკლებ ჩაგონებადი, გამძაფრებული ზნეობრიობისა და თვითკრიტიკული აზროვნების მქონე ადამიანები. ოღონდ ამ მეორე „სახეობას“ ერთი არსებითი ნაკლი აქვს: ეს ხალხი ადვილად შეიძლება განიმსჭვალოს „მტაცებელ ჰომინიდების“ ლოზუნგებითა და იდეებით, დაჰყვეს მათ ნებას და უმართავ, ყველაფრის ნგრევას და მსხვრევაზე წამსვლელ ბრბოდ, ნიჭიერ მოწაფეებად იქცეს. მხეცობა გადამდებია, რაც ფაქტებით მტკიცდება.

სტატისტიკის თანახმად, 1990-იანი წლების დასაწყისში ყოველ საათში ორი მკვლელობა ხდებოდა, დღეს კი ვიღაცას ყოველ 16 წუთში უსწრაფებენ სიცოცხლეს. ყოველწლიურად იზრდება მსოფლიოში დანაშაულთა რაოდენობა. ოდესმე მსოფლიო ეგებ ერთ დანაშაულებრივ დაჯგუფებადაც გადაიქცეს. ერთ „ორფეხას“ სულ უფრო მეტად ეშინია მეორე „ორფეხასი“...



ვარსკვლავები



# ბრედი მამა გახდა

**ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პითს კაი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ, მაგრამ დაახლოვდნენ 2005 წელს, სათავგადასავლო ფილმის გადაღებებზე — „ბატონი და ქალბატონი სმითები“, სადაც ორმა ვარსკვლავმა ცოლ-ქმარი ითამაშა, სხვადასხვა დაზვერვისათვის მომუშავე ორი ჯაშუში, ერთმანეთის მოკვლის დავალება რომ მიიღეს. მალე ეკრანული ცოლ-ქმრობა ცხოვრებისეულად აქციეს.**

ბრედთან შეუღლებამდე ანჯელინა ორჯერ იყო გათხოვილი — ერთხელ მსახიობ ბილი ბობიზე და მეორედ — მსახიობ ჯონი ლი მილერზე. ორიც ნაშვილევი შვილი ჰყავდა — 4 წლის ეთიოპი მადოქსი და 15 თვის კამბოჯელი გოგონა ზახარა. ბრედი შარშან, ოქტომბერში გაეყარა მაშინდელ მეუღლეს, პოპულარული ახალგაზრდული სერიალის „მეგობრების“ ვარსკვლავს ჯენიფერ ენისთონს იგი უშვილო გახლდათ. ...

27 მაისს, ღამით, ჰოლივუდურ წყვილს გოგონა შეეძინა, რომელიც შილა ნოველ ჯოლი-პითად მონათლეს. ბრედმა უარი თქვა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომ მთელი დღე ფეხმძიმე ცოლისთვის დაეთმო. ბოლო 6 კვირაა, გოგონას დაბადებამდე, ვარსკვლავურმა „ორიანმა“ აფრიკის ნამიბიაში გაატარა, რომ პრესის ჩაციებული ყურადღება აეცილებინა. ისინი აფრიკული კურორტის სანაპიროზე დასახლდნენ ცალკე სახლში, გარშემო ძლიერი დაცვა დაიყენეს, სპეციალური საწინაღობო ნაგებობები გააკეთებინეს. არ უშველა — აბეზარი პაპარაცები ასეულობით „მიაფრინდნენ“ ამ თავშესაფარს, რომ ახლადშობილი პაწიას ფოტოები მოეპოვებინათ, რომლებშიც მილიონობით დოლარს იყვნენ დაპირებულნი მსოფლიოს წამყვანი სააგენტოები...

***მოსკოვში, მულტფილმის „ტყის ძმები“ პრემიერაზე, ჰოლივუდელი ვარსკვლავი ბრიუს უილისი ჩამოფრინდა (სურათში ენოტის გამხმოვანებელი). კინოთეატრ „პუშკინსკიში“ იყო პრემიერა დანიშნული, „კერკეტ კაკალს“ ელოდა წითელ საფენზე გავლა და თაბაშირში ვარსკლავური ხელისგულების ანაბეჭდების დატოვება. ბრიუსს თან ახლდა რუსი მსახიობი გოშა კუცენკო (იმავე ენოტის გამხმოვანებელი, ოღონდ რუსულად).***



# ჩვენი თინა ვერ გაიყვეს...

სცენაზე ამერიკელი კინოვარსკვლავი ცნობილმა რუსეთელმა ტელეწამყვანმა თინა კანდელაკმა გამოიყვანა. თიკა პირდაპირ დნებოდა თავისი სუპერმენისგან, ხოლო როცა სტუმარმა ქალიშვილს აკოცა, აღმოხდა:

— ასრულდა ჩემი ოცნება! სცენაზე ბრიუსთან და გოშასთან ერთად დგომა ხომ, ალბათ, ყველა ქალის ფიქრია!

ვარსკვლავმა კი განაცხადა:

— კვლავ ჩამოვალ თქვენთან, აქ ყველაფერი ძალიან მომეწონა!

ამასობაში გოშამ, აქაოდა, ჰოლივუდელ კოლეგაზე ნაკლები რითი ვარო, მას ზურგიდან მოუარა, მიეპარა თიკას და მადიანად „ჩააფრინდა“ ყურისძირში. ტელეწამყვანი ფრიად ნასიამოვნები დარჩა ასეთი ყურადღებით...

თურმე

# ქალიშვილებს ყველაფერისა სჯერათ

სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრმა ამას წინათ სოციოლოგიური გამოკვლევა მოაწყო. გამოკითხვამ უჩვენა, რომ ყველაზე ადვილადმიმნდობნი 18-29 წლის ასაკის ქალები აღმოჩნდნენ. მათგან დაახლოებით 23 პროცენტს სჯერა ყველაფრისა, რაც კი შესაძლებელია.

სხვა მდგომარეობაა ძლიერთა სქესთან: მამაკაცების 20 პროცენტს საერთოდ არაფერი არ სწამს. ასაკის მატებისას „ურწმუნოთა“ პროცენტი იზრდება. 50 წლის ზემოთ არაფრის აღარ სჯერა უკვე ყოველ მეოთხე მამაკაცსა და ყოველ მეათე ქალს.

ეს საგულისყუროა

# საიდან რა მოდის

## ხეზე დაკაკუნება

ჩვენს ცხოვრებაში როცა რამე მნიშვნელოვანი ხდება, როცა ბედის გაღიმება გვჭირდება, „ხეს დაუკაკუნეო“, ვამბობთ. ხეთა მაგიური ძალის რწმენა ძველ ეგვიპტელებთან ჩაისახა. ძველმა ბერძნებმა კი ღმერთები სულაც ხეებში „ჩაასახლეს“. ეს ნიშნავდა, რომ ხესთან შეხებით ოლიმპის მკვიდრებთან შეიძლებოდა მიახლება, ანუ მფარველობის თხოვნა.

## სარკის გატეხა

ყველაზე გავრცელებული ცრურწმენაა: სარკე თუ გაგიტყდა, ეს უბედურების მომასწავებელია. არადა, ის უცნაური „ფესვების“ მქონეა. პირველი მინის სარკეების კეთება XV საუკუნეში დაიწყეს ვენეციაში. ბუნებრივია, რომ მაშინ ძვირი იქნებოდნენ. იმისათვის, რომ მოსამსახურეები ძვირფას საგნებს მოფრთხილებოდნენ, მდიდარმა მეპატრონეებმა ეს ნიშანი მოიფიქრეს: ვისაც სარკე გაუტყდებოდა, შვიდწლიანი მწუხარება ელოდა.

## ეშმაკის დუჟინი (ცამეტი ცალი)

მთელ მსოფლიოში 13 თარს, უიღბლო რიცხვად ითვლება, ხოლო თუ პარასკევზეც მოუწია (ან პირიქით), მაშინ ხომ მთლად საშინელებად ჩანს. დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, პროფესორი სქენლონი წერს: „13 რიცხვზე დამთხვეული პარასკევი მართლაც ვერ მიიჩნევა ჩვეულებრივ დღედ. დადგენილია, რომ ასეთ დღეს ლონდონის საავადმყოფოებში 50 პროცენტით მეტი პაციენტი შემოდის, ვიდრე საშუალოდ კვირაში. პოლიციის სტატისტიკით, 13-იან პარასკევს ბევრი ავტომობილითაც არ სარგებლობს. აქ საქმე ეგებ მაგიურ რიცხვში კი არა, უფრო ადამიანებში იყოს: თვითონვე განვიწყობთ თავს უსიამოვნებებზე...“

ქრისტიანული ვერსიის თანახმად ამ ციფრის ფატალურობის რწმენა საიდუმლო სერობით აიხსნება — იესოს უკანასკნელი პურობით 12 მოციქულთან: 13 კაცის საზოგადოებაში ვიღაცას სიკვდილი ეწერა...



●**_არ შეიძლება იმ ფულის გასესხება, რომელსაც დიდი საყიდლისთვის აგროვებთ._**

●**_არ ვარგა ფულის გაცემა ორშაბათს — მთელი კვირით გელით ხარჯები, აი, დამცხიკვება კი რაღაც საჩუქარს გიქადით._**

●**_დიასახლისები ცოცხს საგველით ზემოთ ინახავენ — სახლიდან რომ ფული არ გამოიგავოს._**

●**_ფული უნდა მისცეთ მარცხენა ხელით, უნდა აიღოთ მარჯვენათი._**

●**_არ შეიძლება დაჭმუჭნული კუპიურების შენახვა — პერიოდულად უნდა გადათვალოთ ხოლმე._**

## ბედნიერი ხელი მარჯვენაა

მარცხენა მხარის უკან იფურთხებიან გათვალვის ასაცილებლად. უხილავი ავად მოცინარე ეშმაკი თითქოს სწორედ მარცხენა ბეჭს იქით გვისაფრდება. მფარველი ანგელოზი კი კაცს მარჯვენა მხრიდან უდგას.

ამ ცრურწმენას მეცნიერებაც ადასტურებს: თურმე ტვინის მარცხენა ნახევარსფეროა პასუხისმგებელი ლოგიკურ აზროვნებაზე და ამიტომ მართავს მარჯვენა ხელს. აქედან წარმოიშვნენ „წესებიც“: მარცხენა ხელით არაფერი გასცე — შეუძლოდ გახდები; თუ მარცხენა ხელისგული გექავება — დაზარალდები, თუ მარჯვენა — იხეირებ.

## მარილის დაბნევა

ასეთ შეცოდებას სერიოზულ უბედურებად თვლიდნენ მარტივი მიზეზით. მაცივრების გამოჩენამდე, გაფუჭებისაგან უმი პროდუქტების დასაცავად მათ ამარილებდნენ ხოლმე. ასე რომ, მარილის დაბნევა ნიშნავდა სანოვაგე მარაგის დაუმარილებლობას, უსაჭმლოდ დარჩენასა და სიკვდილს.

◉ კარატე



# კიოკუშინაკადემია

**გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კიოკუშინ კარატეში, რომელიც საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის (ავთანდილ შენგელიაძ ინიციატივით გაიმართა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად უნგრეთის, ირანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.**

ქართველთაგან თავი ისახელეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტებმა, რომლებმაც ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლაშა ხაჭაპურიძე (70ძ და ლევან მჭედლიშვილი (90ძ, რომელმაც ფინალში თანაგუნდელ ემზარ ნიქაცაძეს აჯობა. მესამე ადგილზე ლადო ბოჭაძე (აბსოლუტურიძ გავიდა.

**სურათზე: მარცხნიდან – ირაკლი დოლაბერიძე, ლადო ბოჭაძე, ლაშა ხაჭაპურიძე, ლევან მჭედლიშვილი და ავთანდილ შენგელია.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◉ ფეხბურთი

# „გურია“, „ოლიმპიკი“ და „მამული“



**„მაუდის“ სტადიონზე დამთავრდა 1991 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა თბილისის ღია პირველობა, რომელშიც სხვა ქალაქების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.**

დედაქალაქის „გურიისა“ და „ოლიმპიკის“ ფინალური ორთაბრძოლის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ – 0:0. პენალტებით 5:4 გაიმარჯვა „გურიამ“ და მთავარ პრიზსაც დაეუფლა.

„ბრინჯაოსთვის“ გამართული ორთაბრძოლაც უშედავათო გამოდგა. მედლების მფლობელი აქაც თერთმეტმეტრიანების სერიამ გამოავლინა. რუსთავის „მამულმა“ 3:2 „დინამო-2“-ს აჯობა.

◉ ბატუტზე ხტომა

# გული მწვრთნელსაც აუჩუყეს

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის რუსუდან სიხარულიძის ხელმძღვანელობით ჩვენი ბატუტზე მხტომელები მეცში (საფრანგეთიძ ევროპის ჩემპიონატზე იმყოფებოდნენ. ახალგაზრდებს შორის ინდივიდუალურ ხტომებში შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ლუბა გოლოვინამ (მწვრთნელი ვლადიმირ გოლოვინიძ პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო გუნდურში ჩვენი გოგონები მესამე ადგილზე გავიდნენ.**

– საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ გუნდურ პირველობაზე არასდროს გვიასპარეზია, – მითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა,** – ამჟერად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურისა და ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის დახმარებით ერთბაშად რამდენიმე ბატუტზე მხტომელი წავიყვანეთ შეჯიბრებაზე.

საერთოდ, გუნდურში ოთხი სპორტსმენი ასპარეზობს, საიდანაც სამის შედეგი შედის საერთო ჩათვლაში. ჩვენ კი სამკაციანი ნაკრებით ჩავებით ბრძოლაში. ამის მიუხედავად, გავუსწარით რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებს და მეორე ადგილზე გასულ ესპანელებს მხოლოდ 0,5 ქულით ჩამოვრჩით. დებიუტისთვის ბრინჯაოს მედალი, დამეთანხმებით, ურიგო არ არის (I ადგილი უკრაინელებმა დაიკავესძ.

წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს თამარ კაკაშვილმა და ნანა ლუჭაშვილმა.

ბათუმის მე-19 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი თამარ კაკაშვილი ოთხი წელიწადია, ბატუტზე ხტომაში ვარჯიშობს. სპორტული ოჯახიდანაა. დედა მშვილდოსანი ჰყავს, მამა კი აკრობატია – 1978 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი. სწორედ, მან დააწყებინა ქალიშვილს ბატუტზე ხტომა. თამარი კრასნოდარის შარშანდელი საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორია, წლეულს კი საქართველოს ჩემპიონატზე აჯობა ყველას.

183-ე სკოლის მეათეკლასელი ნანა ლუჭაშვილიც სპორტული ოჯახიდანაა. მამა მოჭიდავე გახლდათ, დედა ეკა ზეთურიძე – სპორტული ტანმოვარჯიშე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი. თავად ნანა კი საქართველოს პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორია.

გუნდური წარმატების სულისჩამდგმელი 16 წლის ლუბა გოლოვინა გახლდათ, რომელმაც შარშან მსოფლიო პირველობა მოიპოვა. მან ამჯერადაც აშკარად დაჯაბნა მეტოქეები როგორც ხტომების სირთულის კოეფიციენტით (13,1ძ, ისე ვარჯიშების შესრულების ოსტატობით.

– ევროპის პირველობისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადე, – მითხრა ლუბამ, – აპრილში ეროვნულ ჩემპიონატზე მუხლის ტრავმამ შემახსენა თავი, ამიტომ მხოლოდ სავალდებულო პროგრამით ვიასპარეზე. მერეც მკურნალობის გამო ბევრი დრო გამიცდა – მხოლოდ ორი კვირა ვივარჯიშე.

ევროპის პირველობამდე ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გამოვედი და პირველი ადგილი დავიკავე, რამაც საკუთარი ძალების რწმენა შემმატა.

მეცში წინასწარი ხტომების შემდეგ 2,2 ქულით ვუსწრებდი უკრაინელ ვიქტორია გუროვას, ამიტომ ფინალში არ გამირისკავს – 11,1 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშით ოქროს მედალი მოვიპოვე. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გუროვა და ბელარუსი ოლგა სინიცინა გავიდნენ.

– ყველა მეტოქეს ახლოს ვიცნობთ, – ჩაერია საუბარში ჩემპიონის მამა **ვლადიმირ გოლოვინი,** – ვიცით მათი ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტი, ამიტომ გამარჯვებაც არ გვეეჭვებოდა, ოღონდ ძველ ტრავმას არ შეეხსენებინა თავი. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის სასურველი შედეგით დამთავრდა.

– კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა ყოველთვის საამაყოა, მაგრამ მეცში ყველაზე მეტად იმან გამახარა, გუნდურში ბრინჯაოს მედალი რომ დავიმსახურეთ, – მითხრა ლუბამ. – დიდი ხანია შეჯიბრებებზე გამოვდივარ და ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბატონი ზაურ სულაშვილი პირველად ვნახე სიხარულისგან აცრემლებული, რამაც ჩვენც აგვიჩუყა გული.

**– ლუბა, ახალგაზრდებში, მგონი, აღარაფერი დაგრჩა მოსახვეჭი. დიდებში როდის გადაინაცვლებ?**

– გაისად და პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვისაც ვიბრძოლებ. ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება იქნება მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც 2007 წლის ოქტომბერში კანადა უმასპინძლებს...

ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდა თენგიზ კოშკაძეს, რომელიც 70 მონაწილეს შორის მე-16 ადგილზე გავიდა, სოფიკო გულიაშვილი კი 26-ე იყო. ნორმალური მსაჯობის შემთხვევაში ორივე სპორტსმენს უკეთესი ადგილების დაკავება შეეძლო.

– მეცში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით კმაყოფილი ვართ, შედეგებიც კარგია, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით მწვრთნელებს – ზაურ სულაშვილსა და ვლადიმირ გოლოვინს, რისთვისაც ჩვენი ფედერაციის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო მათ, – თქვა საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, სახელოვანმა სპორტსმენმა **რუსუდან ხოფერიამ,** რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ობიექტური მსაჯობით მაღალი შეფასება დაიმსახურა.



**ვაჟა დანელია**

**სურათზე: მარცხნიდან – ვლადიმირ გოლოვინი, ნანა ლუჭაშვილი, თამარ კაკაშვილი, რუსუდან ხოფერია, ლუბა გოლვინა და ზაურ სულაშვილი ჩვენს რედაქციაში.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◉ ორბიტაზე

# თხილამურებით — ევერესტიდან

**ეს ხომ აშკარა თავგანწირვის ტოლფასია. ნორვეგიელი სამთო მოთხილამურე და ალპინისტი ტურმოდ გრონჰეიმი თხილამურებით წარმატებით დაეშვა პლანეტის უმაღლესი მწვერვალის – ევერესტის ჩრდილოეთ ფერდობზე. მამაცმა მოთხილამურემ სტარტი აიღო მწვერვალიდან – 8848 მეტრის სიმაღლეზე და დაეშვა 6500-მეტრიან ნიშნულამდე.**



მასთან ერთად დაშვებული შვედი ტომას კენეტი სადღაც, გზის დასაწყისში, დაახლოებით 8 ათასი მეტრის სიმაღლეზე, „მკვდარ ზონაში“ დაიკარგა. რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს მისი ცხედარი. ის მეორე დაღუპულია, ვინც სცადა თხილამურებით ან სნოუბორდით ევერესტის ჩრდილოეთ კალთიდან დაშვება.

პირველად ევერესტიდან თხილამურებით დაშვება 2000 წელს შეძლო სლოვენიელმა დავო კარტიკურტმა, ხოლო 2001 წელს გაზაფხულზე მსოფლიოს უმაღლესი პიკის ზედა წერტილიდან ჩრდილოეთი ფერდობით ფრანგი სნოუბორდისტი მარკ ზიფრედი დაეშვა.

# შიფერმაც გაიხადა

**სახელგანთქმული გერმანელი ფოტომოდელი კლაუდია შიფერი, რომელსაც „ფეხბურთის მეფე“ პელესთან ერთად ერგო ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნისას სტადიონზე მსოფლიო თასის გამოტანა (ამაზე უკვე ვწერდითძ, თავისი ქვეყნის ნაკრების მხარდასაჭერი პლაკატისთვის გაშიშვლდა. ლამაზმანი სიშიშვლეს მხოლოდ გერმანიის დროშით იფარავდა.**

შიფერმა ასეთი ნაბიჯი ინგლისური შთაბეჭდილების შემდეგ გადადგა. „მე ვნახე, როგორი პატრიოტები არიან ინგლისელები, როგორ უჭერენ მხარს თავიანთ ნაკრებს, ყველგან დროშები, ბანერები, ეროვნული ნაკრების მაისურებია. სამწუხაროდ, გერმანელები აქ ვაგებთ. რაღაც უნდა შევცვალოთ, ამიტომაც გადავწყვიტე, ჩვენი ფეხბურთელებისთვის ასეთი პლაკატით მხარდაჭერა“, – განაცხადა კლაუდია შიფერმა.



◉ მუნდიალ-2006

## ყველაზე ძვირადღირებული ნაკრები

**ბრაზილიის ნაკრების იმ 23 ფეხბურთელის საერთო ღირებულება, ვინც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, გერმანული პრესის გამოანგარიშებით, დაახლოებით 410 მილიონ ევროს აღწევს და ის ყველაზე „ძვირადღირებული“ ნაკრებია ასეთი ტურნირების ისტორიაში.**

პირველ ადგილზე, ბრაზილიური რეიტინგის მიხედვით, რონალდინიოა, მისი საბაზრო ღირებულება 125 მილიონი ევროა, შემდეგ მოდიან ადრიანუ („ინტერი“ძ და რონალდო („რეალი“ძ. თითოეული მათგანი 30 მილიონ ევროდაა შეფასებული.

ფრანგული „ლიონის“ ნახევარმცველის ჟუნინიუს ფასი – 20 მილიონი ევროა, ყველაზე „იაფი“ ნაკრების 23 მოთამაშიდან მეკარე როჟერიუ სენია (1,5 მილიონი ევროძ, რომელიც „სან-პაულუში“ თამაშობს.



## ჯარიმა და გასახლება არ ასცდებათ

**ასე აფრთხილებენ გერმანელი პოლიციელები ჩამოსულ გულშემატკივრებს, თუკი ჩემპიონატის დროს წარმოქმნილ უწესრიგობათა მონაწილენი შეიქმნებიან. წესრიგის დამცველნი**



**ფიქრობენ, რომ ლუდისა და სოსისების მოყვარულ აგრესიულ სტუმრებს ზოგჯერ ჯარის ქვედანაყოფებისა და სამოქალაქო ვოლონტერების ჩარევაც კი ვერ უშველის.**

შესაძლოა, საფრთხე შეიქმნას ეგრეთ წოდებული „პორნოტრაფიკის“ ე. ი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან „სიყვარულის ქურუმების“ ნებაყოფლობისა და თვითიმპორტის მოზღვავების გამოც, რომ აღარაფერი ვთქვათ მოურჯულებელ ინგლისელ ფეხბურთის ხულიგნებზე. თუმცა ახლა შვეიცარიელმა ფანატებმაც აიშვეს თავი.

## რუნი უკვე ვარჯიშობს



**„ღმერთი თურმე მაინც არსებობს!“ – ასეთი „ქუდით“ გამოვიდა ბრიტანეთში პოპულარული ტაბლოიდი The Sun. „რუნის იმედები სულ უფრო რეალურია!“ – ასე ახარა მკითხველებს ინგლისის ნაკრების ერთი ლიდერის უეინ რუნის მწყობრში ჩადგომა Daily Tedeyiraph.** ყოველივე ამის საბაბი კი გახდა ის, რომ ტრავმებმოუშუშებულმა რუნიმ ნაკრებთან ვარჯიში დაიწყო, რითაც ძალზე გაახარა მილიონობით ინგლისელი გულშემატკივარიც და ნაკრების ხელმძღვანელებიც: თუმცა ნაკრების ექიმი ყველას თავშეკავებისკენ მოუწოდებს, რადგან ფეხბურთელი გუშინ მანჩესტერში უნდა დაბრუნებულიყო, რათა დეტალური სამედიცინო შემოწმება გაიაროს.

**სურათზე: რუნი ვარჯიშს შეუდგა.**

## კალაძე — მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში




**არ გაგიკვირდეთ, მსოფლიო ჩემპიონატის წინ რაღა ნაკრები შეადგინესო. დიახაც, რომ შეადგინა რუსულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ იმ გუნდების მოთამაშეთაგან, ვინც ფეხბურთის დიდ დათვალიერებაზე ვერ მოხვდა. აი, როგორ გამოიყურება ეს სიმბოლური ნაკრები:**

აკინფეევი (რუსეთიძ, ლორენი (კამერუნიძ, ჰიიპია (ფინეთიძ, **კალაძე** (საქართველოძ, რიისე (ნორვეგიაძ, გრავესენი (დანიაძ, ჟერემი (კამერუნიძ, დაფი (ირლანდიაძ, ფორლანი (ურუგვაიძ, გლები (ბელორუსიძ, ეტო'ო (კამერუნიძ.

## სულიერება

*[illegible]*

**გალაკტიონი**

# [illegible]

### 8 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დავით გარეჯელს და ლუკიანეს

**გრიგოლ ორბელიანი წერდა, კაცს ყველგან შეუძლია იყოს, თუნდაც იაპონიაში, თუნდაც შვეიცარიაში, თუნდაც ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროსო! ჩვენი დედაქალაქის განუმეორებელი კოლორიტი, რბილი და საამური ატმოსფერო, ულამაზესი პეიზაჟები იდუმალი ძალით იზიდავდა მნახველს. განსაკუთრებით მშვენიერია ამაყად აღმართული თვალწარმტაცი მთაწმინდა თავისი ვერცხლისფრად მოლივლივე მამადავითის ეკლესიით, რომლის შესახებაც მრავალი თქმულება და ლეგენდაა ხალხში გავრცელებული. ერთი მათგანი ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული:**

მეექვსე საუკუნეში შუამდინარეთიდან მოსულ ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, ბერი დავითი, მოწაფე ლუკიანესთან ერთად, იოვანე ზედაზნელმა გარეჯში გააგზავნა სამოღვაწეოდ. გარეჯში მიმავალ დავითს გზად თბილისში გაუვლია, მოხიბლულა მთაწმინდის სანახებით და მთაზე პატარა სამლოცველო-სენაკი აუშენებია. ასე რომ, მამა დავითი მთაწმინდის პირველი ბინადარი გახდა. ბერი ქალაქიდან განმარტოებით ცხოვრობდა და დღე-ღამეს ლოცვაში ატარებდა, მხოლოდ ხუთშაბათობით ჩადიოდა ქალაქში საქადაგოდ და ქრისტეს რჯულის გასავრცელებლად. დავითს სახელი ისე გაუვარდა, რომ ახლომახლო სოფლებიდანაც იწყო დენა ხალხმა, ამან თბილისელი ცეცხლთაყვანისმცემლები აღაშფოთა და მამა დავითის თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იმ ხანად მონასტერში ერთი მონაზონი დაორსულდა. ეს ქალი მოშურნეებმა მოისყიდეს და მისი ცოდვა მამა დავითს დასწამეს. განრისხებული ბერი მივარდა ქალთან და მუცელში ჩვილს ჩასძახა — „მიპასუხე, მე ვარ მამაშენი?“ „არა, არა, არა“, — ამოსძახა თურმე ჩვილმა, მაგრამ მონაზონი მაინც თავისას არ იშლიდა. მაშინ აღშფოთებულმა კვერცხი მიაბჯინა ქალს მუცელზე და წარმოსთქვა — „ქვა შვი, ქვა შვი, შე ცილისმწამებელო“ (ეს ამბავი ამჟამინდელი ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებში მოხდა). ლეგენდის თანახმად მონაზონს, მართლაც, ქვა უშვია. ამ სასწაულის მოწმე ხალხმა გადაწყვიტა ამ ადგილას ეკლესიის აშენება, რომელსაც საძირკველში ეს ქვა ჩაატანეს. ამ ამბის შემდეგ მამა დავითი დიდხანს აღარ გაჩერებულა თბილისში და გარეჯში გადასულა. წასვლის წინ მან სამლოცველოს ეზოში მიწაზე კვერთხი დაჰკრა და ღმერთს შესთხოვა, ისეთი წყაროს გაჩენა, რომელიც უშვილო ქალებს შვილოსნობის უნარს მიანიჭებდა (ეს წყარო დღესაც არსებობს).

...უკვე ხანში შესულმა მამა დავითმა გადაწყვიტა დიდი ხნის ნატვრა აესრულებინა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად დაადგა იერუსალიმის გზას წმიდა ადგილების მოსანახულებლად. იქიდან მან მადლის ქვა ჩამოიტანა.

ქართულმა ეკლესიამ მამა დავითი წმინდანად შერაცხა და დაადგინა მისი ხსენების დღე, აღდგომიდან მეშვიდე კვირის ხუთშაბათი (ასევე, მოიხსენება წმინდანი ცამეტ ასურელ მამათა ხსენების დღესაც, 7 მაისს ძველი სტილით).

როგორც მადლის ქვასთან ასევე, მამა დავითის საფლავთან გარეჯში ბევრი სასწაულია დაკავშირებული. იმდენად ძლიერია დავით გარეჯის ღვთისმოსილების ძალა, რომ — „სამგზის აქა (უდაბნოში) ძლოცვა მიესწორების ერთგზის იერუსალიმსა მისვლასა (იხ. „ქართლის ცხოვრება“ ნაწ. I, გვ. 13).

მამა დავითის მოღვაწეობა საქართველოში საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ყოფილა. ამიტომაც ითვლება წმინდა დავითი — დავით გარეჯელი ქართველ წმინდანთა დასის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენლად. აკადემიკოს შ. ამირანაშვილის აზრით „დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტებს ძველი ქართული ხელოვნების ისტორიაში ისეთივე ადგილი უკავია, როგორც იტალიურ ხელოვნებაში ფრანცისკა აზისკელის ციკლს“ (მასზედ სამი საუკუნით ადრე).

დავითის მიერ აშენებული სამლოცველო მთაწმინდაზე დროთა განმავლობაში დაინგრა და მხოლოდ IX საუკუნეში „ათონის ივერთა ლავრის“ წმინდა მამებმა მოახერხეს მისი აღდგენა-განახლება. სახელიც — „მთაწმინდა“ მათ დაარქვეს და ამგვარად ის წმინდა ადგილად შერაცხეს. წმინდა, კი ქართულში იგივეა, რაც ღვთიური. ბუნებრივია, ეს სახელი შემთხვევით არ დაურქმევიათ.

XVI საუკუნეში ბერად აღკვეცილმა ძმებმა დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა მამადავითის ეკლესია მნიშვნელოვნად განაახლეს და მთაწმინდა თავისი ფერდობებით ეკლესიას შესწირეს. ადრე მთაწმინდა ისეთი ხშირი ტყით ყოფილა დაფარული, რომ ეკლესიის მსახურნი და მომლოცველნი თურმე დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ ეკლესიასთან მისვლას. 1817 წელს ეკლესიის წინამძღვარს მისასვლელი გზის აშენების თხოვნით მიუმართავს კავკასიის მთავარმართებლისთვის. მესანგრეთა ათეული თურმე ერთი თვის განმავლობაში ჩეხდა ტყეს გზა-ბილიკის გასაყვანად.

ვინ მოთვლის რამდენი ქართველის სიცოცხლე უხსნია მთაწმინდას ურჯულოთა შემოსევების დროს. 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობისას, ეკლესიის შემოგარენს თავი შეაფარა ორმოცდაათმა თბილისელმა. სპარსელები 15 დღის განმავლობაში წვავდნენ და აოხრებდნენ თბილისს, მაგრამ ერთხელაც ვერ გაბედეს მთაწმინდაზე ამოსვლა, რადგან მის ულრან ტყეებში ყოველი ხის უკან შეიარაღებული ქართველი ელანდებოდათ...

და მაინც მამადავითის ეკლესია განსაკუთრებით სწყალობდა ბედისგან დაჩაგრულ და უშვილო ქალებს. ეკლესიაში მომლოცველთა მსვლელობის რიტუალს დაწვრილებით აღწერს გერმანელი მოგზაური ფ. ბოდენშტედტი წიგნში „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (თბილისი, 1965 წ. გვ. 72).

მთაწმინდა ჩვენი სულიერი საუნჯეა. მისი დამატყვევებელი სიდიადის შემხედვარეს სურვილი გიჩნდება, ქედი მოიხარო და მუხლმოდრეკილმა თაყვანი სცე სილამაზის ამ ღვთიურ გამოვლინებას. მამადავითობას მთაწმინდის სალოცავ დღეობას უწოდებდა ხალხი. მთაწმინდა — პირამიდა ღრმა იდუმალებით მოცული, თბილისის მესიანური სიმბოლოა, რომელსაც ჩვენი მოფერება და მზრუნველობა სჭირდება.



მთაწმინდა ყოველთვის იყო პოეტებისა და მწერლების შთაგონების წყარო. ა. გრიბოედოვმა მას თბილისის „ყველაზე პოეტური და სურათოვანი“ ადგილი უწოდა და გამოთქვა სურვილი, სიკვდილის შემდეგ მისი ნეშტი აქ დაესაფლავებინათ. ამ საოცარი მიზიდულობის მქონე მთას არაერთი პოეტური შედევრი მიუძღვნეს ნ. ბარათაშვილმა, აკაკიმ, გალაკტიონმა, გრიშაშვილმა და სხვ. მისმა კალთებმა დედასავით გულში ჩაიხუტა ერის ჭეშმარიტი მამულიშვილები. აქ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მარადიული განსასვენებელი ჰპოვეს სასიქადულო ქართველმა მწერლებმა, პოეტებმა და ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა.

თბილისში ოდითგანვე არსებობდა ერთი მშვენიერი ტრადიცია „მამადავითობა“ (მთაწმინდობა). ის წელიწადში ერთხელ აღდგომის მეშვიდე ხუთშაბათს იმართებოდა. მთელი ქალაქის ქალთა მარაქა თეთრ სამოსში გამოწყობილი, დილაობით შეუდგებოდა მამადავითის აღმართს ეკლესიაში სალოცავად. მომლოცველი ქალები დასაწყისშივე წინდებს და ფეხსაცმელებს იხდიდნენ (ვისაც შეთქმული ჰქონდა) და ეკლესიისაკენ მიეშურებოდნენ. გასათხოვარი ქალები შესაფერის საქმროს სთხოვდნენ, უშვილონი — შვილს, ფეხმძიმენი — ბედნიერ მშობიარობას, მიტოვებულნი — ახალ ბედნიერებას და ა. შ. ეკლესიის გარშემო სამჯერ უვლიდნენ წრეს და შემდეგ დავითის წყაროსკენ მიდიოდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა სეირნობა. ქალები ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდნენ, მამაკაცები ჩოხებში გამოწყობილნი უმთავრესად ისხდნენ და იყო ერთი მხიარულება, სჯაბაასი, ქალ-ვაჟთა შეთვალიერება. შემდეგ ზეიმი ქალაქში გრძელდებოდა. ამ დღესასწაულზე თავს იყრიდა მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა. ხავერდის ქულაჯებში გამოწყობილი მხედრები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ეროვნულ სპორტულ სახეობებში (ისინდი, ჯირითი, ჭიდაობა, კრივი, ლელობურთი). დღესასწაულის დამამშვენებელი იყო ყაბახი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ყაბახი თბილისში ყოველ აღდგომის დღესაც იმართებოდა. ყაბახის ხშირი სტუმარი იყო ნ. ბარათაშვილი. ლექსი „ყაბახზედ“ მან მიუძღვნა ბიძამისს, ყაბახის დიდ მოტრფიალეს, გრიგოლ ორბელიანს. იშვიათი ოსტატობით აღწერს ყაბახს გრიგოლ ორბელიანი ლექსში „იარალის“.

მოდით, აღვადგინოთ ეს მშვენიერი რიტუალი (მით უმეტეს, თუ ის ოდნავ მაინც წაადგებოდა ჩვენს სავალალო დემოგრაფიულ მდგომარეობას), ხოლო სპორტული სანახაობანი გავმართოთ შაბათ-კვირას იპოდრომზე. დღეს მსოფლიოში მომლოცველები, ტურისტები ათასობით კილომეტრებს სერავენ წმინდა ადგილებისა თუ ტრადიციელ სანახაობებზე დასასწრებად. ჩვენ კი აგერ ყურის ძირში გვაქვს ულამაზესი მთაწმინდა, საერთო-საეკლესიო დღესასწაულიც და ტრადიციული სპორტული სანახაობაც.

ნებისმიერი ერი მთაწმინდის სანახებს ერთ-ერთ საოცრებად გადააქცევდა. აქ შეიძლება სურნელოვანი მცენარეების, ყვავილების და ხეების გაშენება, რომელიც ქალაქის იერსახესაც გაალამაზებდა, ჰაერსაც გაწმენდდა და ჩვენს მოქალაქეებს სიცოცხლესაც გაუხანგრძლივებდა. თურმე, ადრე თბილისელთა ერთ-ერთ ძირითად შემოსავლის წყაროს მეფუტკრეობაც შეადგენდა. ქალაქის ირგვლივ ბაღები იყო გაშენებული და ჰაერი ვარდებისა და ცაცხვის სურნელებით გაჟღენთილი. ცნობილია, რომ ელბაქიძის აღმართსა და ვარაზის ხევს შორის მდებარე მაღლობს ვარდისუბანი ერქვა, აღვუდგინოთ ეს მშვენიერი სახელი ამ უბანს!

ტრადიციები, ლეგენდები, რიტუალები, ეს ის ზურგის ქარია, რომელიც გვეხმარება უკეთესი მომავლის შენებაში. კულტურა, ეს უპირველეს ყოვლისა, ცნობიერებაა საკუთარი თავისა, რაც წარსულთან თანაარსებობით ვლინდება. ნებისმიერი რიტუალი — ეს არის დროსა და სივრცეში განფენილი მისტერია, რომლის დროსაც ხდება ადამიანთა შორის დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი კვანძების წარმოქმნა.

ასეთი სახალხო დღესასწაულები ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას, ადამიანთა დაახლოებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებას.

დაე, იცოცხლოს ლეგენდამ, ის ხომ პოეტური ტყუპისცალია ნამდვილი ისტორიისა!

**მედეა თავდიშვილი**


## განცხადება

### სააქციო საზოგადოება „კომპლექტის“ მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს „კომპლექტი“ აცხადებს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც შედგება 2006 წლის 30 ივნისს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. № 7-ში.

**დღის წესრიგი:**

1. 2005 წლის სამეურნეო ანგარიში.
2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხზე აქციონერებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში. ის საკითხები, რომელიც მიმდინარე წლის 20 ივნისამდე წერილობით იქნება დაყენებული, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განიხილება საერთო კრებაზე.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომლებიც 2006 წლის 1 ივნისისამდე რეგისტრირებული არიან აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საზოგადოება მისამართზე: ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. № 7.

*პატივისცემით, დირექტორი:* ე. ჯანგულაშვილი


## ჩვენი კარაბადინი

# თებრონე ბებოს რეცეპტი

**ივნისი გულის სეზონური აქტიურობის თვეა. რეკომენდებულია ზაფხულის პირველი თვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოს მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მუშაობის ნორმალიზაციისთვის გამოყენება.**

გულის ბევრი დაავადება ადრეულ სტადიებზე უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მაგალითად, იშემიური დაავადება. ეს ის მდგომარეობაა, რომლის დროსაც კორონარული არტერიები ცხიმის, ქოლესტერინისა და სხვა ნივთიერებების ნალექებით ბინძურდება. შედეგად გულის კუნთამდე სისხლის არასაკმარისი რაოდენობა აღწევს, რაც გულის მოქმედების დარღვევას იწვევს. არ უნდა ველოდეთ ტკივილებს გულის ფიცრის არეში ფიზიკური ან ემოციური დატვირთვის დროს — უმჯობესია ადრევე ვიზრუნოთ გულის გამაგრებასა და სისხლძარღვების გაწმენდაზე.

გულის მკურნალობისას საჭიროა



კომპლექსური მიდგომა. მისი არსი რამდენიმე მეთოდის შეხამებაში მდგომარეობს. მათ რიცხვშია ვეგეტარიანობა, სამკურნალო ფიზკულტურა, მედიტაცია, იოგა. ჩვენი წინაპრები კი უმთავრესად სამკურნალო მცენარეებს იყენებდნენ.

მაგალითად, სტენოკარდიის დროს ტკივილის შესამსუბუქებლად და გულის შეტევების თავიდან ასაცილებლად შეიძლება ასეთი ძველებური რეცეპტებით ვისარგებლოთ.

1 სუფრის კოვზ ბალის პიტნას დაასხით 200 მლ ადუღებული წყალი, დააყენეთ 1 საათის განმავლობაში და ყლუპ-ყლუპად მიიღეთ დღის განმავლობაში.

4 სუფრის კოვზ შავბალახას დაასხით 500 მლ ცხელი წყალი, ადუღეთ 5 წუთი და მიიღეთ 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ ჭამის წინ.

კარგად ხსნის გულის ტკივილს სამფერი იაც. სასურველი ეფექტის მისაღწევად ეს ია მუდმივად უნდა მიიღოთ მისი ყვავილების ნაყენი ჩაის სახით.

◉ კვლავაც მხნედ!

# სინათლის პაკი

**ვულოცავთ დიმიტრი კობახიძეს 80 წლისთავს. აქედან 57 წელი ენერგეტიკაში მოღვაწეობაა — ელექტროქსელების დაპროექტების საქმეში.**



დიმიტრი კობახიძე დაიბადა რაჭაში — ამბროლაურის რაიონის სოფ. ზემოთლუღში. 1926 წ. 24 აპრილს. ამბროლაურიდან 1936 წ. ოჯახი გადმოვიდა თბილისში.

დ. კობახიძემ 55-ე სკოლა წარჩინებით დაამთავრა და 1944 წ. ჩაირიცხა ინდუსტრიულ (შემდეგ პოლიტექნიკურ) ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს და შრომითი საქმიანობა დაიწყო ტრესტ „საქელექტროქსელმშენის" საპროექტო კანტორაში. შემდეგში საპროექტო გადაკეთდა „საქენერგოპროექტად" და 1969 წლიდან კი საკავშირო დაქვემდებარების საპროექტო ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის" საქართველოს განყოფილებად.

თქვენი მოღვაწეობის პერიოდში გაიარეთ ყველა ინსტანცია: ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, ჯგუფის ხელმძღვანელის, პროექტის მთავარი ინჟინრის და განყოფილების უფროსის თანამდებობებზე.

თქვენი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დაპროექტებული იქნა საქართველოს ყველა მხარეში 35, 110, 220, 330 და 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზები. საკავშირო დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ „ენერგოქსელპროექტის" საქართველოს განყოფილებაში დაპროექტებული იყო ობიექტები: ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში, ვოლგისპირეთში და სხვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც აღსანიშნავია თავისი სირთულით და მთაგორიანობით 500 კვ ეგხ ენგური ჰესი — სტავროპოლის სრესი („კავკასიონი") საქართველოს ტერიტორიაზე — ენგურჰესი-დან ნახარის უღელტეხილამდე.

აღსანიშნავია თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე 1969-73 წლებში, სადაც აღზარდეთ მომავალი ინჟინრები (ელექტროგადამცემი ხაზების მექანიკურ ნაწილში — ლექციები, საკურსო და სადიპლომო პროექტები).

მთავრობამ დააფასა თქვენი მოღვაწეობა: მოგანიჭათ საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება, დაგაჯილდოვათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მედლებით და ღირსების ორდენით.

ბატონო დიმიტრი, თქვენ ახლაც აგრძელებთ თქვენს მოღვაწეობას „ენერგოქსელპროექტში" კონსულტანტის თანამდებობაზე.

ერთხელ კიდევ გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**
**შპს „ენერგოქსელპროექტი"**

◉ მიეცით ნიჭსა გზა ფართო

# ძმას ვერცხლი ერგო, დას — ოქრო

**გორის VII საჯარო სკოლის მეცხრე და მეათეკლასელებმა და-ძმა თინათინ და ალექსანდრე ონიაშვილებმა ამ დღეებში მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა მეორე რესპუბლიკურ კონკურსში და წარმატებითაც.**

ალექსანდრე ონიაშვილი შარშანდელი, პირველი რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულია. მაშინ მის მიერ წადგენილ ნამუშევარს — ნიადაგის გამაფხვიერებელს ავტორიტეტულმა ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა და პირველი ხარისხის სერტიფიკატი და ოქროს მედალი მიაკუთვნა. ნორჩ გამომგონებელს ეს მაღალი ჯილდო პირადად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადასცა.

წლეულს კი პრეზიდენტმა ოქროს მედლით ალექსანდრე ონიაშვილის უმცროსი და — თინათინი დააჯილდოვა ნამუშევრისთვის: „სიმაღლეზე წყლის ამტანი საშუალება, რომელიც ბუნებრივი ძალების გამოყენებით



მუშაობს". უფროს ძმას კი ვერცხლის მედალი არგუნეს ფრიად საინტერესო ნამუშევრისთვის: „ხანგრძლივი დროის მანძილზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგური".

ნორჩი გამომგონებლების სამუშაო ნახაზები წარდგენილია „საქპატენტში" ექსპერტიზის გასავლელად.

კონკურსის შედეგები შეაჯამა ჟიურის თავმჯდომარემ, შავი ზღვის საერთაშორისო ინსტიტუტის პრორექტორმა გიული ალასანიამ. მან აღნიშნა კონკურსის მაღალი დონე, წარმოდგენილი ნამუშევრების აქტუალურობა. პირველ ადგილზე 21 მოსწავლე გავიდა, მეორე და მესამე ადგილებზე — 41.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

**სურათზე: პროფესორი გიული ალასანია კონკურსის გამარჯვებულებთან თინათინ და ალექსანდრე ონიაშვილებთან.**

**ს.ს „გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!**

ს.ს „გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციონერთა საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით ს.ს „გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ იქნა საერთო კრების სააღრიცხვო დღედ 2006 წლის 19 ივნისი.

ბანკის აქციონერთა მონაცემები შესაძლებელია დადგინდეს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორ შპს „კავკასრეესტრში".

**მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №74ა, ტელ: 220-718.**

## გახსენება

### ნიკოლოზ გელაშვილი

დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ტარასის ძე გელაშვილს, ადამიანს, რომელიც წლების მანძილზე ემსახურებოდა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეს.

პროფესორი ნიკოლოზ გელაშვილი იყო გულისხმიერი მეცნიერი და პრაქტიკოსი, ჩინებული მეღვინე, საოცრად თავმდაბალი, უაღრესად კოლეგიალური, უბრალო ისე, როგორც ეს ძველი თაობის ღირსებით აღსავსე დარბაისელ წარმომადგენლებს სჩვევიათ.

იგი თავისი ორიგინალურობით, ხალასი და უბერებელი სულით, ჭეშმარიტად ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი გამორჩეული პიროვნება იყო, ცნობილი არა მარტო მეღვინეობაში მოღვაწე სპეციალისტთა თაობებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის.

ბატონი ნიკოლოზი ბედნიერი ფეხით მივიდა მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეღვინეობის კათედრაზე ასპირანტად. ეს ის დრო იყო, როცა აქ მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი კონსტანტინე მოდებაძე. იმ დღიდან არ მოსცილებია იმ კათედრას და იმ დაწესებულებას. იყო დეკანის მოადგილე, ადგილკომის თავმჯდომარე, ინსტიტუტის რექტორი, მეღვინეობის კათედრის გამგე. იგი იყო გამოცდილი სპეცაილისტი, დაუზარელი ექსპერიმენტატორი, ახლის ძიებით დაჯილდოებული პიროვნება. მეღვინეობის მრეწველობის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია მეღვინეობის სახელმძღვანელოს ორტომეული, რომელზეც აღიზარდა ქართველ მეღვინე-სპეციალისტთა თაობები.

ბატონი ნიკოლოზის პიროვნება გამოირჩეოდა ყველა იმ თვისებებით, რითაც ვამაყობთ ქართველები — სამშობლოს სიყვარულით, თავისი საქმის ღრმა ცოდნით, კეთილშობილებით, ახალგაზრდობისადმი სიყვარულით, იუმორის დიდი გრძნობით. ნიკალა... ამ მოფერებითი სახელით იცნობდნენ ამაგდარ აღმზრდელს, მასწავლებელს, ლექტორს, პროფესორს მისი ნამოწაფარი სტუდენტები. ვინ მოსთვლის, მეღვინეტექნოლოგების რამდენ თაობას გაუვლია მის ხელში, რამდენისათვის დაულოცია გზა დიდი ასპარეზისაკენ.

ცხრა ათეული წლის მანძილზე, კატაკლიზმებით აღსავსე ცხოვრების პირობებში შეესწრო ჭირსაც და ლხინსაც, ომსაც და მშვიდობასაც, საყოველთაო შიშიანობის ჟამსაც და გამოდარებასაც, შენებასაც და ნგრევასაც. ალბათ ამიტომ იყო განსაკუთრებულად კაცთმოყვარე და გულიანი, არა ერთი ნასტუდენტარი თაობის მასწავლებელიცა და მეგობარიც, გულღია, ალალი და მისიყვარულე.

იყო არაჩვეულებრივად ხალისიანი პიროვნება, ხალასი იუმორით სავსე, შესანიშნავი თამადა, ბიბლიისეული კოლორიტით დატვირთული, ქართული ხასიათის ჭეშმარიტი გამოსხივება.

**თემურ ღლონტი,**
**მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის მეღვინეობის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;**
**აკაკი სირბილაძე,**
**ამავე ინსტიტუტის მეღვინეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.**

## ხსოვნა

### ლენგო გეგეშიძე



მუხანათია წუთისოფელი. არავინ იცის, ვის როდის ჩამოუქროლებს დაუნდობელი სიკვდილი ბედნიერების მწვერვალზე აღტაცებულს. ადამიანი თავად არჩევს გზას. სიკეთის სამსახური ღვთის გზაა და სწორედ ეს გზა განვლო 63 წლის დაუცხრომელმა ერისკაცმა, კეთილსაქმეთა საკეთებლად მოვლენილმა, კაცთმოყვარე მეცენატმა ლენგო გეგეშიძემ.

ულმობელმა სიკვდილმა ვერ დააკარგვინა მომხიბვლელობა, მართლაც რომ, საოცარ ადამიანს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებ გარეთაც, რომელიც გამორჩეული ნიჭით ბრწყინავდა. რამდენი კეთილი საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. იგი იყო ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გარშემორტყმული იყო მეგობართა ფართე წრით, რომელიც ყველა ასაკის ადამიანს მოიცავდა, ზრუნავდა ყველაზე თანამიმდევრულად გარკვეულ კალაპოტში, გახსნილი გონიერებით. ეს ვლინდებოდა მის მოღვაწეობაში, მის ნიჭიერებაში.

უბადლო მედიკოსთა ოჯახის შვილი, ყველასთვის ერთგული და კოლორიტული პიროვნება იყო. ერთეულთა ხვედრია ნებიერი ცხოვრება, რასაც მისი ოჯახი და თითოეული წევრი ლებულობდა მისგან.

ძალზე ძნელია გადმოსცე ის დედმამიშვილური სიყვარული და მეგობრობა, რაც ბატონ ლენგოს და მის უმშვენიერეს დაიკოს, ექიმ-სტომატოლოგ მზია გეგეშიძეს შორის არსებობდა.

რით ვანუგეშოთ ჩვენი კოლეგა, ჩვენი ხელმძღვანელი, რომელმაც უსასრულობას მიაბარა საფიცარი ძმის სული უცხო ქვეყანას. ვაი, რომ ვერ უშველეს და მისი სიცოცხლე ზღაპარს დაამსგავსეს.

მისი ცხოვრების წესი სიკეთე და ქველმოქმედება იყო. ბატონ ლენგოს გლოვობენ საქართველოში, რუსეთში, სადაც მის ნეშტს მიაბარებენ.

განსაკუთრებით გლოვობს მშობლიური სამტრედია, სამძიმარს იღებს თითოეული ადამიანი, ვინც კი მას იცნობდა.

სიკვდილიც ვაჟკაცური შვენის ვაჟკაცს, რომელსაც ამაყად შეუძლია თქვას: დიახ, მე ვიცოცხლე, ვცოცხლობ და მარად ვიცოცხლებ!

**ს/ს თ. ცეცხლაძის სახ. № 2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგას თამაზ ბიბილურს დედის

რუსუდან ბიბილურის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები თამაზ, ვენერა, ნათელა ბიბილურები ოჯახებით იუწყებიან დედის

რუსუდან ბიბილურის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 8, 9 VI 17 სთ, გამოსვენება 10 VI 15 სთ, დიღმის მასივი, III კვ. 37-ე კორპ. I სადარბაზო.

---



შვილი მარინა შათაშვილი, სიძე ვილი ელიგულაშვილი, შვილიშვილი სიმონკა, რძალი ოლღა ელიგულაშვილები, შვილთაშვილები ანა, ნატალია, ძმისწულები ავთანდილ, ტარიელ ბარბაქაძეები, დისწულები როზა ცხოვრებაშვილი, ჯილდა გურგენიძე, სიძე ზაურ გურგენიძე, დისშვილიშვილები დავით, ეკა გურგენიძეები, მანანა ხარაძე, სერგო, მარინა ცხოვრებაშვილები, ძმისშვილიშვილები დათო, აკია, ვაჟა, ქეთინო ბარბაქაძეები, ბიძაშვილი ლევან ბარბაქაძე, მამიდაშვილი გრეტა გაბრიელიანი, მაზლიშვილი ნათელა შათაშვილი, მულიშვილები კარლო, ნანი, მაყვალა, ნათელა წვენიაშვილები, თამარა კიკოზაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ანდრიას ასული ბარბაქაძე

პანაშვიდი 8, 9 VI 17 სთ, გამოსვენება 10 VI 15 სთ. მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 48.

---

ზაურ და დავით გურგენიძეები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ანდრიას ასული ბარბაქაძე

პანაშვიდი 8, 9 VI 17 სთ, გამოსვენება 10 VI 15 სთ. მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 48.

---

შპს „ჯორჯმაინინგ კომპანის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კომპანიის გენერალური დირექტორი

გიორგი ვახტანგის ძე სულამანიძე

და თანადგომას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

რეზო ასათიანი, გურამ გაბუნია, სოსო კუხიანიძე, რომეო თუთაშვილი, ქუზუ კალანდარაშვილი, დუგლას ქაჯაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ჭეშმარიტი მამულიშვილის, ნაღდი ქალაქელის, უაღრესად კოლორიტული პიროვნების

ალეკო ცქიტიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**2006 წლის 15 ივნისს, დღის 12 საათზე, განმეორებით მოწვეულია სააქციო საზოგადოება „თბილნავთობპროდუქტი-95"-ის აქციონერთა საერთო კრება.**

**მისამართი: ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. № 6, III სართული.**

**დღის წესრიგი:**

1. **სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;**
2. **ცვლილებები საწესდებო კაპიტალში.**

დირექტორატი.

◉ ლარის კურსი

**8 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3569 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7915 ლარი |
| ევრო | 1 | 2,3125 ლარი |

## ყველაფერი ყველაფერზე




# მივიწყებული ლოხ-ნესის ურჩხული

ალბათ ყველას გახსოვთ გახმაურებული ურჩხული შოტლანდიის ტბა ლოხ-ნესიდან. მსოფლიო სენსაციამ მოიცვა ათეულობით წლების წინათ. შემდეგ აჟიოტაჟი ჩაცხრა, მაგრამ საოცრებათა მოყვარულები მაინც არ ანებებდნენ თავს საიდუმლოს ამოხსნას. ახლა კვლავ გაიხსენეს მივიწყებული ურჩხული და მერე ვინ? გლაზგოს პალეონტოლოგიური დეპარტამენტის უნივერსიტეტთან არსებული მუზეუმის მეცნიერმა, მსოფლიოში აღიარებულმა დოქტორმა ნილ კლარკმა. მან ორი წელი გაატარა ტბის სანაპიროზე. ძირფესვიანად შეისწავლა ტბის გარემო და მიმდებარე ტერიტორიის ისტორია. აღმოჩნდა, რომ მახლობელ ქალაქ ინვერნესში ბაზრობების დროს გამართულ სანახაობებზე ხშირად ჩადიოდნენ მოხეტიალე ცირკის მსახიობები. ისინი თავიანთ ცხოველებს ტბაში აბანავებდნენ. დოქტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლოხ-ნესის ურჩხული არც მეტი არც ნაკლები ცირკის გაწვრთნილი სპილო გახლდათ. ყველას კარგად მოგეხსენებათ თუ როგორ უყვართ სპილოებს წყალში ჭყუმპალაობა. ნილ კლარკმა სავარაუდო სურათიც დახატა. წყლის ზედაპირიდან ამოწეული ხორთუმი ურჩხულის წაგრძელებულ ყელს წააგავს, ხოლო თავის კინკრიხო და ზურგი ამოუცნობი ცხოველის ტანს. სენსაციის მოყვარულები გაწბილებულნი არიან დოქტორის ჰიპოთეზით, ისინი უფრო დიდ საიდუმლოს მოელოდნენ. ამის საპასუხოდ ისინი ამტკიცებენ, რომ როდესაც ტბაში პირველად გამოჩნდა ურჩხული, იმ დროს მის შემოგარენში არავითარ ცირკს არ ჩაუვლია და შესაბამისად სპილოებიც არ იქნებოდნენ.

## ანეკდოტები

თეირანის კონფერენცია. ჩერჩილმა გადაწყვიტა, რომ სტალინი გაებრაზებინა და ამბობს:

— წუხელ დამესიზმრა, რომ დედამიწის პრეზიდენტად დამნიშნეს.

— მე კი დამესიზმრა, რომ სამყაროს პრეზიდენტად დამნიშნეს, — მხარი აუბა რუზველტმა.



— სტალინი დინჯად აბოლებს ყალიონს და წყნარად ამბობს:

— მე კი დამესიზმრა, რომ არც ერთი თქვენგანი არ დამიმტკიცებია.

* * *

— უკვე არ გიყვარვარ, — ამუნათებს ცოლი ქმარს. ადრე მთელი საღამოების განმავლობაში ჩემ პირდაპირ იჯექი, თვალებში მიყურებდი და ჩემი ხელები გეჭირა...

— მაგრამ, ძვირფასო, მას შემდეგ, რაც შენი პიანინო გავყიდეთ, ამის აუცილებლობა არ არის...

* * *

— ქალიშვილო, ქალიშვილო, შეიძლება, რომ გაგეცნოთ? — ქოშინით ეწევა ბიჭი გოგოს.

— არა! — უკმეხად ეუბნება მისკენ შემოტრიალებული გოგო.

— ვაი, დედა! მადლობა ღმერთს, რომ არა!..

* * *

პატარა გოგო სილაში ზის და ეწევა.

— გოგონი, რატომ ეწევი? — კიცხავს გამვლელი მამაკაცი.

— იმიტომ, — ამღვრეული თვალებით ახედავს და ხრინწიანი ხმით უპასუხებს გოგო, — რომ შპრიცები გამითავდა.

* * *

— ექიმო, იქნებ მიშველოთ, ძალიან ვხვრინავ.

— იცით რა, მკურნალობა ძალიან ძნელია... თქვენ ეს ხვრინვა ხელს გიშლით?

— არა.

— თქვენს მეუღლეს?

— უცოლო ვარ.

— მაშ მეზობლებს აწუხებს?

— ჩემ გარშემო არავინ ცხოვრობს.

— აბა, რაშია საქმე?

— საქმე ის არის, რომ სწორედ ამ წყეული ხვრინვის გამო უკვე ხუთჯერ გამაგდეს სამსახურიდან.

## დარია თუ ავდარია

**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+22^0$ – $+29^0$, ღამით $+15^0$ – $+19^0$.



**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+22^0$ – $+28^0$, ღამით $+15^0$ – $+20^0$.

**თბილისში** — ცვალებადი მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+17^0$ დღისით $+32^0$.

**ბათუმი** — ღ. $+18^0$, დ. $+23^0$; **სოხუმი** — ღ. $+18^0$, დ. $+27^0$; **ქუთაისი** — ღ. $+20^0$, დ. $+33^0$, **ოზურგეთი** — ღ. $+17^0$, დ. $+30^0$, **ზესტაფონი** — ღ. $+18^0$, დ. $+29^0$; **რუსთავი** — ღ. $+17^0$, დ. $+31^0$, **ფოთი** — ღ. $+19^0$, დ. $+27^0$; **მესტია** — ღ. $+14^0$, დ. $+19^0$; **სტეფანწმინდა** — ღ. $+15^0$, დ. $+20^0$; **თელავი** — ღ. $+17^0$, დ. $+31^0$; **გორი** — ღ. $+17^0$, დ. $+25^0$; **ახალციხე** — ღ. $+14^0$ დ. $+24^0$; **ბორჯომი** — ღ. $+15^0$, დ. $+26^0$; **ცხინვალი** — ღ. $+12^0$, დ. $+25^0$; **სამტრედია** — ღ. $+20^0$, დ. $+29^0$; **ზუგდიდი** — ღ. $+16^0$, დ. $+27^0$; **ჭიათურა** — ღ. $+17^0$, დ. $+28^0$.

# შვებულება: გადავჭრათ პრობლემები

## საკურორტო რომანი: გაგრძელება იქნება, ან — არა

**ამ ცოტა ხნის წინათ დავბრუნდი თურქეთიდან, სადაც გავიცანი მამაკაცი. შვებულების ბოლო სამი დღე ძალზე რომანტიკული იყო, შემდეგ კი ერთმანეთს დავშორდით. გავიდა ერთი თვე, თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. ყოველივე ეს ჩემი ბოზოქარი რომანის შედეგი ხომ არ არის?**

**მარინე კ.**

— მამაკაცები და ქალები ადვილად ებმებიან საპლაჟო ინტრიგის ქსელში ბანალური მიზეზის გამო. კურორტზე მათ ეუფლებათ სრული, მაგრამ მაინც დროებითი თავისუფლების ილუზია. ნებსით თუ უნებლიეთ, იქმნება თავისებური „ეროტიკული დაძაბულობის ზონა“, — განაცხადა სექსოლოგმა ზურაბ სიხარულიძემ. — საკურორტო რომანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუ დადებითი მხარე ყველასთვის გასაგებია, უარყოფით მხარეზე გირჩევთ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოთ. მაშ ასე, ეს არის:

**— სქესობრივი ინფექციებით, მათ შორის შიდსით დაავადების რისკი;**
**— შემთხვევითი დაფეხმძიმება;**
**— ფსიქოლოგიური დამოკიდებულება.**

**ჩვენი რჩევაა**:

● ნუ ელით „შეგნებულობას“ პარტნიორისგან. ყოველდღე თვითონ უნდა იფიქროთ დაავადებებისგან დაცვის შესახებ.

● თუ მაინც გქონდათ სექსი დამცავი საშუალებების გარეშე, შვებულების შემდეგ გაესინჯეთ ექიმს, ჩააბარეთ ანალიზები ინფექციაზე, რომელთაგან მრავალი, სხვათა შორის, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მაგრამ ერთბაშად ამის გაკეთებას არ გირჩევთ. უმჯობესია ეს მოხდეს სქესობრივი კონტაქტიდან ორი კვირის შემდეგ, რათა განვლოს შესაძლო დაავადებათა საინკუბაციო პერიოდის ვადამ.

● ასეთ შემთხვევით რომანს დიდი სერიოზულობით ნუ მოეკიდებით.

● უცხო ადამიანთან გაცნობის დროს ეცადეთ, რომ ყველაფერი შემოიფარგლოს მხოლოდ გასეირნებით, ცეკვით, ვახშმით, ფლირტი ასევე სასიამოვნოა, მაგრამ გახსოვდეთ, მთავარია გარანტირებული 100-პროცენტიანი უსაფრთხოება.



**— ჩემი ქალიშვილი სულ ატარებს სტრინგი-ტრუსებს. მსმენია, რომ გამუდმებით ასეთი საცვლის ტარებამ შეიძლება გამოიწვიოს ცისტიტი.**

**თამარ კობახიძე, ხაშური.**

## გსურს კიბო — ატარე სტრინგი

**— სტრინგი-ტრუსები ექიმ-გინეკოლოგების აზრით, ქალის ტუალეტის ყველაზე მავნე დეტალია. იგი აზიანებს ნაზ კანს გენიტალიებთან, რაც ხელს უწყობს სოკოვანი ინფექციების წარმოქმნას. გარდა ამისა, სტრინგის უკანა ნაწილი (ე.წ. თოკიძ არის თავისებური „ხიდი“, რომელსაც გადააქვს ბაქტერიები უკანა ტანიდან შარდსადენისკენ. ამიტომ სტრინგების ტარების დროს პრაქტიკულად გარდუვალია ცისტიტი, გარდნერელიოზი და კანდიდოზი.**

გარდა ამისა, ამ ბოლო ხანს განხორციელებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ სტრინგის ტარებამ შეიძლება გამოიწვიოს კრაუროზი, გარე სასქესო ორგანოების ლორწოვანი გარსის ატროფია. ეს დაავადება კი დროთა განმავლობაში შეიძლება კიბოშიც გადაიზარდოს.

**უმაღლესი კატეგორიის ექიმი-გინეკოლოგი**
**ნატალია ბერიძე**

## რა არ ხდება



# სამხელა ბიჭუნას მესამე ხელი მოჰკვეთეს

**მსოფლიომ შეიტყო ჩინელი ბიჭუნას შესახებ, რომელიც სამი ხელით დაიბადა. ბიჭუნას ერთი მარჯვენა და ორი მარცხენა ხელი აქვს.** მარცხენა კიდურები ნორმალურად ვითარდებოდა, მაგრამ შანხაის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელები მაინც არჩევანის წინაშე დადგნენ — ორიდან რომელი ხელი მოეკვეთათ მისთვის. ოპერაცია კი აუცილებელი იყო. გუშინ ჩინელ ბიჭუნას ჯი-ჯის პროფესიონალმა ქირურგებმა მეტად რთული ოპერაცია ჩაუტარეს. ქირურგიულმა ჩარევამ ნორმალურად ჩაიარა. გარდა ამ პათოლოგიისა, ბავშვი ერთი თირკმლით დაიბადა. სხვა შინაგანი ორგანოები ნორმალურად ფუნქციონირებს, მაგრამ ექიმები შიშობენ, რომ მომავალში პატარას ხერხემლის გამრუდება ემუქრება.

## რჩევა

# როგორ დავიცხროთ კბილის ტკივილი

**ავადმყოფ კბილსა და ლოყას შუა ჩავიდოთ ვალერიანის ფოთლები ან, უბრალოდ, დავღეჭოთ ისინი.**

დაზიანებულ კბილზე დავიდოთ უმი ჭარხალი; ღრძილი დაავადებული კბილის მახლობლად დავიზილოთ გარჩეული ნივრის წილაკით.

წვრილად დავჭრათ ხახვის ნაჭერი, გავახვიოთ მარლაში და ყურში იმ მხარეს ჩავიდოთ, რომელიც ავადმყოფი კბილის მხარის მოპირდაპირეა.

აიღეთ დაუმარილებელი ქონის ნაჭერი და დაიდეთ დაავადებულ ადგილზე ღრძილსა და ლოყას შორის. გაიჩერეთ 15-20 წუთი, ტკივილის გაყუჩებამდე.

გამტანჯველი კბილის ტკივილისგან დიდი ხნით გათავისუფლებაში დაგეხმარებათ ცხელი სოდის ხსნარის გამოვლებები, ან სალბის და გვირილის ნაყენისა. ლოყა თბილად შეიხვიეთ. დაავადებულ ღრძილზე ორჯერ წაიცხეთ იოდი.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.